

ისინი

ლიტერატურული ჟურნალი

№1

ISSN

ისინი

ლიტერატურული ჟურნალი

№1

2017

რედაქტორი

იკა ქადაგიძე

ტექნიკური რედაქტორი

ლევან ბებურიშვილი

სარედაქციო კოლეგია:

ლერი ალიმონაკი
დავით არახამია
ციალა არდაშელია
ბონდო არველაძე
ნინო ბაქანიძე
ლევან ბებურიშვილი
აკაკი ბრეგაძე
ლაშა გვასალია
დალი კახიანი
მარსიანი
სევარიონ ნადირაძე
გიგი ხორნაული
რუსუდან ჭანტურიშვილი

მხატვარი **მარსიანი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა

თამარ სტეფნაძე

შინაარსი

რედაქტორის წინათქმა **5**

კრიტიკა
იკა ქადაგიძე – ცოცხალი წიგნების პროექტი – ფულის დიქტატურის, ნომენკლატურული იდეოლოგიისა თუ მზაკვრული პოლიტიკის სამიზნე?! 7

პოეზია
სევარიონ ნადირაძე – ახალი ლექსები 18

კულტურული ფასეულობების სადარაჯოზე
ბონდო არველაძე – ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში 20

პოეზია
მარინა თექთუმანიძე – ახალი ლექსები 25

ღირსსახსოვარნი
რუსუდან ჭანტურიშვილი – თანამედროვე რაინდული პოეზია – რატი (ტატო) ნინუა – ზღვაურის გამაყრუებელ ხმაურში 27

გალაკტიონი მარად ჩვენთან
შუადღის გულმოდგინება 30

მოგონების გამოძახილი
მანანა ჯალაღონია – დათო ტურაშვილის „ისტერიულ რომანზე“ – „იყო და არა იყო რა“ 31

პოეზია
ლაშა გვასალია – ახალი ლექსები 34

დროული რეპლიკა
ლერი ალიმონაკი – მეტი ყურადღება, პროფესორო! 36

პროზა
გიო კილაძე – დოსტოევსკის „იდიოტის“ შესახებ (ფრაგმენტები) 39

პოეზია
დავით არახამია – ახალი ლექსები 42

პუბლიცისტიკა
მარსიანი – ზვიადი და მამარდაშვილი 44

პროზა
გიგი ხორნაული – თითი სასხლეტთან 48

დისიდენტი პოეტის გახსენება
შალვა მჭედლიშვილი 52

ლიტერატურათმცოდნეობა
ლევან ბებურიშვილი – ვაჟა-ფშაველა თავისუფლების შესახებ 54

ერთი ლექსის გაელვება
იკა ქადაგიძე – მოძმე 56
მარსიანი – არიელ. 56

თარგმანი
დალი კახიანი – ახალი თარგმანები 57

ისტორიული მოთხრობა
ნინო ბაქანიძე – ქეთევან 60

პოეტური დებიუტი
გიორგი შიშნიაშვილი 65

ჩანაწერები
რეზო-ემელიანე ადამია – პარიზული დღიური – მონმარტრი 66

რედაქტორის წინათქმა

სამწერლო პროცესებში აქტიური მონაწილეობა უზარმაზარ პასუხისმგებლობასთანაა წილნაყარი. კლანური დაჯგუფებებისა და ნომენკლატურული კარის ხელოვანების აულაგმავი პარპაშის ფონზე ბრძოლისუნარიანობისა და უკომპრომისობის თანმიმდევრული გამოვლენა საკმაოდ რთულია და ვინც ეროვნული მწერლობის ღირსების დასაცავად გამართულ უშეღავათო ომში უშუალოდ არ არის ჩართული, სრულფასოვნად და მიუკერძოებლად ვერასდროს გაიაზრებს, ნამდვილი მწერლობა რითი სუნთქავს და სამომავლო მიზნად რა ორიენტირს ისახავს.

თანამედროვე ქართული მწერლობის აურაცხელ სატკივარს ფხიზელი თვალისა და ბასრი კალმის გარეშე ვერ აღწერ. ესოდენ საჭირბოროტო, წლობით დაგროვილ და დღემდე გადაუჭრელ საკითხებს მებრძოლ კოლეგებთან ერთად (მათი რიცხვი სამწუხაროდ ძალზე მცირეა) საკმაოდ მწვავე კრიტიკული წიგნებით ვეხმაურები, თუმცა ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ფონზე, როდესაც ოცდამეერთე საუკუნის ოცწლეულის მიწურულს საქართველოში ეროვნული პროფილის ჟურნალი პრაქტიკულად აღარ გამოდის, (ამ თემას ეძღვნება ჩემი ერთ-ერთი მძაფრი წერილი „ეროვნული ჟურნალის ხვედრი თანამედროვე საქართველოში“, რომელშიც თითო-ოროლა ღირებული ჟურნალის რთული ბედი ფაქტების მეშვეობითაა აღწერილი) ხოლო სამთავრობო დაფინანსებით გამოცემულ ბეჭდვით ორგანოში პატრიოტულ თემაზე დაწერილი ნაწარმოებების გამოქვეყნება „ტექნიკურად“ აკრძალულია, ცხადია, ეროვნული ცნობიერების შესუსტება გეზმიმართულად ხორციელდება, რაც ეროვნული მწერლობის შემდგომ განვითარებას სერიოზულ საფრთხეს უქადის. განუკითხაობის კვალდაკვალ გავლენიანი მედროვეებისა თუ მათ სამსახურში ჩამდგარი ნიჭიერი და კარიერისტული მისწრაფებებით აღჭურვილი წვრილფეხა ლაქია მწერლების თვალშისაცემი კონფორმიზმი მხოლოდ პრივატულ წარმატებასა და ფინანსურ კეთილდღეობაზეა გათვლილი და მაკულატურის წარმოების საპირწონედ სიტყვაკაზმული მწერლობის წინააღმდეგ გამოცხადებულ ჯვაროსნულ ომს წააგავს. ის მარადიული ფასეულობები, რის დასაცავადაც სულმნათმა წინაპრებმა თავდაუზოგავად იბრძოლეს და ამისთვის ყველაზე ძვირფასი რამ – სიცოცხლე ზვარაკად გაიღეს, საფრთხის ქვეშ მოექცა. უპირველესად ილიას, მიხეილ ჯავახიშვილსა და ზვიად გამსახურდიას – ჩვენს მადლმოსილ კორიფეებს სიამაყითა და მოწიწებით დავასახელებ. უმაღლესი მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი პასუხისმგებლობით აღჭურვილი კულტურტრეგერები სახელოვან მოღვაწეებთან ერთად ეროვნული მწერლობის მეოხებით ქართული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ასაღორძინებლად დაუღალავად იღვწოდნენ და რაოდენ დასანანია, რომ სადღეისო მოცემულობიდან გამომდინარე, ყველაფერი ხელახლაა მოსაპოვებელ-შესანარჩუნებელი. აღრეული ფასეულობებით გამოწვეული ქაოსის სიმდგრადე ეროვნული ენერგიის დაშრეტაზე მიუთითებს და ჯანსაღი საწყისის აღორძინებას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს, ვინაიდან თავისით არასდროს არაფერი გაკეთებულა და არც ციფრული ეპოქისთვის მზარდი ტექნიკური პროგრესის პირობებშია მოსალოდნელი საეჭვო იდეოლოგიური წარმონაქმნებით ხელფეხშეკრულ მწერლობას სახიფათო, ქვეყნისთვის საზიანო მსოფლმხედველობით აღჭურვილ გავლენიან პროვოკატორთა დროებითი აღზევებით რეალურად ეშველოს.

ამ განუკითხაობის გასარღვევად მკაფიო ეროვნული პოზიციის გამომხატველი ჟურნალის გამოცემა (სანახევრო პატრიოტობანა გადაუდებელ საქმეს წინ ვერ წასწევს!) საუკეთესო გამოსავალია. ეს ქმედება სიმართლის მოთხოვნილებითა და ჯანსაღი რეფორმების განხორციელების აუცილებლობითაა განპირობებული. ახლა, როდესაც უხმაურო აკრძალვისა და ფინანსური დიქტატურის გამოისობით ანტილიტერატურის წაქეზებისა და ხელშეწყობის პარალელურად ეროვნულ მწერლობას პრაქტიკულად სამოქმედო სივრცე აღარ დაუტოვეს, დამოუკიდებლად მოაზროვნე მებრძოლი მწერლების ძალისხმევა სწორედაც ახალი ჟურნალის გამოცემით დასტურდება. მწვავე კრიტიკული შინაარსის წიგნებთან ერთად ეროვნული ჟურნალის მეშვეობით სამოქმედო ასპარეზის გაფართოება, ეს ჩვენი საპროგრამო განაცხა-

დია, რაც მოწმობს, რომ სტაგნაციას არ შევეგუებით და არასახარბიელო ვითარების სასიკეთოდ შეცვლას გაერთიანებული ძალებით შევეცდებით, რისი გამოცდილებაც ნამდვილად არ გვაკლია. ნამდვილი მწერალი მუდამ ქვეყნისა და ეროვნული მწერლობის სადარაჯოზე დგას და ყოველგვარ საცდურს ღირსეულად უმკლავდება. ეროვნული ცნობიერების ასაღორძინებლად თანმიმდევრული ბრძოლა მისი პირდაპირი დანიშნულებაა. ქვეყნის ჭირისუფალი სიტყვის მსახური მთელი შეგნებული ცხოვრება ნებისმიერი ზეწოლის პირობებში ათასი სატკივარით დამძიმებულ სამშობლოს პირნათლად ემსახურება. უძველესი და უმდიდრესი ტრადიციის მქონე ქართული მწერლობა სწორედ ამ დევიზს ეყრდნობა და ნებისმიერი თაობის შემოქმედისგან ძალთა სრულ მობილიზებასა და მაღალი მოქალაქეობრივი შეგნების უწყვეტ გამოვლენას მოითხოვს. ეროვნული მწერლობის შემდგომი განვითარება და მოღონიერება აქტიური ქმედების გარეშე შეუძლებელია. აქვე უპრიანია ყურადღება ჟურნალის სახელწოდებაზე გავამახვილოთ.

ისინდი – ცხენბურთის უძველესი, ქართული სახეობა მიზნის მისაღწევად მხედრებისგან განუხრელ შეუპოვრობასა და დიდ ოსტატობას მოითხოვდა, რასაც ჩვენი წინაპრები თავს საუცხოოდ ართმევდნენ. ჟურნალის გარშემო დარაზმულ მებრძოლ შემოქმედთა ბირთვი ქართული მწერლობის ღირსეული წარმომადგენლებისგან შედგება. აქ თაობათა შეკავშირების პრინციპი შეძლებისდაგვარადაა დაცული.

ღვაწლმოსილი უფროსი თანამოკალმეების გვერდით მომდევნო თაობის მწერლები დგანან, ეროვნული მწერლობის ღირსებას უთანასწორო ომში შეუპოვრად და პროფესიულად რომ იცავენ. მათ სიტყვისა და საქმის ერთიანობა კრავთ და ადუღაბებთ, რაც ეროვნული, საქვეყნო საქმის გამოსაცოცხლებლად და განსამტკიცებლად გადამწყვეტი ფაქტორია.

ისინდი სასიკეთო ცვლილებების მისაღწევად გამართულ დაძაბულ რბოლასა და უწყვეტი ბრძოლის პრინციპს ერთმანეთს ბუნებრივად უთავსებს; ჩვენ იქ ვდგავართ, სადაც ეროვნულ მწერლობას ყველაზე მეტად უჭირს და ეს განაცხადი მხოლოდ სიტყვიერი პათეტიკით როდი შემოიფარგლება, არამედ წლების მანძილზე შესაფერისი საქმიანობითაა ზურგგამაგრებული. თანამედროვე სამწერლო პროცესებში აქტიური მონაწილეობა, სხვაგვარად ფრონტის ხაზზე გამოვლენილი მყარი შეუპოვრობა, განუხრელი ეროვნული მრწამსი და თანმიმდევრული დაპირისპირება კონფორმისტებთან მორალურ უფლებას გვაძლევს ლიტერატურულ სივრცეში არსებული უკეთურებების წინააღმდეგ ერთსულოვნად გავილაშქროთ და სხვა მნიშვნელოვან ცვლილებებთან ერთად გულისხმიერ მკითხველებსა და კეთილსინდისიერ მწერლებს კოლეგიალური სოლიდარობის მაგალითი ვუჩვენოთ, რაც უწინარესად ათასი საეჭვო მინარევით დაბინძურებული ლიტერატურული სივრცის გაჯანსაღებას განაპირობებს.

„ისინდი“ სწორედ ამ მიზნით გამოდის ლიტერატურულ ასპარეზზე, რათა მომავალმა თაობებმა თანამედროვე სამწერლო პროცესების შესწავლისას ფაქტებისა და მოვლენების ობიექტური ანალიზის საფუძველზე შეუმცდარად დაასკვნან, ეროვნული მწერლობის დასაცავად ვინ რა წვლილი შეიტანა; აქვე დავაზუსტებ: ჟურნალის კურსი ეროვნულ მსოფლმხედველობასთან შეხამებულ მოწინავე ზოგადკაცობრიული აზროვნების რადიუსს მოიცავს, რაც სწორი იდეოლოგური პოზიციის პარალელურად მაღალმხატვრული სიტყვაკაზმული ლიტერატურის წამყვანი ტენდენციების გათვალისწინებას თავისთავად გულისხმობს.

ვიმედოვნებ, გულისხმიერი მკითხველები და კეთილსინდისიერი მწერლები (ზოგადად ხელოვანები) გაბედული, მართალი და უკომპრომისო სიტყვის ამსახველ ჟურნალს კეთილგანწყობით მიიღებენ, რაც დამოუკიდებელი, ეროვნული და მაღალესთეტიკური აზროვნების გამომხატველი ქართული მწერლობის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი პირობაა.

„ისინდი“ – ქართული მწერლობის ღირსების დასაცავად დაარსებული ახალი ჟურნალი – სიმართლემოწყურებული საზოგადოების იმედს უდაოდ გაამართლებს, რადგან სახელოვანი მოღვაწეების მარადიულ დევიზს – ბრძოლას ეროვნული ცნობიერების გადასარჩენად დავიწყება არ უწერია!

იკა ქადაგიძე

„ცოცხალი წიგნების“ პროექტი _ ფულის, დიქტატურის, ნომენკლატურული იდეოლოგიისა თუ მზაკვრული პოლიტიკის სამიზნე?!

„მწერალს, რომელსაც
ადამიანის სრულყოფის
შესაძლებლობისა არ სჯერა,
არაფერი ესაქმება ლიტერატურასთან“.
ჯონ სტაინბეკი

ლიტერატურული თავყრილობების უმეტესობა საბჭოურ თარგზე გაწყობილი ნაფტალინიანი ტაშმაისტერების ყალბი ბენეფისია. სხვადასხვა ასპარეზზე ხელმოცარული ადამიანების მიერ მწერლობის თვითმიზნურ-გეგმაზომიერი ოკუპაცია იმდენად თვალშისაცემია, რაც ძალა და ღონე შეგწევს ცდილობ ამ სტიქიურ, შემთხვევით და დილეტანტურ „დღესასწაულებში“ მონაწილეობისგან როგორმე თავი მოიზღუდო. ადრე ნათქვამი ფრაზის სიმდგრადე კვლავ ძალაშია. ერთხელ, მორიგი რადიოგადაცემის ეთერში განვაცხადე, რომ ლიტერატურულ ღონისძიებებზე დასასწრებად კაცს ერთი სიცოცხლე არ ეყოფა. შესაბამისად, საღამოებზე სიარულსა და მონაწილეობას საგრძნობლად ვუკელი, ჯერ ერთი, დღენიადაგ სპარტაკის როლში ყოფნა მოსაბეზრებელია, თანაც ცოდვა გამხელილი ჯობს, ამ უკუგდების უმთავრესი მიზეზი ინტელიგენტური საზოგადოების არსის შესწავლიდან მომდინარეობს: თვალწარმტაცად გამოწყობილი მოსეირეები „გმირსაც„ და „ანტიგმირსაც„ თანაბარი შემართებით უკრავენ ტაშს, სანახაობას მოწყურებულები ხმაურიან ოვაციას ნებდებიან, პროტესტის მიზეზს დარდიმანდულად ისხლეტენ (ეგღა აკლიათ საანგარიშოდ ქცეულ გულს სიმართლის ცივი ნიავი მიაკარონ!), თითქოს ეს მხოლოდ იმ კონკრეტული პიროვნების კერძო საქმეა; ამიტომ ვინც ხმას აღიმაღლებს, კეთილი ინებოს და გორდიასის კვანძივით ჩახლართული საჭირბოროტო საკითხები თავად მოაწესრიგოს, პუბლიკა მას ტაშითა და გაწელილი ბრავოთი აქეზებს, რაც „აქტივობის“ უმხურვალესი გამოვლენაა. ამას იქით საქმე არ იძვრის. აღშფოთება უადგილოა, როდესაც ხალას ხელოვანებთან ერთად ტრიბუნას შემთხვევითი „ვარსკვლავები“ ეპატრონებიან. გემოვნებიანი ლექსების მოსმენისას აღძრული მოწონება არ გაგნელებია, უცბად არსაიდან გამომტყვრალი მორიგი დამთხვეული რიხით აცხადებს, რომ სტალინის რომელიღაც საზოგადოების თავ-რეა, გლეხებს(ჯერ ვერ მიმხვდარა, რომ ქალაქად გახიზნული გლეხობა გაქრობის პირასაა!) მარჯვენას უქებს, სამაგიეროდ ფაშისტებს აძაგებს(საინტერესოა ეს თემა საიდან ამოჩხრიკა?!) მოლიბერასტო „მასტი“ გრანტებით ამოტენილი პირით არანაკლები თავდაჯერებით გაჰკივის, რომ უპერსპექტივო, ,,„ბანძი“ სამშობლო ეზიზღება, მავანი მოხუცებს ამასხრებს, ხანდაზმულები ურჩ ახალგაზრდებს ამუნათებენ, ფსევდოპატრიოტები ყბადაღებული ორიენტაციის თემის ირგვლივ გაუთავებლად კინკლაობენ. ოდიოზური დეკორაციის მიღმა კი მსუყე, სარფიანი და მაცდური „ბიზნეს-საქმეები“ ათასგვარი პატრონაჟის შემწეობით (ხელის ან იქნებ ფეხის წაკვრითაც) უწყვეტად „იშანსება“ (შანსი ჩალიჩმა გამოაძევა). სახელდობრ, მოქალაქეების „საკეთილდღეოდ“ ჩამოყალიბებული სამინისტროების სტომაქში „თავისიანების“ დასაფრთიანებლად თუ გასაჯეჯილებლად გამოყოფილი დიდძალი თანხა თვითმიზნურად იხარჯება. ამის თაობაზე ამავე ფულით დაფინანსებული გაზეთები ხმაშეწყობილად გაჰყვირიან.

ტელესამყარო და მისი იატაკქვეშეთელი ანგარიშგასაწევი კონკურენტი – ინტერნეტი ზღვა ინფორმაციებს ინდულგენციებივით ყიდიან, ცვლიან, თვითნებურად ახარისხებენ,ყოფით ლაბირინთში ჩაკარგულ ადამიანებს მასობრივი ფსიქოზი რომ დამართონ.მოკლედ, სადაც არ მიხვალ,ყველგან საეჭვოდ ჭრელი კონგლომერატი ფუსფუსებს,ყველა ყველას მოსისხლე მტერია, თუმცა ზოგჯერ ხელოვნური კონსოლიდაციის ეპიდემიაც იფეთქებს, რომლის მიღმაც არშემდგარი სახელმწიფოს მიერ დაწესებული აკრძალული თამაშები სარფიანად იგეგმება და საღდება. მწერლობის შიგთავსს განვიხილავ და რა გასაკვირია, წინა პლანზე მშობლიური კულტურის სამინისტროს ძვირფასი კონტურები გამოისახოს (სადაური მშობელია,ვის წიაღშიც ერთხელ, ისიც მეგობრის ხათრით რომელიღაც ღონისძიებაზე დასასწრებად რომ მოცდები, მაგრამ მაინც...) ამ დაწესებულების საქმიანობის შეფასებისას დაქსაქსული ქართველობა შესაშურ ერთსულოვნებას ავლენს. ფაქტია, სამართლიანობის სუსტი სხივი ჯერ კიდევ ჭიატობს და ეს ჩვენი „მშობლიური სავანე“ პირდაპირ ჯოჯოხეთის სტანსებთანაა გათანაბრებული. ვისაც არ ეზარება ყველა ამ საეჭვოდ ჭრელი კონგლომერატის გამომშვებ სტახანოვურ (უკაცრავად, კომუნისტური ტერმინი თუ წამომცდა!) ფაბრიკას ლანძღავს და

ამუნათებს,მოცლილიცა და საქმიანიც, ბრალიანიცა და უბრალოც ამ სახელგატეხილი სამინისტროს წარმომადგენლებს ემუქრება, აქაურებს ქუჩაზე ჩავლილი ჭიანჭველაც კი არაეროვნული პოლიტიკის გატარებას უკიჟინებს.

საყდრისის საბადოს შემდეგ საყოველთაო აღშფოთებამ პიკს მიაღწია და აი, ყინული გალღვა, „ცივსისხლიანმა ფაბრიკამ“ „ჰუმანური“ აქცია წამოიწყო, თანაც დაკვეთით კი არა, საზოგადოებისთვის ცნობილი წევრების ინიციატივის თანახმად მთელი საქართველოს მასშტაბით „ცოცხალი წიგნების“ აქცია დააფინანსა, რომლის მონაწილენიც რეგიონში საკუთარი შემოქმედების წარმოჩენის გარდა ამ გულმოწყალე თოვლის ბაბუებისგან რამდენიმედღიანი ტურნეს საფასურად ხუთას ლარს მიიღებდნენ. „ნაღდი ფული წმინდა პოეზიასავით ჟღერს!“ ეს მაგიური ფრაზა ჯერ კიდევ რემარკს დასცდა და რა გასაკვირია, ამერიკანიზირებულ საზოგადოებას სწორება კაპიტალზე ჰქონდეს! ჩვენში დარჩეს, სამარცხვინოა ხელოვანი კვლავ კიბის ქვეშ იღუპებოდეს (ასეთები ახლაც მრავლადაა!). აგერ კულტურის სამინისტროს ძალისხმევით სულის მოთქმის საშუალება გაჩნდა, ჩადექი ქვეყნის სამსახურში,ამ ყაიდის ხალხს ულაპარაკოდ დაუჯერე და სარჩო-საბადებელიც არ მოგაკლდება,ეს ხომ სამყაროსავით ძველი, გათელილი და ათასჯერ ნაცადი შარაგზაა.

ამ შარაგზაზე ყოჩაღად გამწკრივებულ მწერლებში თუ გაგრიეს, შენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს,ვინც „რჩეულთა კასტაში“ ვერ მოხვდება,იაროს დაუსტამბავ-ათვალწუნებულმა. ამსიფართე პროექტი 75 შემოქმედს დემოკრატიულად იტევს, თანაც ორგანიზატორები ამბობენ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია, დროთა განმავლობაში მწერლების რაოდენობა (თანხის ზრდის თაობაზე ჯერ არაფერი უთქვამთ) მოიმატებს. მაშასადამე, ბედნიერ პროლოგს შევესწარით. ისღა დაგვრჩენია გავარკვიოთ ამ ჰუმანურ-განმანათლებლური ლაშქრობების დანიშნულება კულტურის სამინისტროს შელახული რეპუტაციის აღდგენისა და კომერციული ინტერესის გარდა(რეგიონებში წიგნების გასაყიდი ქსელის გაფართოება) მიზნად რას ისახავს. მწერალთა შემოქმედების პოპულარიზაცია, რაც მათ ფინანსურ მდგომარეობის გაუმჯობესებას განაპირობებს, მსოფლიო კრიზისის ფონზე ცოტას როდი ნიშნავს. ათასგვარი საზრუნავით დამძიმებულ ადამიანებს წიგნების წასაკითხად ნამდვილად აღარ სცხელათ, თუმცა პანდორას ყუთად წოდებულ ინტერნეტს მილიონობით მომხმარებელი ჰყავს...

ჩემი მეგობარი „ცოცხალ წიგნად“ რომ არ „გაეფორმებინათ“, შიმშილით სიკვდილი არ ასცდებოდა (საბოლოო ჯამში მას ეს ერთჯერადი თანხა ძვირად დაუსვეს. ღარიბებზე მზრუნველმა მთავრობამ უსახლკარო და უმუშევარ ხელოვანს ყოველთვიური დახმარება – 60 ლარი მომენტალურად მოუხსნა!). თუ ვინმეს ხელშეწყობა ესაჭიროება, ის ყველა პარამეტრის მიხედვით პირველთაგანია. მის შემოქმედებასთან ზიარებისას დავრწმუნდი, რომ დიდოსტატების რიცხვს მიეკუთვნება. სამწუხაროდ ცხოვრება იშვიათი გამონაკლისის გარდა ელვარე ტალანტით დაჯილდოებულ ხელოვანებს სამაგალითო სისასტიკით სჯის, ღვთის მიერ ბოძებულ ნიჭს გეგმაზომიერად აშხამებს. ფაქტია, ამ დაუწერელ კანონს იღბლის გარეშე გვერდს ვერ აუვლი. 21-ე საუკუნეში ადამიანებს, მით უმეტეს ხელოვანებს ამ ზომამდე რომ მიიყვან (მეცნიერთა მტკიცებით პიროვნების გასანადგურებლად ყველაზე დამამცირებელი და მტანჯველი სიკვდილის ფორმა- შიმშილობაა, რადგან საკვების გარეშე დარჩენილ ადამიანს თავის გადასარჩენად კანიბალიზმის გარდა აღარაფერი დარჩენია! უკრაინაში გამოწვეული ხელოვნური შიმშილობა ამის ამაზრზენი დასტურია!) რაღაა სალაპარაკო! სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მყოფს ღირებული იდეალების დაცვის უმცირეს, თუნდაც თეორიულ სურვილს ცინიკურად უკლავ, აიძულებ მარიონეტივით აქეთ-იქით დაკვეთით იქანაოს. გაუსაძლის წნეხში მოხვედრილს დამოუკიდებელი არჩევანის უფლება რომ ატროფირებული აქვს, საიდუმლო არავისთვისაა. ბოლო ოცდახუთი წლის განმავლობაში ქვეყნის საყოველთაო გაპარტახების ფონზე მძიმე ეკონომიკურ პირობებში გარე საფრთხეების ზრდის პარალელურად დაუცველობის კომპლექსი ძლიერდება, სამწუხაროდ, ურთულესი ქარტეხილების აღმოფხვრა ვერ ხერხდება, რაც ნებისმიერ სფეროში სათანადოდ აისახება. მწერლების უმრავლესობა, რეალობის ისეთივე მემკვიდრეა, როგორც ნებისმიერი მოქალაქე. რასაკვირველია „ელიტა“ ამ შავი სიის მიღმა სრულიად სხვა განზომილებაში იმყოფება. მას ჩვეულებრივი ხალხის სატკივარი არ ანაღვლებს,თავისი ავტონომიური უზრუნველობით ტკბება, საიმედო მხარდამჭერების შეგროვებითა და გადაბირებითაა დაკავებული. საკითხავია მუსიკას ვინ უკვეთს?! შემსრულებელთა ხარისხი ცალკე თემაა. დაინტერესებულ პირს ვურჩევ ამის გასარკვევად „ცნობადი“ მწერლების ტექსტებსა და საქმიანობას გაეცნოს (ან გადახედოს) როგორც თავქეიფების ლექსიკონის გათვალისწინებითაა მიღებული. ვისაც კითხვა ეზარება და მხოლოდ სატელევიზიო რეკლამებით იკვებება, კულტურის სამინისტრო სერიოზულ სიურპრიზს ჰპირდება: ამიერიდან რეგიონებში საგანგებოდ შერჩეული მწერლების შემოქმედების დაგემოვნება ყურადღებიანი მკითხველისთვის ხელმისაწვდომია. ოფიციალური ვერსიით „ცოცხალი წიგნების“ პროექტი სწორედ ამ კეთილშობილურ მიზანს ისახავს. პარალელური ბიოგრაფიის მოყვარულთათვის დამატებითი ცნობების მოსაპოვებლად აქციის მონაწილეების

ჩანაწერები (თუნდაც დღიურის სახით) პირდაპირ სულზე მისწრებაა.

ჰუმანური პროექტის ერთ-ერთი აქტიური მონაწილის (კრიტიკოსის) დღიური ეს-ესაა წავიკითხე. ჟურნალ-გაზეთებს სულმოუთქმელად თუ ყლაპავ, ამგვარი პედანტური მუყაითობით კოლეგებს თავსატეხს უჩენ, მაგრამ ეს სხვა თემაა. მოკლედ,კულტურის სამინისტროს მიერ (ისევ ნაცნობი დაწესებულება იკვეთება) დაფინანსებულ გაზეთს კეთილსინდისიერად ჩავუღრმავდი. ჩვენში დარჩეს, არც არაფერი წამიგია. მუდმივი ფავორიტების წყალწყალა ლექსებით (პროზა და კრიტიკა უფრო სერიოზულადაა წარმოდგენილი) თავგაბეზრებულმა ის იყო მორიგი გვერდი გადავშალე, წერილის სათაურმა უმალ მიმიზიდა. ავტორის გვარ-სახელიც დამაინტრიგებლად ჟღერდა. ხუთი წლის წინ ყველაზე პრესტიჟულ ჟურნალში „ჩვენი მწერლობა“ ლელა კოდალაშვილის სტატია „რა არის საჭირო იმისათვის, რომ „საბას“ ლაურეატი გახდე“ გამოქვეყნებისთანავე გახმაურდა და სამართლიანადაც, რადგან კულუარებში აღწერილი ოდიოზური ამბების სააშკარაოზე გამოტანა და შეფასება გამბედაობასა და რისკს შეიცავს. პუბლიკაციაში „საბას“ გარშემო გაერთიანებული ლიბერალური ელიტის ბომონდი საკმაოდ მახვილგონივრულად და არგუმენტირებულად იყო გაკრიტიკებული. მახსოვს, ამ უპასუხისმგებლო და არაკომპეტენტური პერსონების მიუკერძოებელი მხილებისთვის ეროვნული მრწამსის გამო შერისხულ და „დაბლოკილ“ მწერლებს გულს როგორ მოეფონათ. მეც მათ რიცხვში ვერიე.გული დამწყდა სტატიის ავტორს პირადად რომ არ ვიცნობდი, თუმცა საერთო ნაცნობებმა შემომაპარეს,რომ მას გულზე დიდად არ ვეხატებოდი. რა აბსურდია, ადამიანს არ იცნობდე და მის მიმართ არაკეთილგანწყობა გამოძრავებდეს, ჭორის დაჯერება არ მჩვევია, თუმცა ქ-ნი კოდალაშვილის სტატიების წაკითხვისთანავე გავაცნობიერე ანტაგონიზმს სარჩულად რა ედო. კრიტიკოსი ქართველი კლასიკოსების მემკვიდრეობის აგრესიული რევიზიით აღმოჩნდა დაკავებული. ქართული მწერლობის კორიფეებს სწორედ იმ აგდებული, შეურაცხმყოფელი ტონით განაქიქებდა, რაც ცნობადების გამათრახებისას სჩვევია. იმედგაცრუება დამეუფლა, ვინაიდან ბუმბერაზი მოღვაწეების წინააღმდეგ მისი ყველაზე „საფუძვლიანი“ და „მრისხანე“ იარაღი მხოლოდ და მხოლოდ ფემინისტურ-ფროიდისტული ლიბიდო-შიფრი გამოდგა. ჩვენში ეს მეთოდი პირველად ამერიკაში მოღვაწე მეცნიერმა დოდონა კიზირიამ მოიმარჯვა. „ოთარაანთ ქვრივის“ გამიზნული დამახინჯებითა და სპეკულატიურ-ოდიოზური თეორიებით ქართველობა უმალ გადაიკიდა და სამართლიანადაც. მოკლედ, ფემინიზმის პირველ მერცხალს ვერც ოკეანის გაღმიდან გამოჭედილმა მსხვილმა რეგალიებმა უშველა და ვერც რამდენიმე ცნობილი ლიტერატორის გააფთრებულმა მხარდაჭერამ, ქართული მწერლობის გვირგვინს – „ვეფხისტყაოსანს“ საჯაროდ რომ შეესივნენ და „იგავმიუწვდომლად ბრძნული“ ინტერპოლაციების მაკულატურა დააზვინეს! მალე ეს ავანგარდი ლევან ბერძენიშვილმაც შეავსო და რა გასაკვირია ლელა კოდალაშვილი ამ წარჩინებულ ბომონდს ხალისით მიკედლებოდა. საქართველოში სახელის, გავლენისა და ფინანსური კეთილდღეობის მოსაპოვებლად ხომ უკეთესი გზა არ არსებობს! მან კრიტიკის წუნმდებლის კვერთხი ეგზომ მაღლა, დაუსაბამო სივრცისკენ აზიდა და „ახლებური ხედვისა თუ წაკითხვის“ სპექტრში „ეთერიანი“, შუშანიკი, „ვეფხისტყაოსნის“ ძალგულოვანი გმირები (რა თქმა უნდა ფემინისტებს თვალში მამაკაცები ეჩხირებათ, განსაკუთრებით რაინდები) და ერთხელ უკვე დაწუნებული „ოთარაანთ ქვრივი“ მონიშნა! მკითხველს ვთხოვ დაიმახსოვროს, რომ ეს აგრესიული შეტევა კლასიკაზე კულტურის სამინისტროს მიერ დაფინანსებულ ჟურნალ-გაზეთებში მიმდინარეობდა. არ ვიცი ვისთვის როგორ, მაგრამ გულწრფელად გამეხარდა, როდესაც კოდალაშვილის დაკვეთილ, ანტიეროვნულ ექსპერიმენტებს ახალგაზრდა, თუმცა უკვე საკმაოდ ავტორიტეტულმა კრიტიკოსმა ლევან ბებურიშვილმა საკადრისი პასუხი გასცა. მისი წერილი „კლასიკის“ „ახლებურად გადაკითხვა ძველი შეცდომებით“ (2013 წელს „ლიტ. საქართველოს“ ჩვენთვის განკუთვნილ 2 გვერდზე დავბეჭდე) ამ ლაგამმიშვებული, კონიუნქტურული იდეოლოგიის „სვეცკი სექს ქურუმის“ გამიზნულ ტენდენციურობას, საფუძვლიანად ააშკარავებს, ამიტომ არ გამკვირვებია, როდესაც „ცოცხალი წიგნების“ აქციის ამ დაუცხრომელმა მონაწილემ თავისივე კოლეგა, ლიბერალების „ვეტერანი მამილო“ – ბესო ხვედელიძე მზეჭაბუკს შეადარა (ვითომ იხუმრა!) როგორია ნამდვილი რაინდები და მზეჭაბუკები ეშაფოტზე აიყვანო, „შენიანებს“ კი ვითომ და საძულველი ეპითეტები ჩამოურიგო. ყოველივე აშკარად სულთა ნათესაობის ბრალია. ეგ არის ქ-ნი კოდალაშვილი ამჯერადაც ვერ გამოდგა პირველაღმომჩენი. მან წმინდანად შერაცხული შუშანიკ დედოფალი „ცუდი დედობისა და გაუწონასწორებელი ხასიათის გამო“ მხოლოდ 2012 წელს გაკიცხა. აი, „მზეჭაბუკმა“ ხვედელიძემ კი ქართველთა სათაყვანო ვახტანგ გორგასალი ჯერ კიდევ XX საუკუნეში (თუ არ ვცდები 1998 ან 1999 წელს) ისე სამარცხვინოდ „შეამკო“, ამასთან ფემინისტი კრიტიკოსის საბრალდებო აქტი მოლაღურის ხმასავით მოკრძალებულად ჟღერს. სხვათა შორის წმინდანად შერაცხული მეფის კარიკატურული სახე ხვედელიძის პიესის „მონაპოვრად“ იქცა, თურმე ამ „სპექტაკლს“ პროვინციულ თეატრში ხალისით დგამდნენ!

ფაქტია, ამათ წრეში წმინდანებისა და რჩეული მამულიშვილების აუგად ხსენება დასწრებაზეა. ეს პირველად „ჭირს“, თორემ დროთა განმავლობაში ამ ლიბერალი „ფრუქტ-მწერლების“ რიგებში იმდენი ქრისტეს ფეხის მკვნეტელი მოგროვდა, სათვალავი უკვე თვითონაც ერევათ. დროა კვლავ დღიურს მივუბრუნდეთ, რომელიც ამ საგანგებო კრუიზში მონაწილე ადამიანების ბუნებისა და მოწოდების არსში წვდომას გაგვიადვილებს. ჩანაწერიდან ირკვევა, რომ აქციის მონაწილეებს გარდაბნისა და კახეთის რაიონისკენ აუღიათ გეზი. შთამბეჭდავი შემადგენლობა: ვანო ჩხიკვაძე – ჩინებული მწერალი, ზაზა ბიბილაშვილი, „მზეჭაბუკი მამილო“ ბესო ხვედელიძე, ლადო კილასონია, „თინეიჯერად“ წოდებული პოეტი და სპორტსმენი და ჩვენი შემართებული წუნმდებელი სწორედ მშობლიური სამინისტროს წინ შეიკრიბნენ. სადაც სამართალია, იქ აქციის ხელმძღვანელისა და კოორდინატორის გამოტოვება არ ეგების. მოარული ხმების თანახმად პროექტი ამ ადამიანების ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა. ხელმძღვანელი ქეთევან დუმბაძე, ნოდარ დუმბაძის ქალიშვილია. ჩანაწერის ავტორი შენიშნავს, რომ მას ყველგან ოვაციით ხვდებოდნენ, რაც სავსებით ბუნებრივია, როდესაც ზურგს სახელოვანი მამის ფასეული მემკვიდრეობა გიმაგრებს. კრიტიკოსის აზრით: „ალბათ ძალიან უცნაური გრძნობაა ნოდარ დუმბაძის შვილობა. სადაც უნდა წახვიდე, მამის თანხლებას ვერ ივიწყებ. ყველგან შენთან ერთადაა და თითქოს შეგახსენებს, რომ ერთი წამითაც კი არ უნდა მოდუნდე. ემოციის დიდი დოზის ტარება უწევს ქეთის. ზედაპირული ადამიანი იტყვის – რა არის რთული მაშინ, როცა ყველასთვის საყვარელი მამის შვილი ხარ და მწვანეს გინთებენო...“

ქ-ნ ქ. დუმბაძეს ერთხელ საპატრიარქოს რადიოში შევხვდი. მარიამ წიკლაურის საავტორო გადაცემას სტუმრობდა. (ამის შემდეგ სტუდიაში ჩემი ყოველკვირეული გადაცემის ჩაწერა იყო დაგეგმილი). კოლეგამ მას ჩემი თავი წარუდგინა, თუმცა ქ-ნი სასაუბროდ განწყობილი არ ჩანდა და მეც აღარ შემიყოვნებია. მარიამ წიკლაური, საინტერესო პოეტი და პროზაიკოსი 11 წლის წინ შესანიშნავმა პოეტმა და ჟურნალისტმა თამარ შაიშმელაშვილმა გამაცნო. საკმაოდ ენერგიული პიროვნება, თუ სადმე რაიმე ღონისძიება იმართებოდა, ყველგან ხალისით მიიჩქაროდა. იმ დროს სალონ „დიაოხის“ ეგიდით ლიტერატურულ საღამოებს ინტენსიურად ვმართავდი და ძალიან გამეხარდა ახალგაცნობილი კოლეგა, ვისი ლექსებითაც თავიდანვე მოვიხიბლე, ჩემი ინიციატივით გამართულ ღონისძიებებში სიამოვნებით რომ მონაწილეობდა. სხვათა შორის მან თავისი კრებული თბილი წარწერით მისახსოვრა, სადაც სიხარულს გამოხატავდა სამშობლო ასე ძალიან რომ მიყვარდა. (ავტოგრაფის ტექსტს ვიმოწმებ). ზუსტად აღარ მახსოვს ჩვენი გზები როდის გაიყარა.. ამის მიუხედავად ახალი წიგნების წარდგინებაზე (სადაც თავად მიწვევდა) დასწრება მისთვის არასდროს დამიმადლებია. მოგვიანებით საპატრიარქოს რადიოში ერთმანეთს კვლავ შევხვდით. ორივეს საავტორო ლიტერატურული გადაცემა მიგვყავდა. სტუმრადაც მოვიწვიე, არაერთხელ პატივისცემით ვახსენე, როგორც ენერგიული პოეტი. ღვაწლმოსილი მწერლის დოდო ხიმშიაშვილისგან ისიც შევიტყვე, როდესაც მისი ძმის, 42 წლის შეთქმულების მეთაურის, უნიჭიერესი მწერლისა და რჩეული მამულიშვილის, კოტე ხიმშიაშვილის ხსოვნას საგანგებო რადიოგადაცემა მივუძღვენი, უდროოდ დახვრეტილი ჭაბუკის ღვაწლით გამომცემლობა „პეგასის“ ხელმძღვანელი დაინტერესდა და მალე კოტე ხიმშიაშვილზე სოლიდური წიგნი გამოსცა, ამ საქმეში მ. წიკლაურიც ჩაერთო. ქ-ნ დოდოს არ დავვიწყებივარ, კრებულში კოტესადმი მიძღვნილი ადრინდელი ლექსი და „ჯონქა ხორნაულზე“ დაწერილი რეცენზია შეიტანა (ეს ჩემი ერთ-ერთი პირველი პუბლიკაცია „ლიტ. საქართველოში“ გამოქვეყნდა), თუმცა წიგნმა ჩემამდე ვეღარ მოაღწია. ცალკე თემაა, ნანატრი კრებული რამდენი შემთხვევითი ადამიანის ხელში მოხვდა. არადა გამომცემელს მხურვალე მადლობის გადახდა არ დავიწყებია ასეთი დიდებული მწერალი და მამულიშვილი სწორედ ჩემი რადიოგადაცემის წყალობით რომ აღმოაჩინა. ჩვენში მსგავსი ანაქრონიზმი აღარავის უკვირს და მეც იმიტომ გავიხსენე, მკითხველი რომ დარწმუნდეს რაოდენ ძნელია ღირსეული მწერალი შთამომავლობას უდანაკარგოდ შემოუნახო. რეპორტაჟების მიხედვით ვიცოდი, რომ კოლეგამ გავლენიან, შეძლებულ ხალხთან მეგობრობასა და პომპეზურ თავყრილობებზე დასწრებასა და მონაწილეობას მოუხშირა. ერთხელ აღებული კურსის მკვეთრი ცვლილების გამო ძველი მეგობრები ზურგსუკან ცხარედ კიცხავდნენ. ჩინებული მწერლისა და დრამატურგის, შიო მღვიმელის ქალიშვილის, ქეთევან ქუჩუკაშვილის ხსოვნის საღამოზე რომ მოვისაკლისე (ღრმად მოხუცებული ქ-ნი ამ ღონისძიებას სიხარულით ელოდა, მაგრამ სამწუხაროდ ვეღარ მოესწრო!) პირდაპირ ვუთხარი, რომ კეთილსინდისიერ მწერლებს აღარ სწყალობდა და მხოლოდ საგანგებოდ გაპიარებულ საღამოებზე, კერძოდ, თი ბი სი ბანკის მიერ გამართულ ღონისძიებებს ესწრებოდა. ჩემი გულახდილობით შემცბარმა მომიგო, რომ გასაკრიტიკებლად დრო შევურჩიე (დიალოგს სხვებიც შეესწრნენ და მისდა უსიამოდ მხარი მე დამიჭირეს, რადგან საერთო სათქმელი გავახმოვანე.). როცა სიტყვა საქმეს აღარ ემთხვევა, კითხვების გაჩენა ლოგიკურია. მზარდი პოპულარობა თავში თუ აგივარდა, თვალსადახელსშუა გაყოყოჩდი, გაკუშტდი და ამპარტავნებით იმათ დაემსგავსე, ვი-

საც წამდაუწუმ დაუზარელი პათოსით აკრიტიკებდი, ამას დანარჩენებზე უკეთ ის „არასასურველი“ მოწმეები ამჩნევენ, ვისთანაც ოდესღაც არც თუ ურიგო ურთიერთობა (რაც მართალია, მეგობრები არასდროს ვყოფილვართ!) გაკავშირებდა. ცხოვრება ათასგვარ შესაძლებლობას გვთავაზობს. შენი ნებაა, რას ან ვის ირჩევ. ეგ არის, წარსულს ვერ ამოშანთავ და ვერც ვერავის აუხვევ თვალს, მით უფრო თვითნებურად ვერ დაადგენ, შენი სურვილისამებრ შეგაფასონ იმის მიუხედავად, რომ გავლენისა და საჭირო კავშირების გაფართოება საზოგადოების თვალში წონას რამდენად გმატებს. ფაქტია, ავტორიტეტის მოფრთხილება ცდუნებების უკუგდების ხელოვნებას მოითხოვს, რითაც თანამედროვე მწერლები (გავლენისა და პოპულარობის ხარისხის მიუხედავად) დიდად ვერ დაიკვეხნიან!

ამასობაში ქ-ნი კოდალაშვილი ხუმრობანარევი დარდიმანდობით გარდაბანში შეკრებილი აუდიტორიის (კრიტიკოსი 30 თუ 40 ქალის განწყობაზე მოგვითხრობს, მანამდე შენობის კიბეზე დამონტაჟებული მიკროფონების შემოფეთება აბნევს. „წამით ელდა გვეცა-ჩვენთვის ხომ არ დადგეს ეს მიკროფონები. ასეთ პოზიციაში მხოლოდ მიტინგს თუ ჩაატარებ, ან საზეიმო სიტყვით მიმართავ ერს...“

ფაქტია, ძაღლის თავი სწორედ აქ მარხია. ლიბერალური მსოფლმხედველობით აღჭურვილი მწერლები 25-წელია ჯიუტად იმეორებენ, რომ მწერალი ერის „დამოძღვრას“ უნდა ჩამოეხსნას, ეს მათი სამეფო კოზირია. ცნობადებს, სადაც მოუხერხდებათ, კატონისეული სიკერპით გაიძახიან, რომ მათ სერიოზული პასუხისმგებლობა აღარ აკისრიათ, ეს „გადმონაშთი“ წარსულს ჩაბარდა, თანამედროვე მწერალი მხოლოდ მოთამაშეა, ღლაბუცობს, იგი პიკანტური ამბების „ფიქსირებითაა“ დაკავებული. მოკლედ, ერისთვის სათქმელი არა აქვს. სინამდვილეში ეს „ბომონდელები“ კონიუნქტურული იდეოლოგიის თანახმად ეროვნულ მწერლობას გეზმიმართულად სახელს უტეხენ და კლასიკოსების ღვაწლს საგანგებოდ ამახინჯებენ, ხალხს თავისი საუკეთესო შვილები რომ შეაძულონ. ქამელეონებს არ ეშლებათ გულუბრყვილო ადამიანების გულის მოსაგებად თავიანთ „ჰუმანურ“ აქციებში კარგი მწერლებიც ჩართონ და მოწინავეებად გაიყოლონ. აი მაშინ კი გაჭირდება დაადგინო ვინ ვის ბანაკშია. ვთქვათ, ჩინებული პოეტი თავისი ადრინდელი „ჰიტით“ (კრიტიკოსის ტერმინოლოგიით) პუბლიკას კეთილად განაწყობს, ამასობაში მისი ახალგაზრდა კოლეგა საპირისპიროს მოიმოქმედებს. მოკლედ, აირია მონასტერი ამგვარი ვითარების საილუსტრაციოდ ითქმის. ლუსტრაცია კი ნურას უკაცრავად, აქ სავსებით ზედმეტი და სახიფათოა, ამ „ჭკუამხიარულ კომპანიას“ (დღიურის ავტორის სიტყვებია) დამატებითი „პრობლემები“ ნამდვილად არ სჭირდება. კრიტიკოსი ქალი მკითხველების გულის მოსაგებად აქტუალური პიესის წაკითხვას გადაწყვეტს. (შინაარსს გულღიად ყვება. მარტოხელა დედის მიერ უკანონოდ გაჩენილი შვილის თემა ლიტერატურაში არაახალია. მკითხველზე ძლიერი ზემოქმედების მოხდენა მწერლის მიერ არჩეული გადაწყვეტილების პარალელურად მის მხატვრულ უნარზეა დამოკიდებული,რისი დადგენაც „ადაპტირებული“ ტექსტის ფრაგმენტულობიდან გამომდინარე არ ხერხდება.)

„აქ ხომ მარტო ქალები არიან. ჰოდა ქალებს სხვა რა დაინტერესებთ, თუ არა ქალური ამბები“. ჩვენში დარჩეს მრავალმხრივ შემოქმედს (რომელიც კრიტიკის, პროზისა და დრამატურგიის ჟანრში მუშაობს) თუნდაც ფემინისტური სოლიდარობიდან გამომდინარე ასეთი სწორხაზოვანი, შეზღუდული წარმოდგენის შექმნა მშობლიური სქესის წამომადგენლებისადმი კონიუნქტურულ ჩარჩოში ათავსებს (ფაქტია, ამას რამდენად აცნობიერებს) ან იქნებ ქალი მკითხველისგან განგებ მოდური ფსევდოდასავლური თემების მხარდაჭერას ითხოვს, „ნოუ ჰაუს“ პოპულარიზაციით ზებომონდის წიაღში პოზიცია რომ გაიმყაროს, ეგებ სულაც „დამსკი რომანები“ მისი სტიქიაა. არ გამოვრიცხავ, ბავშვობაში ჟორჟ სანდის პიროვნებით ყოფილიყო გატაცებული (ამ ფრანგი გულთამპყრობელი, ემანსიპირებული მწერლის რომანებს მეც ხალისით ვკითხულობდი). ასეა თუ ისე, წითელ წიგნში შესატანი მანდილოსნების უფლებაც ხომ ვიღაცამ უნდა დაიცვას, თორემ ხულიო კორტასარისა არ იყოს, მხოლოდ მდედრი მკითხველები მტრისას! აშკარად ძალიან შეზღუდული არეალია დ ვეჭვობ თანამედროვე ფემინისტებს რაიმეში სერიოზულად წაადგეთ!

მდედრი მკითხველის თვალსაწიერში „მზეჭაბუკი“ ხვედელიძის ნეპალური ოდისეა მართლაც რომ ეგზოტიკურ შტრიხს შეიტანდა. კატმანდუში მომხდარი ორი დამანგრეველი მიწისძვრით აღელვებული „მოარულ გიდად ქცეული“ (ავტორის დაკვირვებით) მამილო სმენად ქცეულ ქალებს დაუღალავად უამბობდა, იქ ვის როგორ ეხმარებოდა. კრიტიკოსი მასში მომხდარმა სასიკეთო ცვლილებამ გააოცა. მგონი შეხების წერტილიც გაჩნდა. ბ-ნ ბესო ხვედელიძეს დიდი ხანია ვიცნობ. ადრე (ჯერ კიდევ გასული საუკუნის დამლევს ჩემს ოჯახში გორგასლის საჯარო შეურაცხყოფისთვის პასუხი მოვთხოვე. ამის თაობაზე სტატიაც დავწერე, რომელიც ჟურნალ „ამერიმერში“ გამოქვეყნდა) ჩვენმა საერთო მეგობარმა რამდენჯერმე ოჯახში დაუპატიჟებლად მომაყენა კარზე. ეს უკანასკნელი ქართველმოძულეობის მძვინვარე დემონსტრირებისთვის პოეტებმა გვარიანად რომ არ მიჟეჟეს, უეჭველად ნეპალის ღვთაებას უნდა

უმადლოდეს! ნასვამი რომ იყო, ალბათ ამან უშველა. ვინც მის შემოქმედებას შებედავს, მფრინავის გული თუ არ უძგერს, ხვედელიძის ლიტერატურული ჯუნგლებიდან გაღწევა აშკარად გაუჭირდება. მისი მოთხრობების შინაარსის აღქმისა და აზრის გამოტანამდე უღვთოდ დამახინჯებული გრამატიკული წესების დადგენა მოუწევს, თან მტანჯველი განცდა უნდა დაძლიოს და თავბედი იწყევლოს, რა მრჯიდა ამ რეკლამირებული პილიგრიმის „ბალანდის“ დასაგემოვნებლად ყოველი ფეხის ნაბიჯზე უწესრიგოდ დახვავებული, მრუდე კონსტრუქციის წინადადებებიდან გისოსებივით ამოჩრილ მოუთმენელ შეცდომებსა და უხამსობებს წამოვგებოდიო! სტაჟიანი მამილოს მემკვიდრეობის მხატვრული დონე და საშემსრულებლო ტექნიკა გვარიანად რომ მოიკოჭლებს, „კიდევ ჯანდაბას!“ სამაგიეროდ კონიუნქტურული იდეოლოგიის ფრონტზე მსგავსი ჩავარდნები ნამდვილად არ აღინიშნება. ამ განხრით ეს ჩვენი ცნობადი „მზეჭაბუკი“ ლიბერასტულად „გლიჯავს და უბერავს“! ამიტომაც მისი „სიბრძნისმეტყველების უზადო ნიმუშები“ აგერ 15 წელიწადია პირდაპირ დატაცებაზეა და კულტურის სამინისტროს ღმერთი როგორ გაუწყრებოდა ეს მსხვილი ვარსკვლავი ნეპალელებისთვის მუქთ მუშახელად ეფეშქაშა! აქ მას თავის „შედევრებში“ გვარიან თანხას უხდიან და შუა გზაზე უდროოდ რომ არ შემოაღამდეს, მსოფლიოს გარშემო კრუიზი რამენაირად უნდა შეაწყვეტინონ. სხვათა შორის ქ-ნი კოდალაშვილი „მზეჭაბუკის“ კერპთაყვანისმცემელი არ გეგონოთ. ჟამიდან ჟამამდე მის მოთხრობებს ერთობ კომპეტენტური ტონით იწუნებს და „მოარულ გიდს“ მათრახივით მწვავე შენიშვნებსაც სტყორცნის. (ამის საილუსტრაციოდ იხილეთ სტატია „ქართული სამწერლო არენა – ბრძოლა წესების გარეშე“, რომელიც „ლიტ. გაზეთში“ 2015 წლის 30 იანვარი-12 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა.) თურმე ამ უკანასკნელს პერსონაჟის პირით წამოსცდა, რომ ღმერთის არსებობის სჯერა. არადა წლების წინ ბ-მა ხვედელიძემ ავტორიტეტულ, ეროვნულ გაზეთში მამაღმერთისა და ქრისტეს ურთიერთობაზე ლეო ტაქსილის მანერით იოხუნჯა და იქილიკა. მოკლედ, მკრეხელობების შადრევანი აახმაურა. ცალკე თემაა მსგავსი უხამსობა (მხატვრულადაც საკმაოდ უსახური) იქ რატომ დაიბეჭდა, სადაც არაერთ ღირსეულ მწერალს ხანგრძლივი ლოდინი უხდებოდა. ფაქტია, თუ სადმე მსუყე ლუკმა გავარდება, ამ დალოცვილს (საძმოსაც ნუ დავივიწყებთ!) ჯამით მისვლას ვერავინ მიასწრებს. ბევრისგან მსმენია თორემ ჯამის მტლოკავთა ჯოგში გარევის შნო რომ მქონდეს, სულ მცირე, „ცოცხალ წიგნად“ მაინც დამაფასოებდნენ და ამ ბედნიერ „ნეპალელთან“ „აწყვეტის სიამოვნება“ მაინც შემრჩებოდა! თუ აწყვეტაა, სიღნაღი სწორედაც შესაფერისი ადგილია. (დღიურის ავტორის აზრს ვიმოწმებ) სიყვარულის ქალაქში (ჩვენებურ პარიზში) რა მნიშვნელობა აქვს გუშინ ვინ გააკრიტიკე, თუკი დღეს მასთან ერთჭერქვეშ სასტუმროში დაბინავდი და დროის სატარებლად ერთი ხელადა ღვინო არ გაკმაყოფილებს. მართალია ღვინოშია ჭეშმარიტება, მაგრამ ამ მაგიური სითხით გვარიანად შეჭიკჭიკებულს გამოფხიზლებამდე აღარ გადარდებს, იმ ვითომდა იდეურ მოწინააღმდეგესთან ძველი ანგარიშები გაქვს გასასწორებელი თუ პირიქით. უპრიანია გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კვლავ დღიურის ტექსტს შევუამხანაგდეთ, რათა კრიტიკოსის განწყობა ოდნავაც არ გავაზვიადოთ: „ისე, ამ აწყვეტას რომ გავიძახი, ნეტავ, ვინ რას იგულისხმებდა ამ სიტყვის მიღმა. (წინდახედული, სანახევრო ფემინიზმის ნიშნები სახეზეა) აი, მითხარით, როგორ შეიძლება, აიწყვიტოს რამდენიმე შუა ასაკის ქალმა და კაცმა და ერთმა ოცდაათი წლის ყმაწვილმა?“ ეს რებუსი აშკარად საახლობლო წრის „პრესტიჟის დასაშოშმინებლადაა“ გამიზნული და რადგან „თინეიჯერი„ კვადროციკლის დახმარებით „აიწყვეტს“, დანარჩენები „გართობის ტრადიციულ ფორმას მივმართავთ. ალკოჰოლი და ღლაბუც-ხორხოცი ღამეულ ქალაქში. მოკლედ, შუა ხნის ხალხი-მეთქი და იმდენი ვიკისკისეთ, აშკარად გაოცებულია ამ თავაშვებულობით ჩვენი ახალგაზრდა და კდემამოსილი მიმტანი“.

მკითხველმა სოლიდური ასაკის მოღლაბუცეებით „აწიოკებული“ ღამეული სიღნაღის „სცენა“ წარმოიდგინოს. მიმტანის რეაქციის რა მოგახსენოთ და შორეულ 1998-ში წინანდლის ხუთდღიან სემინარზე აწყვეტილი (იქ გაცილებით სერიოზულ აწყვეტას ჰქონდა ადგილი!) ოქროს ახალგაზრდობის „ფოკუსებს“ თავად შევესწარი და ამ ყაიდის ადამიანებისგან (ამ სვეტების უმრავლესობას ქ-ნი ჩემზე უკეთ იცნობს) აღარაფერი მიკვირს. ასაკი სიბრძნეს რომ ვერ შეგმატებს, ამას ცხოვრებისა და საქმიანობის წესთან ერთად თანდაყოლილი ხასიათიც ამტკიცებს. ესენი მუდამ ამგვარად ღლაბუცობენ (ან ამ თვისების გამოსავლენად ხელსაყრელ დროს ელოდებიან) წინააღმდეგ შემთხვევაში უცვლელი ფავორიტების სტატუსს ვერ შეინარჩუნებდნენ და ქვეყნისა და ათასი საზრუნავით დამძიმებული რიგითი ადამიანების რეალურ ტკივილს გულწრფელად გაითავისებდნენ.

თუნდაც „მზეჭაბუკის“ მაგალითით ვიმსჯელოთ, რომელიც თავისი დღე და მოსწრება ეროვნული ღირებულებების გაუფასურებითაა დაკავებული. საინტერესოა ნეპალელთა უანგარო ქომაგს პუბლიკის წინაშე თავისი საყვარელი მოთხრობა „პატივა“ რომ წაეკითხა, სადაც ქართული სოფლის სიმბოლო განავალში ჩაძირული სიბინძურეა, ნეტავ კახელები რა გუნებაზე დადგებოდნენ?! ქალ მკითხველებს თუ ჩვენი კრიტიკო-

სისთვის დამახასიათებელი სანახევრო შემართება მაინც აღმოაჩნდებოდათ, სეირი მაშინ გენახათ „მზეჭაბუკს“ როგორ ააბურთავებდნენ! ერთი რამ ვერ გამიგია. ეს „მოარული გიდი„ წამდაუწუმ მსოფლიოში დამოგზაურობს და დავიჯერო არ სმენია, რომ პატივში ჩაფლული სოფლები აფრიკის კონტინენტის ეროვნული ატრიბუტია (ისიც ყველგან არა) თუ, რადგან ფერადკანიანთა „შეურაცხყოფა„ „დასჯადია“, სხვების „ღირსებები“ უცილობლად ქართველებს უნდა მოგვაწეროს, აქაოდა „ჩემიანებიდან“ ვერავინ ვერაფერს შემომკადრებს, აგერ კატმანდუს მიწისძვრებს გადავურჩი და რაღა „პატივაში“ ჩავიმარხოო!

მოკლედ, ვისაც ამ „მზეჭაბუკისთვის“ სიკეთე უნდა, უვადო ავიაბილეთი უყიდოს ან მფრინავი ჰოლანდიელის თავისუფლება მიანიჭოს, ეგებ ჩვენც დაგვეხსნას და თვითონაც მოისვენოს, პეწენიკი კაცია და ნეხვში ცხოვრება არ იზიდავს. მაინც სულ ნეპალი ელანდება და ამ ჩვენი ცოდვით სავსე ბარონ მიუნჰაუზენს აქ რაღას მოაქანებენ? ლიბერალების წინაშე იმდენი დამსახურება კი მიუძღვის, საძულველი ქვეყნიდან მშვიდობიანად განთესონ! ბოლოს და ბოლოს ძალდატანებასაც საზღვარი აქვს! გურჯაანში შედარებით მძიმედ წარიმართა შეხვედრა, რადგან მდედრი მკითხველების გარდა დარბაზში მამაკაცებიც იმყოფებოდნენ და „ნებაზე მიშვებული“ (ავტორის ციტატა) მწერლების ტირადები ერთ-ერთმა მათგანმა გააპროტესტა. უკმაყოფილება „თინეიჯერი“ კილასონიას ფრაზას გამოუწვევია. მისმა განაცხადმა, რომ ერთდროულად უყვარს და ეზიზღება სამშობლო, მკითხველი გააღიზიანა. მან პროტესტის ნიშნად იქაურობა დატოვა. ფაქტია, „თან სიყვარული და თან ზიზღი“ საყოველთაოდ გაბატონებული ორაზროვნება და უფასო ლექცია სტერეოტიპების მსხვრევაზე (ეს უკვე ჩვენი კრიტიკოსის საფირმო ნომერია) ბუნებრივ უკმაყოფილებას იწვევს. შეჭირვებულმა კაცმა სამინისტროს მიერ წარგზავნილი რჩეული მწერლებისგან გამხნევების ნაცვლად აგრესიისა და ზიზღის დოზა თუ იწვნია, თან ამას სავალდებულო სტერეოტიპების მსხვრევის მუხლიც ზედ დაერთო,როგორ გგონიათ საგანგებოდ ჩამორიგებული ნომენკლატურული წიგნების და უსახური მაისურების იმედად სასწაულმოქმედი ძალით აღივსება და აქციის მონაწილეებს ჭირისუფლებად მიიჩნევს?! და რადგან კრიტიკოსს გულწრფელი პროტესტი ფარისევლურ ღიმილზე მეტად ეძვირფასება, ალბათ სხვა დროს უფრო მოკრძალებულად გაირჯება, თუმცა ის,რაც შენ სტიქიას არ თანხვდება, ადვილი შესათვისებელი არ გახლავთ.

დღიურის ავტორი პუბლიკის შემადგენლობას მუდამ ხაზს უსვამს,უკმაყოფილებას ვერ ფარავს, დამსწრე საზოგადოება ქალებისა და ბავშვების სიმრავლით რომ გამოირჩევა. „აი, სად გაჭედა ჩემმა თემებმა – იქით ეროტიკა, აქეთ სუიციდი, მოღალატე ცოლები, კლიშეების მსხვრევა და ათასი რამ, რაც ახლა ნერვების მომშლელად მეჩვენება, ნეტავ, ერთი ჩუმი და უპრეტენზიო ლექსი მაინც მქონდეს მტრედზე, მოლაღურზე, ან, სულაც, სამშობლოს მთა-ბარზე... ჰმ, პოეტებს რა ენაღვლებათ. მით უფრო მათ, ვინც კონვენციურ ლექსებს წერენ, რაც ყველაზე კარგად ისმინება დარბაზიდან“. ამ აღსარებას უცნაური ელფერი დაჰკრავს, აშკარად წინააღმდეგობრივი აზრთა შეხლა-შემოხლის მაცნეა. შეუძლებელია ერუდირებულმა კრიტიკოსმა არ იცოდეს, მით უფრო არ გაითვალისწინოს თანამედროვე მკითხველის სპეციფიკა, რაც წესით მის გენდერულ თავმოყვარეობას უნდა ესალბუნებოდეს. თავის დროზე უკვე ფოლკნერი მიუთითებდა, რომ ამერიკაში ქალები კითხულობენ და არა მამაკაცები. ეს რომ გლობალური სენი არ იყოს, მდედრი მკითხველებით არც არგენტინიდან პარიზში დამკვიდრებული ხულიო კორტასარი გაბეზრდებოდა.

მოკლედ, ამ განხრით ამერიკულ სტანდარტს აშკარად ვაკმაყოფილებთ, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი თვალის გადავლებით. თავყრილობებზე მოჭარბებული ქალების საპორწონედ ნაკითხობით ასაკოვანი მამაკაცებიც გამოირჩევიან. (ესეც საკმაოდ შეფარდებითია) ახალგაზრდების ცოდნის შესაფასებლად ჯერ თავს შევიკავებ, ნაადრევი დასკვნა უზუსტობას შეგვამთხვევს. ტექნოლოგიური ზეწოლა საკმაოდ ანგარიშგასაწევი ფაქტორია და ვნახოთ საბოლოო ჯამში ვინ ვის ან ვინ რას გადასწონის.

ნამდვილი პოეტების „სიმსუბუქე“ აშკარა პრეტენზიულობის მაჩვენებელია. კრიტიკოსის გაღიზიანებას რითმიანი(კონვენციური) ლექსის დომინანტობა იწვევს. რეალურად ვერლიბრი მცირერიცხოვანი ინტელექტუალების „ელიტარული ხილია“. ხალხი, აგრეთვე ქართული ენის განსაკუთრებული მუსიკალობისა და მრავალფეროვანი ქართული პოეტური მემკვიდრეობის სათანადოდ შემფასებელი გემოვნებიანი მკითხველი გალაკტიონს, აკაკის, ვაჟას, გ. ლეონიძეს (ჩვენმა კრიტიკოსმა ერთ სტატიაში „ყივჩაღის პაემანის“ ავტორს წირვა გამოუყვანა!) გრანელსა და ლადო ასათიანს „მძიმე არტილერიის“ ხმის მქონე პოეტებით არასდროს ჩაანაცვლებს და ეს ხარისხი მხოლოდ მტრედის ნოსტალგიით არ მიიღწევა. ქ-ნი კოდალაშვილის დაუძლეველი აგრესია დროგამძლე კლასიკისადმი ამ სახუმარო ტონით შეფეთქილი სტრიქონებიდანაც დაუფარავად ჟონავს. ის, რაც ამ კასტის წარმომადგენლების იდეოლოგიას არ თანხვდება, მათ მიერ დაფინანსებულ ჟურნალ-გაზეთებში დაუბრკოლებლადაა შეჩვენებულ-გაცამტვერებული, მაგრამ მკითხველთან უშუალო ურთიერთობისას ხისტი ძალმომრეობა

და აგრესიული რეკლამა სასურველ ნაყოფს ვერ-ასდროს გამოიღებს. ცალსახად ძალადობისას დაძ-აბულობისა და გაუცხოების ველი უმალ ირთვება. უპრიანია აქციის მონაწილეებმა გაითვალისწინონ, რომ მწერალთა შორის არსებული დაპირისპირე-ბა, მათი სკანდალული ქმედებები და სამარცხ-ვინო უპასუხისმგებლობა წლების განმავლობაში ტელეეთერით შუქდებოდა, საიდანაც იმდენი სიბ-ინძურე გადმოიღვარა, რომ ქართულ მწერლობას სახელი გაუტყდა და ახლა, ზედა ინსტანციებში მოკალათებულმა წვრილ-წვრილმა ჰეროსტრა-ტეებმა ფსევდოხალხოსნობის ეგიდითა და სამინ-ისტროს ხელშეწყობით საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა გაორმაგებული ძალით მოიწადინეს. ნე-ბავთ, ხალხისგან პოპულარობის გარდა „კუთვნილი თანხა ტექნიკურად ამოიგონ“. აბა, ავანსად გაცე-მულ 500 ლარს დაუყვედრებლად ვის შეარჩენენ და შეარგებენ?! მოკლედ, მშობლიური კულტურის სამინისტრო ათასმაგ ფსონს რამდენგზის ანაღ-დებს, ეშმაკმა უწყის! ერთ ანკესს რამდენი ღლავი უნდა წამოაგონ, საკითხავია! ამათ გათვლას გე-ნიალური მათემატიკოსი ევარისტ გალუა (21 ასაკ-ში დუელში მოკლეს) ახსნას ვერ გამოუძებნიდა, რამეთუ ლიბერალური ლაბირინთის ზიგზაგოვანი ბილიკები უთვალავი ხილული თუ უხილავი კა-ლაპოტისკენ მიიკლაკნება. ფაქტია, ასე თუ გაგრ-ძელდა, ფულის დიქტატურისა და ნომენკლატურუ-ლი იდეოლოგიის ზენოლით ეროვნულ მწერლებს, რომელთაც ღირსების გასხვისება ჯერ არ გადაუ-წყვეტიათ, „რუსული რულეტკის“ გარდა სხვა გზას აღარ დაუტოვებენ! ღლაბუცი და გართობა შამპანურის თანხლებით (სასმელის დასახელება პირობითია. მაგიური სითხე მხოლოდ თავისინები-სთვის ემეტებათ), სხვებმა მგლური კონკურენცი-ის პირობებში „დაწინაურება“ უნდა დაიმსახურონ! „ლიტერატურულ კორპორაციას“ დაუნდობელი კანონები აქვს: აქ მხოლოდ მოჩალიჩე მწერლები ხვდებიან და იმარჯვებენ!

დედოფლისწყაროში ჩვენს მედესანტეებს ხან-დაზმული (დაახლოებით 78 წლის) კახელი გლეხის გამჭრიახობა გულზე მურმანის ეკლად დაესოთ. თანამედროვე, უხამსი მწერლებისადმი უარყოფ-ითად განწყობილმა კაცმა კრიტიკოსი გულწრფე-ლად გააფრთხილა, „საკუთარ დედებს რომ აგინე-ბენ, ისეთი მწერლები ღმერთმა გვაშოროსო. მე, აბა, რისი მე ვიქნები, თუ ამ კაცს შორიდან და მოვლილი გზებით არ ავუხსენი, რომ მწერალი სხ-ვაა, პერსონაჟი სხვაა და შუა უზის დიდი ზღვარი. მომყავს მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ და სხვა ცნობილი მაგალითები, სადაც პერსონაჟი უმსგავსობას ჩადის და ეს მწერალს არ უნდა დაბ-რალდეს.“

მოკლედ, ჩვენი შეუპოვარი კრიტიკოსი თა-ვისიანების მიერ უხვად დაფინანსებული ჟურ-ნალ-გაზეთებიდან ქართული მწერლობის ბუმ-ბერაზებს რუსის ტანკივით რომ უტევს, რიგით ადამიანთან რატომღაც საეჭვო კდემამოსილებას იჩენს და კახელ კერკეტ კაკალს, ასაკის მიუხედა-ვად ღვინო ოდნავ რომ ეკიდება (ჩანაწერი გვამც-ნობს, რომ იგი ჭიქებს ჭიქებზე ცლიდა), შორიდან „ეკეკლუცება“, საკუთარი პოზიციის დასაცავად შემოვლით გზას ირჩევს და ჯანსაღ პიროვნე-ბას, რომელიც წუხს, რომ ის მწერლები „დედებ-ზე უხამსობას რომ წერენ, ღმერთმა გვაშოროსო“, დიდაქტიკურ-პედაგოგიური ტონით უხსნის, რომ თურმე პერსონაჟის გაიგივება ავტორთან არ შეი-ძლება და ამის მაგალითად „ჯაყოს ხიზნებს“ იშვე-ლიებს. ესეც მიხეილ ჯავახიშვილის – ქართველი კლასიკოსისა და მოწამის ტრაგიკული ბედი! მის შემოქმედებას განუწყვეტლივ ჯვარზე აკრავენ და ამახინჯებენ, არც ერთ დროში პატიობენ, ტო-ტალიტარულ რეჟიმში ჩაჭედილ დაუძლურებულ ერს შემზარავი რეალობა რომ უწინასწარმეტყვე-ლა! „ჯაყოს ხიზნების“’ ფროიდისტული განხრით წაკითხვა „ნელ-თბილი“ საბჭოური ტაქტიკაა და ძალიან მიკვირს თავდაპირველად პროლეტარი მწერლებისა და მოგვიანებით ნებიერი კომუნისტი მედროვეების სტილსა და მეთოდოლოგიას ქ-ნი კოდალაშვილი თვალისჩინივით რატომ უფრთხილ-დება და უზნეო „შემოქმედთა“ გასამართლებლად ბაირაღივით წინ მოაფრიალებს. ფასეულობათა ესოდენ გამიზნული შერყვნა გასაგებია, თუ კრი-ტიკოსის აღსარებას ბოლომდე გულდასმით გა-ვეცნობით. კახელ კაცთან (რომელიც ხალხის აზრს ახმოვანებს) „ნაზად“ მოჟღურტულე „ფემინისტი“ მორცხვად „გვიმხელს“: „მე სუფრის ფორმატი არ მაძლევს საშუალებას, ეს კაცი გადმოვიბირო და ზაზა ბურჭულაძის მწერლობის მიმართ სიმპათიით განვაწყო. „აღიარებაც არის და აღიარებაც! ვთ-ვათ, მოხდა სასწაული და გაბრიყვებულმა მკითხ-ველმა კრიტიკოსის აზრი გაითვალისწინა, ხოლო შემდეგ (ყოველი შემთხვევისთვის) ზ. ბურჭულაძის „მწერლობას“ ჩაუჯდა, ინცესტისა და ცისფერობის თემას „გაგებით“ მოეკიდა, მის შიშველ ფოტოს თამამად გაუსწორა მზერა (გიჟი თავისუფალიაო ამ პრინციპის გათვალისწინებით) პატრიარქის მის-ამართით გამოთქმული „სიბრძნე“ რა კონტექსტში აღიქვას?! მაშინ რომელი ქართველი კლასიკოსის ციტატითა და რომანით შეჯავშნავენ „შერისხულს? „თუ უკვე თვითმარქვია კორიფეებად თვითონ გა-ფორმდნენ და ბინ ლადენთან სექსზე მეოცნებე მამაკაცის პროვოკაციულ ბოდვას ხალხს გენიალ-ურ შედევრებად შეასაღებენ?! თუ მკითხველების თვალწინ მეტი დამაჯერებლობისთვის პერფორ-მანსი გათამაშდება? ვთქვათ, აქციის რომელიმე მონაწილე კრიტიკოსის მიბაძვით „ლბილს მდე-ლოზედ“ ნებიერად წამოგორდება, რაც ქ-მა კოდა-ლაშვილმა „თანმხლები ბიჭების“ (ავტორის ტერმი-

ნოლოგია დაცულია) თანდასწრებით მოიმოქმედა (ქვეწარმავლების სიმრავლე ამ წამოგორების რისკს ზრდის) ვითომ ეს არგუმენტი გაჭრის?! ცოტა არ იყოს რთულად პროგნოზირებადი თემაა...

არადა კახეთის დალაშქვრით შეფიქრიანებული კრიტიკოსი ასკვნის, რომ „ჩვენი აქციის მიზანი ის არის, რომ არ შევაჩეჩოთ მკითხველს ის, რაც ჩვენ მოგვწონს და რითაც თავს ვიწონებთ. არამედ შევთავაზოთ საინტერესო ტექსტები, ჩვენდამი ნდობას რომ გაუჩენს, სამომავლოდ სხვა მწერლების გაცნობას რომ მოანდომებს. ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების გამოწერას რომ შეაძლებინებს. ზედმეტად ნატიფადაა შესასრულებელი ის მწერლური და ინტელექტუალური მისია, რომელიც წამოვიწყეთ და რომლის გაგრძელებას სამომავლოდ ვგეგმავთ. უდიდესი სიფრთხილეა საჭირო, რომ კი არ განვხიბლოთ, არამედ მოვაწონოთ ლიტერატურა. გავხადოთ ის მათი ცხოვრების ნორმა და წესი.“ ამ სახუმარო გადახვევების ფონზე საკმაოდ მძიმეწონიანი დასკვნა გამოიჭედა. ესენი თავს რითიც იწონებენ, დიდი ხანია საყოველთაოდაა ცნობილი; ამიტომ კრიტიკოსი დროებით უკან იხევს და მზადაა „კერკეტი კაკლების“ გულის მოსაგებად სადისტურ-მკრეხელური ფანტაზიების, „სვეცკი“ გეების, ამორალური ცოლებისა და თვითმკვლელებისა თუ ღლაბუცა კონფორმისტების თავგადასავლები გვერდზე გადადოს და მკითხველებს „მათთვის საინტერესო ტექსტები შეურჩიოს“. საინტერესოა მკვეთრ ცვლილებას ამ შემადგენლობის ხარჯზე განახორციელებენ?! არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო, ვითომ არ სმენია?! ნდობის მოპოვება რომ ჯოჯოხეთურად რთულია და ისიც ამდენ ექსპერიმენტგამოვლილ ქვეყანაში, სადაც სიყალბის ზეწოლას ჩვილიც კი გრძნობს, ესოდენ საფრთხილო საკითხს დავიჯერო დაკვეთილი ვოიაჟებით მოევლება?! საქმის გასაიოლებლად ახალ მისიონერებს ალალად ვურჩევ უცვლელი ფავორიტები უპირველესად იმ ანტილიტერატურული ჭუჭყისგან გაათავისუფლონ, რითაც ქართულ მწერლობას ჟანგბადს გეგმაზომიერად უხშობენ. მოკლედ, განსაწმენდად ვეებერთელა კოცონი დაანთონ და „წინა ცხოვრებაში„ ნაჯღაბნი უხარისხო პროდუქცია ცეცხლს მისცენ სანამ ამას ხალხი არ მოიმოქმედებს ,ვინც ცხვრის ქურქში გადაცმულ მგელს მტრედისგან შეუმცდარად ასხვავებს. აი, გრანდიოზული პერფორმანსი ეს იქნება და ენა ვის მოუბრუნდება „ახალი მოწესეები“ ძველ ცოდვებთან გამოთხოვების გამო შერისხოს, თანაც ეს ღირსსახსოვარი აქტი ბარბაროსოობად რომ არ ჩაუთვალონ, ცხვირწინ სავონაროლას პორტრეტი აიფარონ და დაფდაფების ფონზე აგიზგიზებულ ალს ცეკვა-ცეკვით შემოურბინონ. ამ „ინტელექტუალურ“ სანახაობას ყველა გაგებით მოეკიდება. სადაც სავონაროლამ არაერთი შედევრი გაანადგურა, ბოტიჩელის საკუთარი ხელით დააფერფლინა ნახატები, ამასთან შედარებით არაფერი დაშავდება ბურჭულაძის, ხვედელიძის, იათაშვილის, ხარბედიას, შამუგიასა და დეისაძის და მათი ახალახალი მიმდევრებისა და დობილ-ძმობილების მემკვიდრეობა ყოვლისშთამნთქმელ ცეცხლს შეუნთო! ღვთის ძალით ამ უნივერსალურ საშუალებას ქრონოტოპი არ გააჩნია.

მოგზაურობის დროს კრიტიკოსმა შენიშნა, რომ მკითხველს თვალზე ცრემლი მოადგა (თავადაც ასე დაემართა), როდესაც ქ-მა დუმბაძემ ნოდარ დუმბაძის ჩანაწერებიდან რამდენიმე ფრაგმენტი წაიკითხა „ბოლო ტექსტი გალაკტიონის შესახებ“. ამ მრავლისმეტყველი შტრიხით მკითხველის არჩევანი მრავლისმეტყველია.

გული მწყდება სახელგატეხილ ავანტიურისტებს ნამდვილი მწერლები მჩქეფარე ენთუზიაზმითა და პრაგმატულად რომ ერევიან, შესანიღბ ფონს უქმნიან, ძალაუნებურად ნამუსს წმენდენ როგორმე კუთვნილი პატივისცემა, სახელი და თუნდაც ერთჯერადი, არც თუ სახუმარო თანხა სასტიკ ცხოვრებას ხელიდან გამოგლიჯონ! დაფასების სიკეთე წამიერად მაინც იწვნიონ, ხალხში გაერივნონ, დაბლოკვისა და დაუბეჭდაობის მტანჯველი ბორკილები წარსულს გადაულოცონ. მოკლედ,ვინც ფულს გადაუხდის, იმის დაკრულზე დაუფიქრებლად იცეკვონ, თან პათეტიკურად ამტკიცონ: რა ვქნათ, ჩვენ რა შეგვიძლია, ასეთი დროაო.

ნოდარ დუმბაძე ერთგან წერს: „სამშობლო როსკიპი ქალი არაა, მთვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ, სამშობლო ტაძარია სალოცავი. მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის საკურთხეველთან, ცალი ხელით პირჯვარს უნდა იწერდე, მეორეთი კი ხმალს იქნევდე, ეშმაკები რომ არ დაეპატრონნონ“.

ადრე პროლეტმწერლები სტახანოვურ გაწვევას სიხარულითა და სიამაყით უერთდებოდნენ. ამას ლიბერალების მიერ დემოკრატიული წესით შეკოწინებული ჭრელი კონგლომერატის ახალი ლაშქრობების ეპოპეა ჩაენაცვლა. აქ ყველაფერი ისე ეშმაკურადაა გათვლილი (თუ ერთმანეთში განურჩევლად აზელილი) ლამის ირწმუნო, რომ თხა და მგელი ერთდ ძოვდეს! ახლანდელი მოცემულობის გათვალისწინებით უახლესი ქართული მწერლობა კვლავ ძველი,მომაკვდინებელი საფრთხის-არაეროვნული იდეოლოგიის პირისპირ სრულიად განძარცვული და დაუცველია, რადგან შინაურიცა და გარეულიც პირადი კეთილდღეობის მოსაპოვებლად მმართველი ბანაკის კოჰაბიტაციურ რეჟიმში სათავისოდ „ჩალიჩობს“. „ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის!...“

19. 07. 2015.

P.S. ახლახან, ჟურნალ „ანეულის“ წარდგინებაზე პროექტის კურატორმა მ. წიკლაურმა ლექსის დეკლამირება არ იკმარა და „ცოცხალი წიგნების“ სახელით დიდაქტიკური ჭკუის სწავლება წამოიწყო, საზოგადოებას გულაჩუყებული უხსნიდა რეგიონებში ჩამკვდარი კულტურული კერის აღორძინება რაოდენ საშურია და იქ მივლენილი მწერლები რამდენად მნიშვნელოვან მისიას ახორციელებენ, რათა ადგილობრივებს თანამედროვე ლიტერატურასთან დაახლოება გაუადვილონ და ა. შ. როლში შეჭრილ პოეტს ვკადრე, რომ ეს პროცესი დიდი ხანია მიმდინარეობს (კულტურის შეგნებულ ნიველირებას ვგულისხმობ) და ამის შესაჩერებლად არაეროვნული „მწერლების“ ხალხში გაყვანა უარეს შედეგს გამოიწვევს, რომ შამუგიებისა და მისი მეგობრების პოპულარიზაციით ისედაც წამხდარ საქმეს არაფერი ეშველება. ნამდვილ მწერლებს გზა კვლავ დახშული აქვთ, ბერკეტები ისევ იმათ ხელშია, ვინც მთელი ცხოვრება ეროვნული მწერლობის გეგმაზომიერ, შეგნებულ დისკრედიტაციას ეწევა, რის გამოც საჭიროა სათანადო კრიტერიუმით დადგინდეს, ქართული მწერლობის დასაცავად ვინ რა წვლილი შეიტანა. ცალსახად გაიმიჯნოს, ვინ რას საქმიანობს, ვინ მოკეთეა და ვინ ქვეყნის მტერი და მაგინებელი, რომ ყველას გათანაბრება და ერთ სიბრტყეზე დაყენება ყველაფერს უარესად დააზარალებს. ჩემმა გამოსვლამ დარბაზი აახმაურა. გაირკვა, რომ დამსწრეთა უმრავლესობა ამავე აზრზე იდგა. მეგონა, კოლეგა აქტუალურ კითხვებს პასუხს გასცემდა. მისი ერთადერთი ფრაზა: ეს ეპატაჟიაო, რითაც არაეროვნული მწერლების გამოსარჩლება სცადა, დავის საგნად იქცა. მოგვიანებით მან ინტერნეტში საკუთარ გვერდზე მომხდარი დამახინჯებულად ასახა. გულისწყრომა ვერ დაფარა, რომ დარბაზი „აგრესიულად შეხვდა“ (ეს სიმართლეს არ შეესაბამება!) და თავისი მომხრეების მეშვეობით მოწინააღმდეგეების პიროვნულ შეურაცხყოფაზე გადავიდა. ჯერ ერთი, ყველგან ტაშისგრიალით რატომ უნდა შეგხვდნენ, მით უფრო იქ, სადაც საამისოდ არაფერი გაგიკეთებია, მეორეც, კითხვის დასმა თუ აკრძალულია, აქაოდა კულტურის სამინისტროს ნდობით აღჭურვილ პირებში ვირიცხებიო, ღიად განაცხადე, პროექტში მონაწილე მწერლებმა სათანადო ზომები მიიღონ და „ურჩების „გასანეიტრალებლად“ კართან დაცვა დააყენონ, რათა შიგნით სხვა არ შეიპაროს და ზედმეტი თავსატეხით კურატორი არ შეაწუხოს! კაცნი ვართ, ამაგს დაფასება უნდა!

როცა ასეთ რეზონანსულ პროექტში ეროვნული მწერლობის გამორჩეული ფიგურები: ბონდო არველაძე, როსტომ ჩხეიძე, ციალა არდაშელია, ერეკლე საღლიანი (საღლიანი სვანეთის ჯგუფში ოფიციალურად ეწერა და უცებ „გაქრა“, ეტყობა ვიღაც უფრო იღბლიანით ჩაანაცვლეს. ეს პროექტი რომ არა მას სვანეთის დალაშქვრას ვინ აღირსებდა!) თემურ ქორიძე, თინათინ მღვდლიაშვილი, სევარიონ ნადირაძე, ახალგაზრდებიდან ლევან ბებურიშვილი იგნორირებულია (საგანგებოდ გამოტოვებულია!) და ხვედელიძე, იათაშვილი, შამუგია ზარზეიმითაა წარმოდგენილი, რა გასაკვირია ქ-ნი კურატორის მაღალ კომპეტენციაში მცირედი ეჭვი შეიტანონ?! თანაც ამ ფონზე ბრეჟნევურ ტაშისცემასაც რომ მოელოდა, ეს კიდევ ერთ რამედ ღირს! ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველიაო და ვისაც დამკვრელურ-სტახანოვური გაწვევა ესოდენ ეძვირფასება, კეთილი ინებოს და ტაშმაისტერების პირადი შემადგენლობაც თავად დააკომპლექტოს, მე შენ გეტყვი გემოვნება ღალატობს თუ მსურველ-მეგობრების არმია აკლია?!

დრო გადაწყვეტს ვინ ცოცხალი წიგნია და ვინ კონიუნქტურულ თარგზე გამოშვებული მაკულატურა. მადლობა ღმერთს დრო კულტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში ჯერ არ გადასულა!

P. P. S. რადგან ცოცხალი წიგნების პროექტის კრიტიკა ჩემ გარდა ვერავინ გარისკა, წერილისადმი ინტერესი გაორკეცდა. სოლიდური პუბლიკა მის გამოქვეყნებას მოუთმენლად ელოდა. ჟურნალ „ამერიმერის“ რედაქტორმა, ვაჟა ჩორდელმა პუბლიკაცია ხალისით მიიღო, დააკაბადონა და პირადი შეხვედრისას აღმითქვა, რომ „ბომბი“ მწვავე თემატიკის რუბრიკის გათვალისწინებით უახლეს ნომერში ოპერატიულად დაიბეჭდებოდა. ნათქვამია, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო. ამასობაში „ამერიმერის“ რედაქტორმა სამოქმედო სტრატეგია შეცვალა, ანაზდად კულტურის სამინისტროსთან დამოყვრება მოიწადინა, რისთვისაც თურმე ჩემი წერილი იქაურ ზემდგომთ მუქარის სახით ცხვირწინ ამაყად აუფრიალა, აქაოდა მაგ პროექტში ჩემი გუნდიც ჩართეთ და ჩვენც გვახეირეთ, თორემ საჯაროდ გამოგაჭენებთ, საამისოდ ბომბი აგერ ხელთ მიპყრიაო. ეს ჩანაფიქრი გადაჭრით დავუწუნე; გამოცდილი რედაქტორი თავიდანვე გავაფრთხილე, რომ სამინისტროს პერსონალი ამ სატყურაზე არ წამოეგებოდა, თუმცა მის წინადადებას დროის გასაჯანჯლებლად სათავისოდ გამოიყენებდა, საბოლოო ჯამში „ამიერიმერი“ ვერც დაფინანსებას მიიღებდა და პროექტის მიღმაც ტექნიკური იგნორირების საშუალებით აღმოჩნდებოდა. ვაჟა ჩორდელმა ის კაცია, რომელიც მხოლოდ თავისი „ძველი დოსტის“, თამაზ წივწივაძის ბრძნადმეტყველებას იღებს ყურად; არადა, ისემც კარგი დაგემართოთ, როგორც ჩემი წინასწარმეტყველება ზედმიწევნით აუხდა! კულტურის სამინისტროს უსიერ ლაბირინთში ჩაძირულს ჟურნალის გამოცემა ნახევარი წლის მანძილზე გაუჭიანურდა; თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ უმოქმედობის ჟამს ფუჭი დაპირებების გაცემა არ შეუწყვეტია. ამ ბომბს

ვინ დაეძებდა და ახლახან გამოცემულ ნომერში ღირსეული ავტორების სრული იგნორირებით მოცემული სიტყვა გატეხა და იმგვარი წერილები არ გამოაქვეყნა, რაზეც ადრე დაუცხრომლად ნადირობდა და გულამომჯდარი იხვეწებოდა, არიქა, ოღონდ სარეიტინგო სტატიები მომაწოდეთ, თქვენი ვალიდან ვერ ამოვალო. მე პირობის დარღვევა არ მჩვევია და ენერგიულ რედაქტორს შეთანხმებისამებრ თვალსაჩინო მწერლების საუკეთესო პუბლიკაციები დროულად მივაწოდე, მაგრამ ბ-ნი წივწივაძისა და მისი აკადემიკების ნაფტალინიანი საძმოც არ თვლემდა (მათ გულზე ეკლად ესობოდათ „ამერიმერის“ რედაქტორთან ჯანსაღი თანამშრომლობის პრინციპი რომ გვაკავშირებდა და ამ ნიადაგზე არაერთხელ ახდილ და ფარულ პროვოკაციას მიმართეს! ერთ-ერთ ნომერში ჩემი წერილი „ქინქლების ორკესტრანტის ფიქრები„ არ გააშვებინეს, რადგან აქ აკადემიის კულუარებში მომხდარ საბოტაჟზე ფაქტების დამოწმებით მათთვის მტკივნეული სიმართლე გამოვააშკარავე.) და საბოლოოდ იმდენი იხიმანკლეს, „ჩემიანების“ ნააზრევი ჟურნალში აღარ გააჭაჭანეს. არადა, ჩორდელი მარსიანის ბრწყინვალე სტატიამ „ზვიადი და მამარდაშვილი„ იმდენად აღაფრთოვანა, წაკითხვისთანავე დამირეკა და მთხოვა ავტორისთვის მხურვალე მადლობა გადამეხადა. ფაქტია, წივწივაძემ მისი პათოსი არ გაიზიარა, რამაც პუტჩისტების ერთ-ერთი კრიტიკოს-ატამანის მიერ გამოტანილ ვერდიქტს გზა გაუხსნა. ჩვენი პუბლიკაციები „ამერიმერში“ უვადოდ გაიყინა. ამაში მოგვიანებით თავად ჩორდელი გამომიტყდა, როდესაც პირობის შეუსრულებლობის გამო პასუხი მოვთხოვე. ასეა, რედაქტორის ნიშნეულ პასუხისმგებლობასა და პრინციპულობას ბოლომდე რომ ვერ ინარჩუნებ და მონსტრების ჭიდილში მხოლოდ სატრანზიტო განაპირა დერეფნის როლი გერგება.

ამასობაში საზოგადოება დაანონსებული წერილის გამოქვეყნებას ითხოვდა, ამიტომ გაუთვალისწინებელი შეფერხებით გაძლიერებული ვნებათაღელვის დასაცხრომად გადავწყვიტე წერილი ინტერნეტში, საკუთარ ბლოგზე განმეთავსებინა. ერთხელ გაჯანჯლებული საქმის კეთილად დაბოლოებას საშველი არ დაადგა. ამჯერად სხვა დაბრკოლებამ იჩინა თავი, თუმცა მიზანშეუწონლად მიმაჩნია ამის შესახებ კონკრეტული ფაქტი დავიმოწმო. ეს ცალკე თემაა და აშკარად სხვა კალაპოტში გადავყავართ, რაც ჩვენი მსჯელობის შინაარსს სცილდება. ყველაფერს თავისი დრო აქვს და საბოლოოდ არც ეს დეტალი დარჩება გაუხმაურებელი.

საბოლოო ჯამში, ორგზის ხელოვნურად შეფერხებულმა წერილმა ჯერ ბლოგის დახმარებით მიაღწია მკითხველამდე; სხვადასხვა მიზეზთა გამო შერისხულ-აკრძალული სტატია ამჯერად ჟურნალის მეშვეობით მივა პუბლიკამდე, რომელსაც მწვავე სიმართლესთან შეუთავსებლობა ნამდვილად არ ახასიათებს!

2017

სევარიონ ნადირაძე

ახალი ლექსები

***

სულ სამი ნოტი ყოფნის სევდას, თუნდაც –
მი, დო, რე,
ვერ გაექცევი, ვერ წაუხვალ მანძილს სათოფეს,
შენს ფიქრზე ვიღაც უდარდელი, როგორც მინდორზე,
გადაირბენს და გულგრილობის ნიშანს დატოვებს...
წაქცეულ ბალახს უიმედო სევდით ეხები,
უკვე ათასჯერ გაიყინა, გადნა მდინარე,
და გრძნობ, შენს გულზე წეროებმა ლერწმის ღერებით,
ამინდებმა კი გუბეებით გადაიარეს...

სამი წერტილი

სამი წერტილი მოსჩანს ა. ბ-ე. ც-ე.
წარსულში ვტოვებ მგონი ალიონს,
ნეტავი ერთხელ ისე დავეცე,
რომ სამუდამოდ მოვინანიო...
კლდის ნაშალს მოვწყდი, განა დავეშვი,
კვლავ სინათლესთან დაობს საღამო,
და ლაბირინთის ანაგრამებში,
ვდგები, ვეცემი დაუსაბამოდ...
დავემშვიდობე ნაპირს, ნავს, ყურეს,
ზედ რომ მაშრება ჩქამის ნესტია
და უსასრულო სევდით გავყურებ,
მწუხრში გარბენილ ღამეს ეტლიანს...
სამი წერტილი მოსჩანს ა. ბ-ე. ც-ე.
წარსულში ვტოვებ მგონი ალიონს,
ნეტავი ერთხელ ისე დავეცე,
რომ სამუდამოდ მოვინანიო...

უკვე

უკვე ლექსებით თავს არ იწონებ,
შორს მიაქროლებს ჟამი მარულას
და გიხარია რომ არ გიცნობენ
და არ გხვდებიან ფამილარულად...
გამოუცხადე შენს თავს იპონი,
ცოდვის პერანგი ვერ გაგიხდია,
ცდილობ პატარა ჩრდილი იპოვნო
და დაემალო სახეს ნიღბიანს...
დღე ძველებურად სულ აღარ ანცობს,
დაგემსხვრა მთვარე – ვაზა სპარსული
და ერიდები ათასგვარ ნაცნობს,
პარადიგმებით გადაქანცული...
უკვე ლექსებით თავს არ იწონებ,
შორს მიაქროლებს ჟამი მარულას
და გიხარია რომ არ გიცნობენ
და არ გხვდებიან ფამილარულად...

***



ცისკენ აფრინდა
მართვე ირიბად,
და ნამგლით ხელში
მინდვრიდან, ძნიდან,
მზე ფერად ფანქრებს
გამთენიიდან
ჩემს ფანჯარასთან
თლიდა და თლიდა...

უსამანო წერილი

შენ უსამანო წერილებს წერდი,
და რადგან გავხარ სამიზნის ნაშალს,
მიყავხარ ყველა დაუსმელ წერტილს,
როგორც გარღვეულ ჯეებირს და კაშხალს....
ხან ოკეანედ იქცევა ღელეც,
გზა ეკარგებათ ნავებს და ნიჩბებს,
და ქარში ტოვებ შემართულ ხელებს,
როგორც განწირულ ძახილის ნიშნებს...
თოფდადევნებულ მგელს ჰგავხარ ჯიშით,
უკვე პატარა კვალიც ნაშალე
და შეშინებულ ხეების ჩრდილში
აკვესებ თვალებს – ღამის მაშხალებს...
შენ უსამანო წერილებს წერდი,
და რადგან გავხარ სამიზნის ნაშალს,
მიყავხარ ყველა დაუსმელ წერტილს,
როგორც გარღვეულ ჯეებირს და კაშხალს...

***

ჩემს ქალაქს მთვარემ მოადგა კიბე,
ხოლო შეშლილი ქარი გარედან
ფანჯრებზე ზამთრის პეიზაჟს ჰკიდებს
და დღეებს ფურცლავს, როგორც კალენდარს.
ნისლიდან მიხმობს კვლავ ჰერმან ჰესე,
მგლების ნაფეხურს ვხედავ მთვარეზე,
გავდივარ გარეთ და ზამთრის გზებზე
კალენდრის გამქრალ ფურცლებს დავეძებ.

***

მთებზე ნაზამთრალი თივა გახმა,
დარჩა ორი სიტყვა – თიხა, ოდა...
უკვე გამიარა იმ ასაკმა,
როცა ყველაფერი მიხაროდა...
ღელე მაგონდება, მერე სურა,
სამი ნაკადული, სამი წყარო,
ახლა შეგიძლია ძველებურად,
გვერდი სულ გულგრილად ამიარო...
ზუსტად ააყოლეს დანა ღობეს,

ბილიკს შემოადგა ჟამი ვიწრო,
უკვე ისიც აღარ დამაღონებს,
თუნდაც სამუდამოდ დამივიწყო...
მთებზე ნაზამთრალი თივა გახმა,
დარჩა ორი სიტყვა – თიხა, ოდა...
უკვე გამიარა იმ ასაკმა,
როცა ყველაფერი მიხაროდა...

***

კაფავენ მინდვრებს კვლავ ალმაცერად,
გზას მივუყვები ეკალ-ნარიანს,
სულ არ ჭირდება ლექსებს დაწერა,
დაუწერლადაც ჩემთან არიან...
სისხლია ყველა ლექსის საგზალი,
შეჯიბრებია ტომებს ტომები,
სულ არ ჭირდებათ გზებზე წანწალი,
ჩემს გულში უფრო გაიფონებენ...
თეთრმა დათვებმა გზები გაყინეს,
რაც თავს დაგვატყდა თურმე ახია,
ძარღვები უფრო კარგად აღვინებს,
ჯერ-გაუხედნავ სტრიქონს ძარღვიანს...
კაფავენ მინდვრებს კვლავ ალმაცერად,
გზას მივუყვები ეკალ-ნარიანს,
სულ არ ჭირდება ლექსებს დაწერა,
დაუწერლადაც ჩემთან არიან...

ძველი თემა

ძველი თემაა ქამი და სემი,
აქ შეუყვარდა ადამი ევას,
გორგასალსა ჰგავს ქალაქი ჩემი,
ხოლო ქუჩები ცხენების რემას...
კლდის ქიმს მაგონებს ამაყი ხედი,
პერგამენტს ქსოვენ მათე და ლუკა,
აქ წარღვნის მერე მოფრინდა მტრედი
და არ დაბრუნდა ნოესთან, უკან...
ჰგვანან დღეები გაფრენილ ქედნებს,
ცა მეტყველია წვიმების ბროლით,
და დედამიწის ცარციან კედლებს
მოარგო ტალღამ ფრაზა და როლი...
ისევ ღრუბლების იარუსს შევრჩი,
მზეს ოქროსფერი უჭირავს თარი,
და მობარბაცე ხეების წრეში
ჩრდილების თეატრს აცოცხლებს ქარი....

მწუხრის ჩურჩული

მხრებით ეხები დახრილ სარეცელს,
და ნაცნობ ჩურჩულს უსმენ მწუხრისას,
უკვე ყველაფერს გინდა გაექცე
გარდა სახლისა, გარდა ბუხრისა.

ისევ ჩაივლის მთვარე საუბრით,
რა უნდა გითხრას ასჯერ ნანახმა,
გსურს გააცილო ცივი ხმაური
კარებს გარეთ და სარკმლის გადაღმა...
გრძნობ დაბრუნება არის დროული,
კედელზე კიდებ ქურთუკს ჩრჩილიანს
და ისევ რაღაც ახალს პოულობ
იქ, სადაც ჩქამიც გაცვეთილია...
მხრებით ეხები დახრილ სარეცელს,
და ნაცნობ ჩურჩულს უსმენ მწუხრისას,
უკვე ყველაფერს გინდა გაექცე,
გარდა სახლისა, გარდა ბუხრისა.

ტყე

ჯადოსნურია ფოთლების ნოხი,
წყაროზე დარჩა ფიფქიას კოკა
და უთვალავი დედაბრის ქოხი
ქათმის ფეხებზე ცქმუტავს და როკავს...
ხეებს და ბუჩქებს ქაცვი და შინდი
ტოტით უჭირავთ სულ ბღუჯა-ბღუჯა,
წეღან რომ ქუდით შემასწრო ბინდში,
სოკო იყო თუ მეშვიდე ჯუჯა?!
ბილიკზე მიდის გოგონა მწველი,
ღაწვებს უსველებს ცრემლები მლაშე,
და კალათებში ჯადოქრის ხელი
სათუთად აწყობს იდუმალ ვაშლებს...
ჯადოსნურია ფოთლების ნოხი,
წყაროზე დარჩა ფიფქიას კოკა
და უთვალავი დედაბრის ქოხი
ქათმის ფეხებზე ცქმუტავს და როკავს...

***

ფრთებზე შეაბეს
ფრინველებს ზარი,
შორს შემართულებს
ისევ და ისევ,
და შემოდგომა
ღრუბლების მგზავრი
კვლავ წეროსავით
იგრძელებს კისერს...

***

ტანზე აუსხამს ეჟვანი, ზარი,
უბრალო აზრიც დააქვს ნეირონს,
ფოთლებს მარხილში შეაბამს ქარი,
რომ შემოდგომა გაასეირნოს...
ავანსცენაზე გამოჩნდა ქალიც,
ახლა თამაში არის მარტივი
და მდინარესთან მზე – ქარვის თვალი
ბოშათა ბანაკს გაშლის კარტივით....

ბონდო არველაძე

ქართული ეკლესიები საქართველოსა და სომხეთში

ისეთი ოსტატობა და ოინბაზობა არ დაეფიცება იმათ, ვინც ძველ ქვას აცლის ძველ მონასტერს და ქართულ წარწერას ჰფხეკს და ზედ სომხური ასოებით გამოჰყავს ან თვით ქვას იპარავს და ეშმაკმა იცის სად ჰკარგავს!

ილია ჭავჭავაძე „ქვათა ღაღადი“

სომხურ საისტორიო მწერლობას თუ გადავხედავთ მოვსეს ხორენაციდან (V ს.) მოკიდებული დღემდე სომეხ ისტორიკოსთა უმეტეს ნაწილს პათოლოგიური და აგრესიული ისტორიზმი სჭირთ. ამას შეიძლება დაავადებაც ვუწოდოთ, რადგან სომხური წყაროების მოწმობით, ერთი საინტერესო მოვლენა წარმოჩნდა, რომელიც XX ს-ის შუახანებში სომხური „კოსმოკრატიზმის“ სახელით მოინათლა“[1].

სამეცნიერო ლიტერატურაში „კოსმოკრატიზმი“ ასეა განმარტებული – „კოსმოკრატებს“ უწოდებენ მეფეთ-მეფეებს, იმპერატორებს, რომლებიც უპირველეს მისიად მიიჩნევდნენ დედამიწაზე ზეციური წესრიგის დამყარებას და განუსაზღვრელი იმპერიული ამბიციებით შეპყრობილნი ახერხებდნენ კიდეც „განეხორციელებინათ“ სუვერენული უფლებები კონკრეტული გეოპოლიტიკურ და კულტურულ სივრცეში“ – წერს ამერიკელი მეცნიერი კ. თუმანოვი.

მას „კოსმოკრატიზმის“ ტიპიურ ნიშნად მიაჩნდა ე.წ. „დიდი არმენიის“ სახელით წოდებული სახელმწიფო და მისი ოთხ საპიტიახშოდ მოწყობა, რაც სამყაროს ოთხივე მხარეზე სომეხთა მეფის ბატონობის სიმბოლოდ აღიქმებოდა“.[2] მოვსეს ხორენაცის სახით, რომლის „სომეხთა ისტორია სომხური კოსმოკრატიზმის ნიმუშად იქნა მიჩნეული, „სომეხთა ჰეროდოტემ ირანის ისტორია მოხერხებულად მოარგო მშობლიური ქვეყნის წარსულს და აქემენიდების და სასანიდების სამხედრო გამარჯვებები ჰაიკიდებს და არშაკუნიანებს მიაწერა. თხრობაც ირანულ სამყაროში გავრცელებული პოლიტიკური თეორიების მიხედვით გააწყო და შექმნა მწყობრი კონცეფცია, რომელიც აზიურ სამყაროს ფრიად მნიშვნელოვან ნაწილზე „სამყაროს მბრძანებელი“ ჰაოსიანების უფლებებს ასაბუთებდა“.[3]

როგორც ვხედავთ, მოვსეს ხორენაცმა დაუდო სათავე სომხურ ავადმყოფურ ისტორიზმს, რაც გამოიხატა აქემენიდების და სასანიდების ტრიუმფალური სამხედრო წარმატებების–სომხეთის გამარჯვებათა გამოცხადებით. ეს საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა და დღესაც გრძელდება. ამ მეცნიერულ თაღლითობის ისტორიას და ზოგიერთი სომეხის მიერ ჩადენილ ღალატს თავიდან ვერ მოვყვები, რადგან შრომის მიზანს გადაფარავს, ამიტომ მარტო XVIII– XX საუკუნებიით შემოვიფარგლები.

ამ პათოლოგიურმა ისტორიზმმა ფართო ხასიათი მიიღო და საქართველოს ბედის უკუღმა დატრიალებაში ლომის წილი დაიდო. აუგს ვერ ვიტყვით სომეხ ხალხზე, მაგრამ ერთ გუნდს „სომეხი მეცნიერებისას“ (ილია მართალი), საქართველოს ისტორიის გაყალბება, ქართული კულტურული ძეგლების მიტაცება ხელობად რომ ჰქონდათ გამხდარი და ახლაც აქვთ, ამაზე თვალის დახუჭვა არ ეგების.

კიდევ უარესი ის არის, რომ ზოგიერთმა სომეხმა საერო და სასულიერო მოღვაწემ ქართული სამეფოს გაუქმებამდე მიყვანაში (1801წ.) იუდას როლი შეასრულა. დავიწყოთ იმით, რომ ვნახოთ, რა როლს თამაშობდნენ სომხები ერეკლე II-ის სამეფო კარზე: „ამ დროს სომხები აწარმოებდნენ ორჭოფ პოლიტიკას, ერთსა და იმავე დროს ღმერთსაც უნთებდნენ სანთელს და ეშმაკსაც, ე.ი რუსებსაც, უშლიდნენ გულს ფიანდაზად და ეპატიჟებოდნენ საქართველოში საბატონოდ. აღამაჰმად-ხანსაც უგზავნიდნენ ფულს და ფეშქაშებს, მოუძღოდნენ წინ ქართლ-კახეთის დასაპყრობად“.[4] ისიც ვთქვათ, საჭურისი ხოჯას მიერ უმოწყალოდ აოხრებული თბილისით ისარგებლეს და დახოცილი ან გაქცეული ქართველების სახლ-კარს ძარცვავდნენ და მათ ქონებას უსირცხვილოდ ითვისებდნენ.[5]

1780-იან წლებში მდიდარმა სომეხმა ვაჭრებმა და მაღალმა სასულიერო პირებმა, სრულიად სომეხთა კათალიკოსის იოსებ არღუთინსკის მეთაურობით რუსეთის დახმარების იმედით, შექმნეს Великая Армения-ს აღდგენის პროექტი, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, საქართველოს ხარჯზე, მაგრამ ამ გეგმას საქართველოს სამეფოს არსებობა უშლიდა ხელს. ამიტომ კათალიკოსმა იოსებ არღუთინსკიმ მასზე მიიტანა იერიში. საფიქრებელია, ისიც რომ საქართველოს საოკუპაციო რუსის ჯარის მეთაურად ქართველთმოძულე სომეხი გენერლის ლაზარევის (ლაზარიანცი) დანიშვნა კათოლიკოს არღუთინკის ან მისი გარემოცვის მოწყობილი საქმე იყო.[6]

ამ საფუძვლიან ვარაუდს ამყარებს დეკანოზ

[1] დ. ჭეიშვილი „სომხური პოლიტიკური იდეოლოგია საზღვრები საზღვრების გარეშე. სომხური კოსმოკრატიზმი ადრე და შუა საუკუნეებში. „სამეცნიერო პარადიგმები“, თბილისი, 2009 გვ. 278.

[2] C. Toumanoff studies in Christian Caucasian history, Georgian university press, 1963.

[3] დ. ჭეიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 282.

[4] ს. ქვარიანი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1919. გვ. 112.

[5] დეკანოზი პოლიევქტოს კარბელაშვილი, სომხები საქართველოში, (საისტორიო საბუთები) გაზ. „სამშობლო“, 1916, 11-13, 16-18.

[6] თამარ და აკაკი პაპავა, მარიამ უკანასკნელი დედოფალი საქართველოსი, ბუენოს-აირესი, 1956, გვ. 86.

პოლიევქტოს კარბელაშვილის მოსაზრება – სომხეთის პატრიარქი იოსებ არღუთინსკი, თბილისის სომხობა ნატრობდნენ სომხეთის სამეფოს აღდგენას და ამიტომ ერეკლე მეორის გაძლიერება არ ეპიტნავებოდათ. პირიქით, ხელს უმართავდნენ რუსეთის გავლენის გაძლიერებას და საქართველოს დაუძლურებას. ვინ ჩამოაცილა კრწანისის ომის წინ ერეკლეს ყარაბაღელი სომხები? ეს გაა-

კეთეს თბილისელმა სომხებმა, რომ მათი დახმარებით ერეკლე მეორე არ გაძლიერებულიყო.[7]

ზოგიერთი სომეხის ღალატის ტიპიური ნიმუშია მთავარმართებელ რტიშჩევის მიერ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-დმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში აღწერილი ფაქტები. „ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, გაცნობოთ, რომ სომხის ერი, რომელიც საქართველოს მკვიდრთა შესანიშნავ ნაწილს შეადგენს, ყელამდე სავსეა ერთგული უქვეშედრომილეს მადლობით, იმ უმაღლესი მფარველობის და ენით გამოუთქმელ სიუხვე-წყალობისათვის რომელიც ევლინება უდიდებულესობისგან სომხობას. მთელ საქართველოში კაცი აღარ დარჩა ჩვენი ერთგული, მარტო სომხებმა არა თუ არ მიიღეს მონაწილეობა ამბოხებაში (იგულისხმება კახეთის 1812 წლის აჯანყება ბ. ა.) არამედ სიცოცხლესაც და ქონებასაც არ ზოგავდნენ, ჩვენს ჯართან ერთად იბრძოდნენ მაშფოთართა გასაწყვეტად. მთავრობა სომხებს უნდა უმადლოდეს, რომ დროზე და წინასწარ გვატყობინებდნენ, რას აპირებდნენ და სად ჰქონდათ ბინა აჯანყებულებს. კახეთის სხვადასხვა კუთხეში გაბნეული, ერთმანეთს მოწყვეტილი ჯარი თუ რამეს იგებდა ერთმანეთისას, ეს სულ სომხების წყალობით, რომელნიც სიამოვნებით და ხალისით ასრულებდენენ ასეთ სახიფათო მინდობილობას და ხშირად სიცოცხლეს ესალმებოდნენ სამსახურის ერთგულების გამო“.[8]

ამაზე შორს ველარ წავა უმადურობა და ღალატი. კარგახანს ვფიქრობდი XV ს-ის სომეხი მემატიანის თოვმას მეწოფეცის თხზულებიდან მომეხმო თუ არა ადამიანისთვის საერთოდ მით უმეტეს სომხებისთვის უსიამოვნოდ გასახსენებელი და ამაზრზენი ეპიზოდი, მაგრამ ყოყმანი დამაძლევინა არტემ არარატელის, ყარაბაღელი მელიქი ძმების, კახეთის სომხების ხსენებულმა ღალატმა

[7] გაზ. „სამშობლო“, 1916, №11-18.

[8] ალ.ფრონელი. „ამბოხება კახეთისა, ტფილისი, 1907, გვ. 229.

და გადავწყვიტე ეს ამონარიდი გავაცნო მკითხველს: „1431 წელს სასტიკი შიმშილი დაიწყო ჩვენს ქვეყანაში, სომხეთში, როგორც მორწმუნეთა, ისე ურწმუნოთა შორის, ისე, რომ შეჭამეს ძაღლები, კატები, გვამები, ცხენები, ვირები, ჯორები და აქლემები, აღარაფერი რომ არ დარჩათ, მაშინ თავიანთ ვაჟებსა და ასულებს მიმართეს, საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ფარულად თუ აშკარად ათასი კაცი შეჭამეს. მორწმუნენმა ზამთრის ჟამს არარატის გავარიდან საქართველოსკენ გასწიეს“.[9]

სომხებმა სიცოცხლის შესანარჩუნებლად ისევ საქართველოს შეაფარეს თავი, მაგრამ მათმა ზოგიერთმა შთამომავალმა ქართველებს როგორ გადაუხადა ამაგი, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებ. მოვიხმობ მხოლოდ ერთ ფაქტს – XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში დიდი ჩინოვნიკის ხატისოვის მაქინაციების წყალობით თურქეთიდან აფხაზეთში შემოსახლებულმა სომხების შთამომავლებმა რუსეთ-საქართველოს ომის (გასული საუკუნის 90-იანი წლები) დროს ჩამოაყალიბეს ბაგრამიანის სახელობის სომხური ბატალიონი და ასეულობით მკვიდრი მშვიდობიანი ქართული ოჯახი ამოწყვიტეს და მათი ქონება მიიტაცეს. ამ ავადხსენებული ბატალიონის ერთ-ერთი მეთაური, ვინმე ტრაპიზონიანი, ქართველთა მიმართ დაუნდობლობითა და სადიზმით გამოირჩეოდა. ნაძარცვით გამდიდრებული დღეს სომხურ მაფიას განაგებს აფხაზეთში და იბრძვის ქართველთა იძულებით მიტოვებული სახლ-კარისა და მიწა-წყლის დასაპატრონებლად. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ აფხაზები უმცირესობაში არიან: ამჟამად აფხაზეთში 69.000 ეთნიკური აფხაზი ცხოვრობს, 80.000 კი – სომეხი. ადგილობრივი ჟურნალისტის, გერეშენკოს, ვარაუდით, სომეხთა რაოდენობა მალე სულ მცირე 300.000-მდე გაიზრდება.[10]

მიუხედავად ამდენი შინაური და გარეშე მტრების ვერაგობისა, საქართველოს სამეფომ ავად თუ კარგად მოაღწია XVIII ს-ის ბოლომდე, მაგრამ შემდეგი უბედურება დაიწყო იმით, რომ ერთმორწმუნე რუსეთის მოიმედე ერეკლე მეფე რუსეთის იმპერატორმა ეკატერინე მეორემ მოატყუა და გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული შეთანხმება, რომლის ძალით რუსეთს უნდა დაეცვა საქართველო გარეშე მტრებისგან, არ შეასრულა. მოხუცი მეფე ერეკლე შეატოვა აღა მაჰმად ხანის ურდოებს. კრწანისის ტრაგედიაში (1795 წ) ლომის წილი მიუძღვის რუსეთს, რომელიც ორპირ და გველურ პოლიტიკას ატარებდა საქართველოს სამეფოს მიმართ.

არც ეს იკმარა რუსეთმა და უკანონოდ გააუქმა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია (1811წ). რუსის ეგზარხოსები ჩაუყენა სათავეში ქართულ ეკლესიას და ისინი განაგებდნენ. მათმა უმეტესობამ ქართული ეკლესიების ქონება, ძვირფასეულობა მიითვისა. ეკლესიებს მიწები ჩამოართვეს და ხაზინას გადასცეს. აქვე შევნიშნავ, მეფის რუსეთმა ეჯიმიაწინსაც ჩამოართვა მიწები და ქონება, მაგრამ ჩქარა დაუბრუნა, ერთმორწმუნე ქართული ეკლესიების სიმდიდრე კი მიითვისა...

თბილისში XIX-ს-ში მოკალათებული სომხური კომპრადორული ბურჟუაზიის აგრესიული ანტიქართული მოღვაწეობის შესაკავებლად ილია ჭავჭავაძემ სათავადაზნაურო ბანაკი დაარსა, რათა ეს პროცესი შეეჩერებინა. ამავე დროს იძულებული გახდა დაეწერა პუბლიცისტური თხზულება „ქვათა ღაღადი“ (1899), რომელიც მიმართული იყო მეფის რუსეთის თვითმპყრობილობისა და სომხური ბურჟუაზიის რუპორად ქცეულ სომეხი მეცნიერებისა და პუბლიცისტების წინააღმდეგ. ეს ვაჟბატონები ყოველნაირად ცდილობდნენ ქართველი ერის ისტორიის გაყალბებას და მათი აწმყოს განქიქებას, ამ სამარცხვინო საქმიანობას ეწეოდა, პირველ ყოვლისა, პუბლიცისტი და გაზეთ „მშაკის“ რედაქტორი გრიგოლ არწრუნი. მას მხარს „უმშვენებდნენ“ სომეხი მეცნიერები: ეზოვები, ხუდაბაშოვები, პატკანოვები და სხვა.

ეს იყო პირველი, საეტაპო, ნაშრომი მიმართული პათოლოგიური ისტორიზმით შეპყრობილ სომეხ მეცნიერთა წინააღმდეგ.

შემდეგი საეტაპო ნაშრომია პროფ. მიხეილ თამარაშვილის „პასუხი სომეხ მწერლებს „რომელნიც არ სცნობენ ქართველ კათოლიკეებს (1902წ).“ ამ წიგნის მიზანი და შინაარსი უფრო ფართოა ვიდრე მისი სახელწოდებაა.

მასში მარტო სომეხ კათოლიკე პატრებისგან უსამართლოდ უარყოფილი ქართველი კათოლიკეები კი არ არის დაცული, არამედ ისინი მხილებულნი არიან ქართველი ერის ისტორიის გაყალბებაშიც.

მესამე საეტაპო ნაშრომია აკად. ს. ჯანაშიას „ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ“ (1947). მასში ფართოდ და ღრმა მეცნიერული საბუთიანობით ნაჩვენებია ტაო-კლარჯეთის მიწისა და საკულტო ძეგლების – ოშკი, ხახული, ბანა, ხანძთა და ა.შ. ქართულობა, რომელთა სომხურობას ამტკიცებდა სომხების მიერ მოსყიდული რუსი მეცნიერი პროფ. გ. ტოკარსკი, ერევანში გამოცემულ წიგნში „ძველი სომხური არქიტექტურა“ (1946. რუს. ენაზე) რედაქტორი აკად. ი. ორბელი.

სომეხ მეცნიერთა და პოლიტოლოგთა შემოტევა გაგრძელდა ოცდამეერთე საუკუნეშიც. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველომ

[9] თოვმას მეწოფეცი, „ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლებისა“, თბილისი, 1937წ. გვ.61. სომხური ტექსტი ქართული თარგმანითურთ, შესავალი წერილი და კომენტარი დაურთო პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგმა.

[10] შორენა მარსაგიშვილი –„სომხები აფხაზეთიდან აფხაზების განდევნას აპირებენ ისი- ნი ქართველების ბედს გაიზიარებენ“ გაზ. „ახალი თაობა“, 2016, 11 თებერვალი, N 34.

დამოუკიდებლობა აღიდგინა. პირველ რიგში შემოუტიეს ჯავახეთს: ხან ავტონომიას, ხან სულაც მის სომხეთთან მიერთებას ითხოვდნენ და ახლაც ითხოვენ. ამ ანტიქართული მოძრაობის სულისჩამდგმელია ჯავახეთში არსებული ორგანიზაცია „ჯავაქ“ რომლის თავმჯდომარეა სომხეთის პარლამენტის დეპუტატი, წარმოშობით ჯავახეთიდან, ვინმე აღასი არაბიანი.

შეუძლებელია არ აღინიშნოს ზოგიერთი სომეხი მეცნიერის ნეგატიური, ნეგატიური კი არა სიძულვილით და ქართველი ერის დამამცირებელი სტატიების შესახებ. მაგალითად, სურენ აივაზიანი ამტკიცებს, თითქოს грузи–ნები რუსული грузчик–დან არის წარმომდგარი?! ლექსი „სულიკო“ სომეხმა პოეტმა დაწერა და აკაკი წერეთელმა (ბაგრატუნმა) ქართულად თარგმნა და ქართველებმა თავისად გამოაცხადესო... ამგვარი „მარგალიტების“ მოტანა კიდევ შეიძლება, მაგრამ ესეც კმარა ზოგიერთი სომეხი მეცნიერის ქართველი ხალხისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების წარმოსაჩენად.

ამდენხანს ვფიქრობდი სომხებს ტერიტორიული პრეტენზია მარტო ქართველებთან აქვთ-მეთქი, თურმე ვცდებოდი. აბა, მოვუსმინოთ რუს მეცნიერს. პომპეევს – „ყველაზე მეტად შემაშფოთა იმან, რომ ტიგრანმა მითხრა – სომხებს ისტორია უსამართლოდ მოექცაო და დაუმატა „ახლა მოგვეცა შანსი დავიბრუნოთ ჩვენი ისტორიული მიწები ყარაბაღი და ნახჩევანი (ორივე აზერბაიჯანის ტერიტორიებია ბ.ა), ახალციხე და ახალქალაქი“. მერე გადმომხედა და მითხრა, „შემდეგ შევუდგებით როსტოვის, კრასნოდარის და სტავროპოლის მიწების დაბრუნებას“. – როგორ გამიკვირდა – რა, ისინი სომხეთის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდნენ? – შენ რა გგონია, – სერიოზულად მიპასუხა ტიგრანმა, – ტიგრან II დიდის მეფობის დროს ეს მიწები სომეხ მელიქებს ეკუთვნოდათ“.[11]

ამ სიტყვებში ეჭვი არავის შეეპაროს, ტიგრანივით ფიქრობს მთელი სომხეთი, იმისდა მიუხედავად, საზოგადოების რომელ ფენას განეკუთვნება.

ქართულ ღვინოს, კერძებს, სიმღერებს, ცეკვებს, ისტორიას, ტერიტორიას რომ ითვისებენ ეს არ არის ახალი, მაგრამ ქურთულ სიმღერებს და ცეკვებს თუ მიისაკუთრებდნენ არ მეგონა. “Прошло время, армяне научились и танцам нашим, и песням, и обычаям, и кухне. И это им так понравилось, что возвращать уже не хотят: Вот стыдище! Но вернуть придется”,[12] – აღშფოთებული წერს ქურთი მწერალი და პუბლიცისტი აზა ავდალი.

თუმცა, სჯობია მივხედოთ საქართველოს. ზოგიერთ სომეხ მეცნიერს ყელში ძვალივით აქვს გაჩხერილი ქართველი ერის ისტორია, მრავალსაუკუნოვანი კულტურა და საერთოდ არსებობა, ამის შესახებ სხვა დროს... ამჯერად, ჩვენი მიზანია სომეხ მეცნიერთა და სასულიერო პირთა უსაფუძვლო პრეტენზიები ძველი ქართული ეკლესია-ტაძრების მიმართ.

ვიდრე აღნიშნული პრობლემის განხილვა-ანალიზს შევუდგებით, მსურს ორიოდე სიტყვით შევეხო სომეხთა საქართველოში შემოსახლების ისტორიას: აღმოსავლელი დამპყრობლები რომ შემესეოდნენ სომხეთს, სომეხი ლტოლვილები პირველ რიგში საქართველოს კალთას აფარებდნენ თავს. ასე, რომ საუკუნეების განმავლობაში ტალღა-ტალღა შემოედინებოდნენ სომეხი დევნილები საქართველოში და ქართველი კაცის სტუმართმოყვარეობის წყალობით არცთუ ურიგოდ იწყობდნენ ცხოვრებას ქართულ მიწაზე. დღემდე დადგენილი არ არის, პირველი ნაკადი როდის შემოვიდა, მაგრამ არც ის არის მართალი, ზოგიერთი სომეხი მეცნიერი რომ წერს – თითქოს თბილისი იყო სომეხთა საგარეუბნო ციხე-სიმაგრე, რომელიც ქართველთა დედაქალაქად იქცა. ამით მათ სურთ დაამკვიდრონ აზრი, თითქოს სომხები ადრეულ საუკუნეებში ცხოვრობდნენ თბილისში და ამდენად მისი პირველი მკვიდრნი ისინი იყვნენ. ამ ზღაპარზე შეჩერებაც არ ღირს, რადგან ტყუილია და შეთხზულია. ამის დამამტკიცებელი საბუთი ან წყარო არ არსებობს.

სომეხთა შემოდინების პროცესმა ფართო და აქტიური ხასიათი მიიღო XIს-ის შემდეგ XVს-ში, როცა მომთაბარე დამპყრობლებმა სომხეთში თითქმის მთლიანად დაიკავეს საარსებო ფართობები.[13]

---

[11] Ф. Ахундов _ Разрушители фальсификаций т.1, Баку, 2012 год.

[12] დასახ. ნაშრ. გვ. 80

[13] გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII-XVII საუკუნეებში, 1982, თბილისი, გვ. 167.

* ზოგიერთი სომეხი მეცნიერი წმ. ნინოს, წმ.გიორგის სომხებად მიიჩნევს. თურმე „მემატიანეთა თქმულებით სომხები ყოფილან აგრეთვე 13 ასირიელი მამანი. (გაზეთი „ჰოვიტ“ (ველი), 1907 ან 44-45 (სომხ.ენაზე). (ბ.ა.)

*** მსოფლიოში არსებული სომხური დიასპორების შესახებ. იხ.** აშოტ აბრამიანი – მოკლე ნარკვევი სომეხ ლტოლვილთა კერების შესახებ, ტ. I, II, III, 1964, 1967, ერევანი (სომხ. ენაზე).

ლეონ აბრამიანი – სომხეთი და სომხური დიასპორა, 2000 წ. „დიასპორა“... 2.

3. Жорес Ананиян, Вартан Хачатрян, Армянская обшины Расии, Ереван. 1993.

4. არშაკ ალფოძიან – საზღვარგარეთ სომეხთა ისტორია, ტ. I, II, III. 1941, 1955, 1961 (სომხ. ენაზე).

Димитрий Бакрадзе, Никалаев Бердзенов – Тифлис в историческом и етнографическом
отношенях СПБ. 1870г.

Самвел Карапетян _ Меры Тифлиса, 2003, Ереван.

7. Самвел Карапетян _ Государственная политика Грузии и памятники Армянски култури (1988-1998) Ереван.

8. Севиль Гусеинова – Проблематика “приписьваемой” идентичности (бакинские армяне) “Диаспора” 2000г. N 4.

ალ. ერიციანს „ღირსეული“ მემკვიდრე გამოუჩნდა XX ს-ში. ისტორიკოსმა სამველ კარაპეტიანმა 1995 წელს ერევანში გამოსცა რუკა ცნობარი „სომხური ეკლესიები საქართველოში“ სომხურ ენაზე. სასწრაფოდ თარგმნეს ინგლისურ და რუსულ ენებზე და მსოფლიოს მოფინეს. ამის შესახებ გამოვაქვეყნეთ წიგნი „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!“ (1996 წ). ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენაზე. საარქივო საბუთებზე დაყრდნობით, არგუმენტირებულად დავამტკიცეთ, რომ 653 „სომხური“ ეკლესიიდან 80 % მეტი თუ არა ქართული ეკლესიებია გატანილი სომხურად.[14]

ახლა მივხედოთ ს. კარაპეტიანის რუკა-ცნობარს, რომელშიც აშკარად ჩანს ავტორის დაუოკებელი სურვილი, რაც შეიძლება გაზარდოს სომხურ ეკლესიათა რიცხვი საქართველოში. თუმცა ვიდრე რუკა-ცნობარის შესახებ ვიტყვი, სჯობია ზოგადად მოვხაზოთ ს. კარაპეტიანის მეცნიერული მოღვაწეობა. დავიწყოთ კრებულით „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და სომხური კულტურის ძეგლები (1988-1991)“. ერევანი, 1998 სომხურ ენაზე. ამ ნაშრომში, არც მეტი და არც ნაკლები, ქართველი ერი აზერბაიჯანელ ხალხთან ერთად „ცივილიზაციის დამანგრეველი“ ერად მოიხსენია, ე.ი. ქართველებს და აზერბაიჯანელებს ბარბაროსები უწოდა, თავს უფლება მისცა, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II უშვერი სიტყვებით გაელანძღა.

ამ კრებულის შესახებ გამოვაქვეყნე კრიტიკული სტატია, რომელშიც ვამხილე კარაპეტიანის ანტიქართული გამოხტომები და ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით გამოვააშკარავე მისი ფსევდომეცნიერული შინაარსი.[15]

ვფიქრობ უპრიანი იქნება აგრეთვე, გაკვრით მაინც ვთქვათ პ.მურადიანის ზოგიერთი შრომის შესახებ: ჯერ იყო ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის -ის-ზე დაბოლოებული ყველა ქართული ტოპონიმი და გეოგრაფიული სახელი გაასომხურა. ეს „აღმოჩენა“ რომ არ დაუჯერეს, მერე მცხეთის ჯვრის ტაძარს შეუტია და ერთი ბუქი დააყენა – სომეხი ხუროთმოძღვრის თოდსაკის აშენებულიაო. ქართველმა მეცნიერებმა თავის დროზე საკადრისი პასუხი გასცეს. (ვ. ბერიძე, მ. ლორთქიფანიძე, ი. აბულაძე, ზ. ალექსიძე, და სხვა), მაგრამ რა, „შეაყარე ცერცვი კედელს“, ყურიც არ შეიბერტყა და თავისი გააგრძელა. აი, საბუთიც: ცნობილი ქართველი მეცნიერი კალისტრატე სალია პარიზიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში წერდა: „პარუირ მურადიანმა“ ფრანგულად გამოაქვეყნა „რევიუ დეზ ეტიუდ არმენიენში“ სტატია მცხეთის ჯვრის შესახებ: სომხური წარწერის ორიგინალი კი არ დაბეჭდა, არამედ მისი მეგობრის მიერ გადაღებული სომხური წარწერა კარგად გამოყვანილი ასოებით გამოაქვეყნა. პიედესტალი გაანახევრა იმისათვის, რომ ეთქვა, ადგილი არ იყოვო, ამიტომ გამოვაქვეყნე სამივე სომხური წარწერა. შემდეგ ისე იყო, რომ დაინტერესებულმა მეცნიერებმა თქვეს: მეცნიერებში გაუგონარი ფალსიფიკაცია გაუკეთებია პ.მურადიანსო.[16]

აქვე აღვნიშნავ: ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი ადრინდელი და უნიკალური ძეგლის მცხეთის ჯვრის ტაძრის სამ-ოთხ სტრიქონიანი სომხური წარწერა VII ს-ის შემდეგ ხანას, ეკუთვნის და ისიც შემთხვევითი ნაკაწრია. მას რაიმე მეცნიერული ღირებულება ნაკლებად გააჩნია, ქართულ თერთმეტსტრიქონიან წარწერასთან შედარებით. მათ მხოლოდ ერთი სიტყვა „სულთა“ აქვს საერთო და მეტი არაფერი, ამიტომ, ცდილობს პ. მურადიანი მცხეთის ჯვრის ხელოვნურ გადათარიღებას. ქართულ წარწერაში იხსენიება სტეფანის პატრიკისი, დემეტრე ვიპატოსი და ადარნესე ვიპატოსი. სომხურში კი მსგავსი არაფერია. პ.მურადიანის მცდელობის მიუხედავად მცხეთის ჯვრის ნაკაწრი სომხური წარწერა ქართულის ტოლფასი არ არის და ვერ ჩაითვლება ქტიტორულ წარწერად.

აი, ამიტომ ჩაფხიკ–ჩამოფხიკა, დახატა და გაალამაზა მცხეთის ჯვრის ტაძრის სომხური ნაკაწრი წარწერა და გამოაქვეყნა პარიზში. მადლობა ღმერთს, ბ-ნ კ.სალის წყალობით პ. მურადიანის ყალბისმქნელობას მაშინვე აეხადა ფარდა და უცხო ქვეყნის მეცნიერებმაც შეიტყვეს მისი „საქმენი საგმირონი“.

პ. მურადიანის მთავარ „კოზირს“ თოდოსაკის ეროვნებით სომხობის შესახებ საფუძველი გამოეცალა. ბერძნული ენის და ისტორიის შესანიშნავმა სპეციალისტმა თ. მესხმა დაამტკიცა, რომ თოდოსაკი ყოფილა ბერძენი და არა სომეხი!

9. Елене Чикладзе _ Армияне Петербурга… “Диаспора”, 2000г. N 1-2.

10. Виктор Дятелов, Эдуард Мелконян _ Армянская Диаспора: очерки социокультурнойти-пологии 2009г. Ереван.

[14] „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!...1996, თბილისი.

[15] გაზ. „ახალი საქართველო“ 1998, 43.44 – რა უთქვამს რა მოუჩმახავს...“

[16] გაზ. „კომუნისტი“, 1990, 7 ოქტომბერი.“

მარინა თექთუმანიძე

ლექსები

გარდაცვალებამდე რამდენიმე წუთით ადრე, მეუფე თადეოზს ოჯახის წევრებისთვის უთხოვია, ფეხზე წამომაყენეთ, ჩემთან უფალი მოდისო...

* * *

ეს ვინ გეწვია,
სად აკაკუნებს,
ფანჯრის მინაზე?
ან იქნებ კარზე?
ან სად ხარ ახლა,
საით მიფრინავ?
ვინ იცის,
იქნებ გეთსიმანიის ბაღს ესტუმრე და იქაური
ზეთისხილის ქვეშ იგრილებ
იმ საშინელი დღის
სივარვარეს?
და
მაინც რაზე ჩურჩულებენ
ამ მისტიკური ღამის შვილები –
ზეთისხილის ხის
ფოთლები,
ანდა სიჩუმის ხმები
რას გიამბობენ
გვითხარ, მეუფევ!
უცნაურია,
ძალიან,
ძალზედ უცნაური
ეს ღამე თავის მრუმე
სინათლით,
და აძენძილი,
ბლონდებიდან გამოჩრილი მჭვირვალ სიბნელით...
ძარღვებში სისხლი გეყინება,
როცა ლანდები,
ხორცშეუსხმელი
რაღაც ლანდები
შენ გარშემო ბორიალობენ,
მათი ბუტბუტი
„ჯვარს უნდა ეცვას!“
„ჯვარს უნდა ეცვას!“
აქეთ-იქით გახეთქებს
ჰაერის კედლებს...
ვინა ხარ მაინც?
იქნება პეტრე,
ანდა პავლე,
სულაც ლაზარე,
ან იქნებ თომა,
ანდა
იქნებ სულაც ელიოზ,
სულ ცოტა ხანში

სამშობლოსკენ
უძვირფასესი
კვართით რომ
აჩქარდება?
არ ვიცი ვინ ხარ!
უფრო სწორად,
მხოლოდ ის ვიცი,
ის მეუფე ხარ,
ვინაც გაეცი, რაც გაგაჩნდა და
ღარიბ-ღატაკთ გაუნაწილე...
ის მეუფე ხარ,
დიდ მარხვებში
ჩვენთან ერთად
რომ მიირთმევდი
უმწირეს ლუკმას...
ის მეუფე ხარ,
ვისთანაც უფალი მოეშურება
და სადაცაა კარზე
ანდა შენს სარკმელზე მოგიკაკუნებს...
ფეხზე წამოდექ, მეუფეო,
ფეხზე წამოდექ!
მარადიული მეგობარი და სინათლე -
უფალი შენთანა!

ევას

. . .
არ შეიყვაროთ, გოგონებო, პოეტები,
არ შეიყვაროთ!
თორემ ისინი გიამბობენ თქვენს პოვნამდე
როგორ ეწამნენ!
როგორ უყვარდით სამყაროს გაჩენის დღიდან
და გამუდმებით თქვენ გეძებდნენ,
რომ არასოდეს არ იქნება
ქვეყნად მესამე!
არ შეიყვაროთ, გოგონებო,
პოეტები, არ შეიყვაროთ!
ერთ დღეს იმასაც გეტყვიან,
პოეტის გზაზე როგორ ზიდეს ტვირთი მოცარტთა,

შურხროვაში ანტონიო სალიერთა,
მაგრამ ეს ღირდა მათ ლექსებად,
თუნდ თქვენ პოვნად
გინდ ცხოვრების
დასალიერთან!
არ შეიყვაროთ პოეტები, გოგონებო,
არ შეიყვაროთ!
ჩაცუცქდებიან თქვენს ფეხებთან,
ხელებს მუჭში მოიქცევენ
და გიამბობენ,
ღვთის შვილები რომ არიან,
და ზეცაში სეირნობისას
თავად უფალს უკითხავენ იამბიკოებს!
არც იმის თქმას დაგამადლიან,
მათი სულები მსგავსად მთების ჩანჩქერებისა,
მხოლოდ ალმასის ნაპერწკალებს რომ ასხივებენ!
მერე, იქნებ, ზეცის სასტუმროს გასტუმრონ
და სხივების აივნებიდან,
ცისკრის ვარსკვლავის სათვალით
უთვალავი მზეც გათვლევინონ...
და მაინც გირჩევთ,
არ შეიყვაროთ პოეტები, გოგონებო, არ შეიყვაროთ!
მსგავსად უზნეო ბავშვებისა,
ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩენენ,
რომ დაეუფლათ ახლა სხვა ენება და
რომ ცაში სახეტიალოდ თქვენთან არა,
თქვენს ახლობელ გოგონასთან
სურთ გამგზავრება!
მერე ის გოგო სიხარულით გაგიზიარებთ
ბევრჯერ მოსმენილს,
ანდა ნანახს, ანდა გაგონილს
და თუ შეცდით და დაიტანჯეთ,
ანდა მოკვდით სიყვარულისგან,
პოეტები დანანებით თავს გაიქნევენ,
და თავისთვის, ჩუმად იტყვიან,
რომ სულელების სისულელეს
საზღვარი არ აქვს და დამნაშავე
თქვენ მიერვე მოგონილი სიყვარული
და ბრმა გულია...
გირჩევთ, –
გაფრთხილდით, გოგონებო,
პოეტისკენ მიმავალ გზაზე...
ბრმათათვის
აბრა ჰკიდია:
„ფრთხილად, შესვლა აკრძალულია!“

კაცები

კაცები სევდიან თვალებით დადიან,
სამშობლო იყურება კაცების თვალებიდან...
კაცები არ ტირიან, კაცებს ეტირებათ,
როცა წარსულის ხსოვნა ასტკივდებათ...
კაცებს გრუზა თმაში თეთრი ეპარებათ,
შვილმკვდარი მამების დარდს რომ აზარებენ,
უზადო ცრემლს მალავენ სავსე ფიალაში,
და ღვინოც მწუხარე ცრემლით უზავდებათ...
კაცებს არ უყვართ ქალებზე საუბარი,
„სიყვარულს მალვაო“ – ასწავლეს პაპებმა...
კაცები ქალებში გოგონებს ეძებენ,
ყრმობის სიყვარულის შეიტყონ ამბავი...
კაცები კაცებს კაცურად რომ ზრდიან,
მუშტი იხმარეთო, მხოლოდ, საპირწონედ...
კაცებს ეღიმებათ, როდესაც შვილები
ღონიერ მამებით თავებს იწონებენ...
კაცები შვილ ბიჭებს კუნთებს უმოწმებენ,
და ზრდიან საჯიშე ალგეთის ლეკვებად,
და სჯერათ, ბიჭების, მგლის ბოკვრების მამებს –
მამულს ლეკვები არასდროს დაელევა!..
კაცებს მუშტები სიმწრისგან უთეთრდებათ,
როცა შვილები მამულს ეწირება...
კაცები შვილებს გმირობას ასწავლიან,
კაცები შვილებს შრომას ასწავლიან,
კაცები სამშობლოს კაცებს უზრდიან!

სპექტაკლ „ბულბულის ნისკარტის“ შემდეგ

მაშინ დენთისფერი იყო სამშობლო,
მაშინ, ციმბირი გულში იკრავდა ყველას,
ვისაც სიკვდილის მატარებელი ჩაუყვანდა...
მაშინ, უსასოობა ყელში გვიჭერდა,
მაშინ, ყველა კაკუნზე ვფიქრობდით:
აი, მოვიდნენ...
შენთან მოვიდნენ, ტიციან!
პაოლო, შენთან მოვიდნენ!
ძმებო, მაშინ ვერ დაგიტირეთ,
ახალი მკვდარი ვიყავი მაშინ!
ახლა ვზივარ თქვენს პანაშვიდზე,
ოთხმოცი წლის მერე
და ხმამაღლა ვტირი:
– ვაი მე, ჩემო სულის ძმებო!
ვაი მე, საქართველოს გადამრჩენელნო!
ნეტა მათ, თითო-ოროლას,
ვინც ცოცხალი იყო
და გაზაფხულის მოყვანას ცდილობდა სუსტი
მხრებით!
ვინც ცრემლი იპოვა და თან გაგატანათ!
მე კი, მე...
ბოდიში, მაშინ ვერ დაგიტირეთ!
ვინაიდან, მაშინ ხომ სულ ახალი მკვდარი ვიყავი,
საგულდაგულოდ მკვდარი!

რუსუდან ჭანტურიშვილი

თანამედროვე რაინდული პოეზია

რატი (ტატო) ნინუას „ზღვაურის გამაყრუებელ ხმაურში“

(ლექსები, მინიატურები, თარგმანები...)

ამა წლის 27 თებერვალს მას 40 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ ბედის ჩარხი სხვანაირად დატრიალდა და 2000 წლის მაისში თოფის ხმამ არა მარტო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, არამედ მთელი საქართველო შეაზანზარა. სიცოცხლე მოისწრაფა 23 წლის გენიალურმა პოეტმა – რატი (ტატო) ნინუამ. რაინდული სულისკვეთებით აღზრდილმა ვერ აიტანა 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის მერე ძმათა შორის ომი და უსამართლო მთავრობის აღზევება; ვერ აიტანა ქართული საზოგადოების დაკნინება და უთუოდ ჩათვალა, რომ საჭირო იყო თვითონაც გაეღო მსხვერპლი, ღვთის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი – სიცოცხლე დაეთმო და ამით მაინც გამოეფხიზლებინა ყველაფერთან შემგუებელი ხალხი, მაგრამ თოფის ხმის ექოც მიწყნარდა და პოეტის გულის ამოძახილმა მხოლოდ მისი ახლობლები და საზოგადოების უმცირესი ნაწილი დააღონა, სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. მაგრამ დარჩა სუფთა, სხივმოსილი, ხან ზღვასავით აბობოქრებული და ხანაც ზღვასავით იდუმალებით აღსავსე პოეზია. ამ პოეზიას ჩაწვდომა უნდა და ყურის დაგდება. ამიტომაც გაისარჯნენ რატის ახლობლები, გულშემატკივრები და ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში გამოცემულ წიგნს სათაურით „ალუბლის იალქნები“, კიდევ 6 წიგნი მიამატეს, ე.ი. სულ 7 წიგნი გამოიცა, მაგრამ საზოგადოებამ ჯერ კიდევ არ იცის ამ ადრე დაღუპული პოეტის შემოქმედება რა განძია და როგორი „სულის მარგი“.

2016 წელს გამომცემლობა „ინტელექტმა“ გამოსცა რატი (ტატო) ნინუას მე-7 წიგნი – „ზღვაურის გამაყრუებელ ხმაურში“ (რედაქტორი რუსუდან ჭანტურიშვილი, მხატვარი – ზურაბ ხარაბაძე).

რედაქტორის ვრცელ წინასიტყვაობაში მკითხველი გაეცნობა რატი (ტატო) ნინუას ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს დეტალებს, მსჯელობას მისი ლექსების, თარგმანებისა და პროზაული ჩანაწერების, აგრეთვე სადიპლომო ნაშრომისა და საკურსო შრომების შესახებ.

რატის დაღუპვის მერე ბევრმა ცნობილმა პიროვნებამ გამოთქვა აზრი მისი შემოქმედების შესახებ; რატის მეგობრებმა თუ უცნობმა თანამედროვე ახალგაზრდებმა დაწერეს ლექსები და ჩანაწერები ამ დაუვიწყარი პოეტისა და მისი სევდიანი, მაგრამ სხივოსანი პოეზიის შესახებ. ყველა ამ ნააზრევს მკითხველი სრულად გაეცნობა წიგნის ბოლო ნაწილში – რატის (ტატოს) შესახებ.

მუხრან მაჭავარიანმა რატის გულშიშველი უწოდა. გურამ პეტრიაშვილმა, რომელსაც რატიმ არაჩვეულებრივი გამოკვლევა უძღვნა სათაურით „გურამ პეტრიაშვილის პოეზია“, იგი ტატო ბარათაშვილს, ტერენტი გრანელსა და პაოლო იაშვილს შეადარა. ანა კალანდაძემ ზღვაურის გამაყრუებელ ხმაურშიც გაიგონა პოეტის სათქმელი. ოტია იოსელიანი გააოცა იმან, თუ „როგორ ფლობს ქართულს და როგორ პოეტურ ელვარებას ანიჭებს სიტყვას!“ ანზორ ერქომაიშვილმა რატის პოეზია თავისი სიძლიერით ჰამლეტ გონაშვილის ხმას შეადარა. ჭაბუა ამირეჯიბის სიტყვით რატი „სხვა კაცი იყო, „საკუთარ ალში დაიფერფლა“ და ადრე წასულ გენიალურ ჭაბუკთა გუნდს შეუერთდა“.

რატის I კლასის მასწავლებელი – ქალბატონი დოდო ტატიშვილი თავიდანვე გენიოსად მიიჩნევდა. უნივერსიტეტში ქართული ენის ლექტორმა – ქალბატონმა თამარ ინჯიამ, თავისი შესანიშნავი წერილი რატის შესახებ ასე დაასათაურა – „სევდიანი რაინდი სევდის“ (იხ. რატი ნინუა, „ავფრინდებით მე და შენ“. თბ., 2005). რატის მხცოვანი ლექტორი ქალბატონი ქეთევან ბურჯანაძე მასზე დიდ იმედებს ამყარებდა და მისი ტალანტის თაყვანისმცემელი იყო.

თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა კათედრის გამგის, პროფ. ოთარ ბაქანიძის ხელშეწყობით რატის სტუდენტობის პერიოდში თსუ-ში ორჯერ მოეწყო მისი ლექსებისა და თარგმანების განხილვა. თარგმანის სპეციალობის კურსდამთავრებულმა ნინო დათუკიშვილმა მაშინ რადიოგადაცემა მიუძღვნა ოსკარ უაილდის რამდენიმე ზღაპრის რატისეულ თარგმანს. აქვე არ შემიძლია მადლიერებით არ აღვნიშნო, რომ 2016 წლის თებერვალში ნინო დათუკიშვილმა რადიომაუწყებლობის I არხის სტუდიაში მიგვიწვია მე, იკა ქადაგიძე, ზეზვა ქავთარაძე, მანანა მათიაშვილი და ჩვენთან ერთად გაიხსენა სტუდენტი რატი, რომლის შემოქმედებაც უკვე მის გარეშე განაგრძობს სვლას.

რატის დაღუპვის მერე თსუ-ში გამართულ რატის ხსოვნის საღამოზე, რომელსაც პროფ. რევაზ მიშველაძე, ტრისტან მახაური და მე ვუძღვებოდით, ბევრი გრძნობით აღსავსე სიტყვა ითქვა.

ბევრმა ცნობილმა თუ საზოგადოებისათვის ჯერ უცნობმა პიროვნებამ გამოთქვა აზრი რატის არაჩვეულებრივი შემოქმედების შესახებ. ყველა გამოთქმული აზრი გულიდან მოდის, უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ იმდენად ბევრია, რომ ვფიქრობ, ჯობს მკითხველი თვითონ გაეცნოს. და მაინც, გამოვყოფდი ორ პიროვნებას – თამაზ ტყემალაძეს, რომელიც ამ ახალგაზრდა პოეტის დაღუპვას პირველი გამოეხმაურა გულში ჩამწვდომი ტელეგადაცემით და იკა ქადაგიძეს, რომელიც რატის უნივერსიტეტიდან მხოლოდ სალმით იცნობდა, მაგრამ ძალიან აფასებდა მის ეროვნულ სულისკვეთებას. მისი ხსოვნის საღამოც მოაწყო ეროვნულ ბიბლიოთეკაში და საპატრიარქოს რადიოში მუშაობისას რადიოგადაცემაც მიუძღვნა.

თამაზ ტყემალაძემ თავის წერილში „სახეურვილი“, რატის ხანმოკლე ცხოვრება ძალიან მართებულად გაიაზრა. აი, ერთი ამონარიდი ამ წერილიდან: „სწორედ აფხაზეთ-სამაჩაბლოს ავბედითობამ, მანამდე ზვიადის განდევნამ, საქართველოს ძმათა სისხლისმღვრელმა ომმა, თავსმოხვეულმა ამდენმა პრობლემამ ადამიანურ სევდაზე მეტი ვარამით აღავსო რატის სულიერი სამყარო და ყმაწვილი თავის საბრძანისად, შვების მომგვრელ ქვეყნად ზესთასოფელს, ცის წიაღს მიიჩნევს“.

რატის უსაყვარლესი ლიტერატურული გმირი იყო დონ კიხოტი. თავისი მაღალი იდეალებით რატი თვითონაც დონ კიხოტივით უცხო აღმოჩნდა ამ იდეალებისაგან დაცლილი საზოგადოების უდიდესი ნაწილის წინაშე. იმ საბედისწერო თოფის გასროლას იკა ქადაგიძემ პროტესტი უწოდა და თავისი წერილიც რატის შესახებ ასე დაასათაურა: „თანამედროვე დონ კიხოტის პროტესტი“. ეს ვრცელი წერილი ასე მთავრდება: „ვაი, რომ უსამართლობასთან ბრძოლაში მეწინავემ თუ არ გაიღო შეუმღვრეველი სისხლი, დროის დინებაში ჩათრეულებს საღათას ძილი გვემუქრება. მისი სახება წყვდიადში ამოტვიფრულ შუქურას წააგავს, და შეუცნობელი სამყაროსკენ მიგვიძღვის.

რატის XX საუკუნე ეუცხოვებოდა.

უნივერსიტეტში გასროლილი ტყვიის ცოდვას XXI საუკუნეც ვერსად წაუვა!“

რატი (ტატო) ნინუას წიგნი „ზღვაურის გამაყრუებელ ხმაურში“ რამდენიმე რუბრიკისაგან შედგება. რუბრიკაში „ალუბლის იალქნები“ შევიდა 9-17 წლის ასაკში დაწერილი ლექსები, რომლებიც ამავე სათა¬ურით გამოიცა ტატოს სიცოცხლეში, 1994 წელს, როცა ტატო 17 წლისა იყო და თბილისის პირველი საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასში სწავლობდა. ამ ლექსებში ტატო უკვე ჩამოყალიბებული ეროვნული პოეტია. მისი ლექსების მრავალფეროვან თემატიკაში უპირველესი მაინც 9 აპრილი და ეროვნული მოძრაობის დამხობით გამოწვეული სევდაა.

რუბრიკაში „ნატალი“, რომელიც ამერიკაში სასწავლებლად წასულ დას ეძღვნება, შევიდა რატის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თარგმანის სპეციალობაზე სწავლის პერიოდში დაწერილი ლექსები. მათში იგრძნობა რაინდული დამოკიდებულება ქალის მიმართ. ეს ლექსები ამავე პერიოდში თარგმნილ ლექსებსა და მოთხრობა „ედმონდ დანტესთან“ ერთად გამომცემლობა „ჯისიაი“-მ გამოსცა 2004 წელს. მე, როგორც რატის ლექტორი და იმ წიგნის რედაქტორი, მკითხველისადმი მიმართვაში რატის შესახებ ვწერდი: „თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით იგი ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის „პატარა უფლისწულს“ მოგვაგონებს, რომელიც შემთხვევით მოხვდა დედამიწაზე და სულ თავის ვარსკვლავზე ფიქრობდა. ნუ განვიკითხავთ, რომ ვეღარ მოიცადა და ხმაურით გაგვეცალა. მადლიერებით მივიღოთ ის ნატიფი სტრიქონები, რომლებიც ჩვენთვის საჩუქრად დატოვა“.

სინდბად მეზღვაური რატის უსაყვარლესი ლიტერატურული გმირი იყო ბავშვობიდან. თავისი ლექსებისა და თარგმანების მომავალი კრებულისათვის ეს სათაურიც მან შეარჩია. წინამდებარე კრებულის ციკლი „სინდბად მეზღვაური“ მოიცავს რატის სხვადასხვა პერიოდში დაწერილ ლექსებს.

რუბრიკაში „მოთხრობა, მინიატურები და ჩანაწერები“ მკითხველი გაეცნობა მოთხრობა „ედმონდ დანტესს“ და ბრწყინვალე მინიატურებს, ჩანაწერებს (რატის სამეცნიერო გამოკვლევები, მინიატურებისა და ჩანაწერების ნაწილი მის სხვა წიგნებშია დაბეჭდილი).

რატი ინტენსიურად თარგმნიდა ბაირონის, პუშკინის, ესენინის ლექსებს, ოსკარ უაილდის ზღაპრებს, ბუნინის მცირე პროზას. თარგმნა იულუშ სლოვაცკის II სონეტი. კრებულის თარგმანების რუბრიკაში მისი თარგმანების მხოლოდ ნაწილია შესული. ნაწილი კი მის სხვა წიგნებში, განსაკუთრებით კი წიგნში: რატი (ტატო) ნინუა, სინდბად მეზღვაური (ერთტომეული), თბ., 2010. შეიძლება ნახოს მკითხველმა.

წიგნის ბოლოსიტყვად რატის თანაკურსელისა და მეგობრის – ზეზვა ქავთარაძის წერილი გავუშვით სათაურით „ეს რატი ნინუაა“, რომელშიც ლაკონურად, მაგრამ ძალიან ნათლად არის მოცემული რატი (ტატო) ნინუას სიტყვიერი პორტრეტი.

თავიდანვე ვამბობდი და ახლაც ვამბობ, რომ XX საუკუნე ჩემთვის გენიოსი პოეტის დაღუპვით დამთავრდა. მაღალი რანგის პოეზია ამაღლებს და აკეთილშობილებს საზოგადოებას. მთავარია, საზოგადოებამ ყური დაუგდოს და შეისმინოს.

გთავაზობთ რატი (ტატო) ნინუას რამდენიმე ლექსსა და თარგმანს კრებულიდან „ზღვაურის გამაყრუებელ ხმაურში“:

რუსთაველის რაინდები
(1989 წლის 9 აპრილი)

ფრთათეთრ ანგელოსების თრთის გაშლილი ბანაკი,
მამულის სამსხვერპლოზე ადის ხალხი ზვარაკად.
ეს რა სულმა გაშალა ძველი დროშა ქართული,
დავითის და ვახტანგის გულებში გარანდული.
ქეთევანის კალთაში ბარტყობდნენ რაინდები,
მათ სუნთქვას დარაჯობდა მთაწმინდა გარინდებით.
ქართლის დედამ ლეკვები რაინდებად დაზარდა,
სულს ერჩივნათ ლოცვების გაგონება ტაძართან.
წმინდანები მოფრინდნენ ძველის-ძველი ფრესკიდან,
ლოცვებამოკაწრული ქრისტეს ჯვრები ეკიდათ.
ივჯივჯგნება მკერდები....მიწები ილორთქება,
აღა-მაჰმად ხანებად და თურქეთის ხონთქრებად.
კივის სისხლი ქართული....ხატები იქაფება,
წმინდა სალოცავები უწყალოდ იკაფება.
ცხრა ძმა ხერხეულიძეს აღურიეს საფლავი,
ნინოს თმებით შეკონილ ჯვარს მიწაში აფლავენ.
შეგვიბღალეს ურჯულოთ ჩვენი მთვარე უბინო,
ფრთებს აჭრიან უფალთან გადასაფრენ
უფლისწულთ.
დაცრემლილი ხატის წინ ქართლი მანდილმოხდილი
დგას საყდარში მხურვალე ვედრებად ჩაჩოქილი.

მუხლმოყრილი თამარი ლოცვით ქრისტეს ავედრებს
ჯვრით შეფოთლილ ვაზებს და ჩვენი მიწის
ხავერდებს.
ჩაიხუტეთ, დიდგორის საარაკო გმირებო,
ამ რაინდთა სულებშიც ვაჟკაცობამ იმეფა!
ქართულ დროშას დარაჯობს ანგელოსის ბანაკად
სამშობლოს სამსხვერპლოზე შეწირული ზვარაკი.
დაღლილი საქართველო ძაძებით იმოსება
და რაინდებს ლოცავენ თეთრი ანგელოსები.
აპრილი, 1989 წ.

ჩემი სუნთქვა შენ გეკუთვნის

ჩემი სუნთქვა შენ გეკუთვნის, ჩემი გული,
აზრი ყველა,
მაქვს უბრალო სიყვარული, ვით უყვარდათ
სატრფო ძველად.
დღეს არ ძალმიძს, რომ შევმოსო ეს სიტყვები
ბრწყინვალებით,
ჩემს დამნაცრავ ტრფობის ალში მსუბუქად და
მივალ ნებით.
დღესაც მთვარე ისეთია, ვით იცოდა ლამანჩაში,
დღესაც გული ისეთია, ვით უძგერდათ ალბათ მაშინ.
გსურს გაჩუქო დღეს ეს მთვარე? კარგი იყოს,
იყოს შენი,
გინდა მოგცე ვარსკვლავები ღამ-ღამობით შუქის
მფენი?
გინდა, ეტლით წაგიყვანო შორ მხარეში უსამანოდ?
მომეყრდენი, ერთმანეთის ტკბილ სიზმრებში
დავივანოთ.
მომეკარი, ჩაიძინე, მე შენს სუნთქვას ვუდარაჯებ,
ყურს დავუგდებ გულისცემას, ცამ გვამყოფოს
მუდამ ასე...
შენი სუნთქვა მე მეკუთვნის, შენი გული,
აზრი ყველა,
გვაქვს უბრალო სიყვარული, ვით უყვარდათ
სატრფო ძველად.

შენ ლამაზი ხარ

გთხოვ, ამ საღამოს სარკისაკენ ნუ შებრუნდები,
შენ ლამაზი ხარ მეტისმეტად, ის კი – მაცდური,
და მაგ მშვენებით თვითონ შენვე თუ გაბრუვდები,
დაეკარგება თვალებს შენსას შუქი ბავშვური.

სჯობს მოიწყინო, ჩამოაყრდნო სახე თლილ ხელებს,
და შენს სატრფოზე, შორს წასულზე, იფიქრო ნაზად,
ანდა უმზირე სარკმელიდან ნაწვიმარ ველებს,
მათ დაჰგალობენ ტოროლები ხმაშერთულ დასად.

ირემი გარბის, ალბათ მოსდევს უკან მდევარი,
იქ ვიღაც მართალს ისევ ელის ტანჯვის ხუნდები,
ინაღვლე, გახდი სინანულით ღამის მთევარი,
ოღონდ სარკისკენ, სარკისაკენ ნუ შებრუნდები.

იულიუშ სლოვაცკი (1809–1849)
ს.....ს

შემოდგომაა და წყაროზე დაჭკნა ყვავილი,
ქარმა აშალა ჩამოცვენილ ფოთოლთა კორდი,
მუხა მარჯნებით და არყის ხე ბრწყინავს ოქროთი,
მერცხლის სული კი რაღაც შფოთვით არის
აღვსილი.

– დროა, გავფრინდეთ, ხარ მეგზურის გულში
მპოვნელი,

გავფრინდეთ, – უხმობს იდუმალი მერცხლის
მოლოდინს,
მოწყენილია, უნდა გაჰყვეს ძახილს ბოლომდის,
რტოებს მოწყდება და დამალავს სივრცე სოფელი...

როცა გაისმა შორ ქროლვათა ნარნარი ქორო,
ამ სხვენზე აღარ მოფრენილა მერცხალი კვალად,
რადგან ფრენისას ზღვის ტალღებში ეპოვა ბოლო.

ლაურა! შორეთს მიმავალი უბედურ მგზავრად,
იქნებ დავბრუნდე და შენს გულზე სიმშვიდე ვპოვო,
მაგრამ ფუჭია ეს ოცნება....მშვიდობით მარად.

პოლონური ენიდან თარგმნა რატი ნინუამ

/ადამ მიცკევიჩის თანამედროვე, ცნობილი პოლონელი რომანტიკოსის, იულიუშ სლოვაცკის, II სონეტის რატი ნინუასეული თარგმანი პირველად დაიბეჭდა ორენოვან კრებულში: იულიუშ სლოვაცკი, „ჩემი ანდერძი“, თსუ-ს გამომცემლობა, 1999 წ. კრებულის შემდგენელი – პროფესორი მარიამ ფილინა; რედაქტორები: პროფ. მარიამ ფილინა, პროფ. ოთარ ბაქანიძე; ბწკარედების შემდგენელი დოც. ნათელა ნადიბაიძე./

რატი ნინუას, ამ მართლაც მაღალი რანგის რაინდული და ეროვნული სულისკვეთების პოეტის, შემოქმედების ამსახველი კრებული „ზღვაურის გამაყრუებელ ხმაურში“ შეგიძლიათ მოიძიოთ წიგნის მაღაზია „ბიბლუსის“ ქსელში.

გალაკტიონი მარად ჩვენთან...

შუადღის გულმოდგინეგა

გულმოდგინებას შუადღე იჩენს,
იფენს რა ენებს, ვით წითელ ინას.
იწყებს ათასი ჭრიჭინა ჭრიჭინს
და ჰფხაჭნის ჰაერს, გაბზარულ მინას.

განუწყვეტელი მათი კვარტეტი
შუადღეს ათრობს მაისის ღვინით.
ცის ულმობელი მშრალი ვარდეთი
გადაფარულა თეთრი პინგვინით

და დასავლეთით ანთებულ ფერადს
მალე საღამო აავსებს ლილით,
ჩემი სალამი ახალ ქიმერას,
თვალებამღვრეულს დასიცხულ ძილით.



მხატვარი **მარსიანი**, 2017

მანანა ჯალაღონია

დათო ტურაშვილის „ისტერიულ რომანზე „იყო და არა იყო რა“

იმედგაცრუება და გულისტკივილი ჩემთვის უცხო არაა, მაგრამ ამას კი არ ველოდი, თუმცა მოულოდნელი არაფერია მას შემდეგ, რაც 90-იანი წლების დადგომისთანავე გადავიტანეთ. ნოდარის (იგულისხმება ცნობილი პოეტი ნოდარ ჯალაღონია-რედ.) დაპატიმრება და მისი დაცინვა რა მოსატანია იმასთან, რაც ზვიად გამსახურდიას დასწამეს... მაგრამ არ მეგონა, დღესაც თუ გრძელდებოდა ყოველივე.

მხედველობაში მაქვს დათო ტურაშვილის ე.წ. „ისტერიული რომანი“ – „იყო და არა იყო რა“ 1987-1991 („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2012, 2013 და ვგონებ 1997წწ).

წიგნში აღწერილია ეროვნული მოძრაობის აღმავლობის წლები, 1989 წლის 9 აპრილის მოვლენები და შემდგომი პერიოდი – 1991წ.

პირველი, რამაც ჩემში უარყოფითი რეაქცია გამოიწვია, რომანის სათაური იყო – „იყო და არა იყო რა“ – თითქოს ყველაფერი ზღაპარი ყოფილიყოს. ისე, საბჭოთა ადამიანებისთვის მართლაც ზღაპარს განეკუთვნებოდა მომხდარი, მაგრამ ეს მწარე სინამდვილე და დიდი ტრაგედია უმნიშველოვანესი რამ – საქართველოს დამოუკიდებლობისათვის რეალური ბრძოლის დასაწყისი და დაგვირგვინება (როგორც იტყვიან, დე-იურე) იყო და ამ მოვლენის ასეთ სათაურში მოქცევა ავტორს ორმაგი თამაშის გზას უტოვებს.

ისტორიულის ნაცვლად „ისტერიულის“ ჩასმა კი როგორ გავიგოთ? გამოდის, ყველაფერი ეს მხოლოდ ისტერია იყო? რეალობასა და ლოგიკურობას მოკლებული რამ?

რისი თქმა სურს ამით ავტორს? სამწუხაროა, რომ ჩვენთან კრიტიკა, რეალური შეფასება წიგნისა ხშირად ტენდენციურ ხასიათს ატარებს. ერთი-ორი ადამიანის აქტიურობა ვერაფერს ცვლის, მაგრამ უდავოდ საჭიროა ეროვნული მრწამსისა და პროფესიონალების პირუთვნელი შეფასება. შეიძლება დღეს ფართო მკითხველს ადვილად ვერ მიაწვდინონ ხმა, მაგრამ ისტორიის ფილსიფიკაციის თავიდან ასაცილებლად მომავალი თაობებისთვის სიმართლე დარჩება.

ჩემი გულისტკივილი ტურაშვილის მიერ აღწერილმა ფაქტმა გამოიწვია. თავის რომანში ის ყვება რუსთაველზე 1989 წლის 8 აპრილს, დღისით ტანკების გამოჩენაზე, როდესაც ხალხი ტანკებს წინ დაუწვა. განსაკუთრებით ამაზე ამახვილებს ყურადღებას, კი არ ამახვილებს, საკუთარი ინტერპრეტაციით აღწერს: „... დაახლოებით ფოსტა-ტელეგრაფის შენობის წინ ხალხი ტანკებს წინ გადაუდგა და როგორც მახსოვს, პირველი, ვინც ტანკს დაუწვა, კოკა გაწერელია იყო. კოკას სხვებიც მიყვნენ და ადამიანებს ისეთი სახეები ჰქონდათ იქ, მაშინ მივხვდი, რომ მდგომარეობა რთული იყო. (მიუხედავად მდგომარეობის სირთულისა, სწორედ ტელეგრაფის წინ კურიოზი მაინც მოხდა – უფროსი ასაკის ერთი პოეტი სხვებთან ერთად ტანკებს დაუწვა და როგორც ჩანს, იმდენად ნასვამი იყო, რომ მაშინვე ჩაეძინა. ვერ ვიტყვით, რომ კარგა ხანს ეძინა საყვარელ პროსპექტზე, მაგრამ კოკა გაწერელიამ ყველას თხოვა – იყოს, ნუ გააღვიძებთ, გმირობას გადამდები ძალა აქვს და იქნებ უფროსი თაობა ამის გამო მაინც შემოგვიერთდესო“ (გვ. 121).



აი, ასე მშვიდად ხდებოდა თურმე ყველაფერი! ისე, მშვიდად, რომ ადამიანებს პროსპექტზე ძილსა და მყუდროებას არაფერი ურღვევდა...

გულის ტკივილი ცოტაა იმასთან შედარებით, რაც მე ამ სტრიქონების წაკითხვით განვიცადე. „უფროსი თაობის პოეტი“ ვინც იმ დღეს იქ იყო – ნოდარ ჯალაღონიაა. იგი ტანკს დაუწვა „და ადამიანების სახეების მიხედვით კი არ მიხვდა, რომ მდგომარეობა მართლა რთული იყო“, არამედ მოედნისკენ დაძრული ტანკების დანახვისთანავე მიხვდა, რა იყო მოსალოდნელი, ახალგაზრდების დიდი კოლონა სწორედ რუსთაველისკენ მიემართებოდა. ამ საშიშროებით შეშფოთებულს დაუნახავს ქუჩაში დაწოლილი ადამიანი. ის ამით ცდილობდა ტანკების შეჩერებას, ნოდარი თვითონაც დაწოლილა „ის კაცი სახით ჩვენკენ იწვა, მე სახით ტანკებისკენ დავწექი. ტანკები მოშორებით შეჩერდნენ და ვიღაცამ ხელი დაგვიქნია – „აქეთ მოდითო“, ჩვენც ტანკს შემოვეხვიეთ. ეს მახსოვს: ტანკზე მჯდარ სამხედროს რომ ვუყვიროდი: „не станьте палачами перед вами народ!“ ტანკს რომ ვუწვებოდი, ვიღაც გოგონა ტირილით მომვარდა, ბიძია, არ დაწვეო“. მერე ნოდარი ხშირად იხსენებდა იმ გოგონას, ნეტავ ვინ იყო, მისი გაცნობა ძალიან უნდოდა.

ასე რომ, ნამდვილად არ იყო პროსპექტზე ადამიანების წამოკოტრიალების საშუალება, ვინმეს რომც სდომოდა, ფეთქებად ვითარებაში ასე რომელი ჭკუათამყოფელი მოიქცეოდა?

ძნელი დასაჯერებელია, რომ ტურაშვილმა ეს მოიგონა, მაგრამ წარმოუდგენელია ისიც, ეს სი-

ტყვები კოკა გაწერელიას ეთქვა. კოკა გაწერელია ამას არ იტყოდა, რადგან ნოდარისგან საკმაოდ მოშორებით იყო, იმ სულისშემძვრელ სიტუაციაში ან ვინ შეამოწმებდა უფროსთაობელი პოეტის „ნასვამობას?!“ ასეც რომ ყოფილიყო, იქ, ტანკების გრუხუნში „გაუშვით, მშვიდად იძინოსო“ როგორ იტყოდა?!

ვერ იტყოდა, რადგან ცნობილი ლიტერატორის, აკაკი გაწერელიას ვაჟს უფროსი თაობის ფასი კარგად მოეხსენებოდა. მამამისი ზვიად გამსახურდიას მხარს უჭერდა და ეროვნული მოძრაობის წლებში სეირისმაყურებელივით გვერდზე არ გამდგარა. ვერ იტყოდა იმიტომაც, რომ „უფროსი თაობის ერთი პოეტი“ – ნოდარ ჯალაღონია ნასვამი და მთვრალი უახლოეს ადამიანებსაც ორ-სამჯერ უნახავთ, იგი ბიოლოგიურად ვერ იტანს ღვინოსა და სიმთვრალეს. სიმართლე რო ითქვას, ამან (საჭირო ხალხთან ქეიფი და დროსტარება რომ არ უყვარდა), ბევრჯერ უკან დასწია, საქართველოში ხომ ძმაბიჭებს სუფრასთან იძენ და საქმეებსაც იქ აგვარებ!

ძალიან მინდოდა გამერკვია ეს სიტყვები დანამდვილებით კ. გაწერელიას თუ ეკუთვნოდა, რასაც ტურაშვილი მიაწერს, მაგრამ ვერ მოვახერხე, საერთო ნაცნობი არ აღმოგვაჩნდა და თანაც მე – ნოდარის მეუღლეს მეჩოთირებოდა ამ თემაზე საუბარი.

ახლა რომ ვფიქრობ, ტყუილად, სიმართლე ყოველთვის უნდა დაიცვა...

ცხადია, ტურაშვილს ვიღაცასთან ჰქონდა ამაზე საუბარი.

9 აპრილის შემდეგ ჩემმა ძმამ, ზაურმა, მითხრა, რომ მის თანამშრომელს ნოდარის ამბავი აინტერესებდა. მიზეზი რომ გამოვკითხე, დააზუსტა: 8 აპრილს ტანკებთან სახეშეშლილი იდგა და სამხედროებს რაღაცას უყვიროდაო. მაშინ საჭიროდ არ ჩამითვლია იმ ადამიანის ვინაობა გამომერკვია, ვინც თავის ნათქვამს დაადასტურებდა.

8-9 აპრილის დღეების მოგონებებში ყველაფერს ვიხსენებ. იმასაც, რომ ნოდარი 8 აპრილს დაახლოებით 5 საათისთვის შინ დამწუხრებული სახით დაბრუნდა. აშკარად ცუდად იყო. ბოლო დროს მედროვეებთან მუდმივი დაპირისპირებები ჰქონდა, ისინი ზვიადსა და მერაბს ლანძღავდნენ და მლიქვნელურ პოზიციას იკავებდნენ, რასაც ნოდარი ვერ ეგუებოდა. ის სიმართლეს ყველას პირში ნაჯახივით ახლიდა. სიმართლე კი არავის უყვარს, მით უფრო მედროვეებს. ამიტომ ვიფიქრე, რომ იმ დღესაც ვიღაცას ეკამათა. მან რაც მოხდა, მიამბო. სახლისკენ წამოსულს გზად სოსო სიგუა და სხვა მწერლები შეხედრია, მკითხეს, – რა დაგემართაო, – ყველაფერი მივუყევი, მანქანაში ჩამსვეს და რადგან შეუძლოდ ვიყავი, სახლში გამომიშვესო. ნოდარი ძლიერი სტრესის დროს ცუდად ხდება და მაშინაც ასე დაემართა.

აქ მხოლოდ ნოდარის პიროვნებაზე არ არის საქმე. ეს ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება დააკნინო ადამიანის ღირსეული საქციელი, პიროვნება, მისი სული... დაბოლოს, ეროვნული საქმე, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა.

მსგავსი რამ რომც ყოფილიყო, წიგნის ავტორს სხვაგვარად უნდა წარმოედგინა და თუ კარგად არ შეისწავლიდა ამ ამბავს, არც უნდა ეხსენებინა „იქნებ უფროსი თაობა ამის გამო მაინც უნდა შემოგვიერთდესო“ – წერს ტურაშვილი და ამით გვეუბნება, რომ მხოლოდ ახალგაზრდები იყვნენ იქ და ყველა უფროსი შინ, ჩეროში იჯდა.

იგი არც ბ-ნ ზვიადსა და მერაბს მიაგებს დიდ პატივს. ისე გამოდის, რომ მთელი ეროვნული მოძრაობა თვითონ ყოფილან?! ყველას ახსოვს, ვინც მაშინ აქტიურად იყო ჩაბმული ამ მოძრაობაში, ვინც ესწრებოდა მაშინდელ მიტინგებს ბ-ნი ტურაშვილისა და მისი მეგობრების გამოსვლები ეროვნული ხელისუფლების, ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, მათი ლექტორისა და იდეოლოგის, შემდეგ შევარდნაძისდროინდელი პარლამენტის სპიკერის, გოგუაძის ხელდასმით.

არც არავის სმენია ბ-ნი დათოს პროტესტი იმ ავადსახსენებელ ოთხმოცდაათიან წლებში; პროტესტი იმ საშინელებების წინააღმდეგ, რაც მაშინ ხდებოდა.

არც მაშინ, ცეცხლს რომ მისცეს კონსტანტინე გამსახურდიას სახლი; არც მაშინ, მარჯვენა რომ მოაჭრეს მხატვარს – ზვიად გამსახურდია რომ დახატა იმიტომ, არც მაშინ, უდანაშაულო ვაჟი დედის წინ რომ დახვრიტეს ზუგდიდში ზვიადთან ფიზიკური მსგავსების გამო და სხვა და სხვა.

ეს ყველაფერი ძალიან მძიმე ასახსნელია. ვიცი, რომ ასე მკაცრად არ უნდა განვსჯიდე და მეტი მიმტევებლობაა საჭირო, მაგრამ... უნდა ვიყოთ კი? იქნებ თავის დროზე ყველაფერი რომ არ ითქვა, ამიტომაც ვართ ასეთ მდგომარეობაში...

ახლა როგორ მომინდა ქ-ნ ლია ანდღულაძესთან საუბარი. როგორ დამაკლდა... ის უფროსი თაობა არ იყო? თავის დედისერთა ქალიშვილთან იქ არ იმყოფებოდა თამრიკო ჭოველიძესა და ნათია ბაშალეიშვილის თანაკლასელსა და მეგობართან ერთად?! ერთად ისხდნენ იმ საბედისწერო ღამეს გვერდი-გვერდ და სიკვდილს სასწაულით გადაურჩნენ... და რამდენი კიდევ...

ქ-ნი ლია შეძლებდა ყველაფრის გარკვევას, სათანადო დასკვნის გამოტანას და რაც მთავარია, იმ ადამიანის საჯარო გაკიცხვას, ვინც ეს ამბავი ასე თავის ნებაზე დაამახინჯა.

ამ განუკითხაობამ ჩვენზე ძალიან იმოქმედა. ბოლო წლებია ნოდარი დეპრესიაშია, აღარსად დადის, დაუძლურებულია და მეხსიერებადაქვე-

ითებული. მის მოსაკითხად ზოგჯერ აპოლონ ჟორდანიას მეუღლე მირეკავს. აპოლონი შარშან გარდაიცვალა. ისიც საშინელ დეპრესიაში იყო ბოლო წლებში. მის მეუღლეს ნოდარი კარგად ახსოვს და ასეთ მდგომარეობაში ვერაფრით წარმოუდგენია, მისი გაუარესებული ჯანმრთელობის გამო წუხს. ერთ-ერთი საუბრის დროს 1989 წლის 8 აპრილი გაიხსენა. თქვა, რომ ტანკების შემოსვლის დროს ნოდართან იდგა და დაინახა, რაც მოხდა. ბევრს ვეხვეწებოდით ნოდარს, ტანკს არ დასწოლოდა, მაგრამ ვერ გადავათქმევინეთ. მერე წამოდგა და ტანკის მიმართულებით გაიქცა, სამხედროებს რაღაცას უყვიროდა, ყველანი ტანკებს შემოეხვივნენ და ჩვენ იგი (ნოდარი) თვალთახედვიდან დავკარგეთო.

გულოს მონათხრობმა ძალიან გამახარა. ეს კიდევ ერთხელ აქარწყლებს ბ-ნი ტურაშვილის ვერსიას „ასაკოვანი პოეტის რუსთაველის პროსპექტზე დაძინებისა“. მას ვთხოვე, მოგონება დაეწერა, მაგრამ მძიმე ავადმყოფობის გადატანის გამო ჯერ ამას ვერ ახერხებს. ნოდარის დატოვება რომ შემეძლოს, მე მივაკითხავდი და ყველაფერს ჩავიწერდი. მაგრამ რა... დაწერა ტურაშვილმა, დაბეჭდა, და ასე გაავრცელა, ასე გააუფასურა ხალხის გმირობა და თავდადება....

ძალიან საწყენია. გული მტკივა არა მხოლოდ ნოდარის გამო. საერთოდ, ასეთი ცინიკური დამოკიდებულებისა და ტყუილების გამო...

ნათესავის დახმარებით კოკა გაწერელიას მეუღლის, ნინო დათუკიშვილის, ტელეფონის ნომერი გავიგე. თავად ნინო „რადიო-1“-ში მუშაობს, „ხაზის რადიოში“ და კარგი გადაცემები მიჰყავს. მას დავურეკე და ვკითხე, მაინტერესებდა ბ-ნი კოკას აზრი, ეს ფრაზა მას თუ ეკუთვნოდა. ნინომ მიპასუხა, რომ კოკა ამას ვერ იტყოდა, თუმცა სიმართლის დაზუსტებას შეეცდებოდა. ნინო დათუკიშვილი მეორე დღესვე დამიკავშირდა და მითხრა, რომ ეს სიტყვები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. კოკა გაწერელიამ თქვა: მე არ ვიცი ვინ იყვნენ, ტანკებს ვინც დაუწვა, წამოწოლილი და ჩაძინებული იქ არავინ დამინახავს, ისეთი სიტუაცია იყო და ისეთ ეიფორიაში ვიყავით, მსგავსი რამ გამორიცხულია. იქ არც დათო ტურაშვილი მინახავს, ის რომ ყოფილიყო, აუცილებლად შევამჩნევდიო.

ქ-ნ ნინოს მადლობა გადავუხადე და ისიც დავამატე, რომ ეს ამბავი თავის დროზე არავინ გააპროტესტა და დღეს იქნებ დაგვიანებულიცაა ამაზე საუბარი. ამიტომაც ტყუილს სიმართლედ ასაღებენ. მე ეს მაწუხებს და ყველაფრის გარკვევა ამ მიზეზით მოვინდომე.

კიდევ იმის თქმა მინდა, რომ ეს რომანი არ არის. რომანი სხვა რამეა, მას თავისი კანონები აქვს. ეს უბრალოდ სიტუაციების აღწერაა და მას დოკუმენტური მოთხრობა უნდა ერქვას იმ შემთხვევაში, თუ სიმართლე თვითმიზნურად არ არის დამახინჯებული.

ნოდარისთვის წიგნი არ მიჩვენებია და არც ეს ნაწყვეტი წამიკითხავს, კიდევ ერთი გულისტკივილი და ადამიანებისადმი ნდობის კიდევ ერთი დანაკარგი რომ არ ეგრძნო.

2015

ლაშა გვასალია

ახალი ლექსები

მიწას ჯერ ვით დავეფიფქო

გაულაყდა ჟამის კვიცი,
თვალს ვერ ვაწვდენ ფერად შუკებს,
რაც ვიცი და რაც არ ვიცი
ფრენით გაჰყვა სიჭაბუკეს.
დასახარჯად გავიმეტე
წლები დროის დასაპყრობად,
ვერ ვუგანე იმედებს და
გამიგიჟდა ლექსად ყოფა...
მიწას ჯერ ვით დავეფიფქო
მზე არ ვიცი რა ფერია,
გადავყევი სულზე ფიქრებს,
დამატყვევა მისტერიამ –
მთვარის ჩავარდნილის ზღვაში
მომემზერა ფერთა ელვა,
რაღას უზამ ყოფას მაშინ,
თუ არ მოგდევს ბედისწერა...
რაც ვიცი და რაც არ ვიცი
ფრენით გაჰყვა სიჭაბუკეს,
გაულაყდა ჟამის კვიცი
თვალს ვერ ვაწვდენ დროის შუკებს!..

***

ისევ ისეთი თვალების დილა,
ისევ ისეთად ფრთების სავსავი,
ახლა რომ გითხრათ მსუბუქად, რბილად,
ჩემი სიგიჟის თეთრი და შავი
გამოჩნდა მისი ერთი დანახვით,
გაიხსნა გულში ყველა იარა,
ათას რამეთა ფიქრად დალახვრით,
ამ სიყვარულის თანაზიარად –
მრჩება დუმილი შეულახავი,
წლების უსახო ხილვის ცვალებით,
გადამალული ბედის ვარსკვლავი
– ამ სიყვარულის ჩუმი წვალებით...
ისევ ისეთი თვალების დილა,
ისევ ისეთად ფრთების რიალი!..
არ დავრჩეთ იქაც უერთმანეთოდ...
გაზაფხულები ერთად ვიპოვეთ,
ალალ სიყვარულს მზეზე ვაფენდით,
გზა – გზა იმ დღეთა ხსოვნას ვიფონებ
– შვილების მზით რომ ერთად გავთენდით...
ყველას თავისი მოსდევს მისია,
ამ ძალით ბორგავს მტკვარი, არაგვი,
სოფელი სრულად საკმარისია
– ცხოვრებითა თუ ძვალთ შესალაგით,
რომ დაინახო ახლო შორიდან,
რწმენა სულის და ხორცის – საერთო,
საწყისთან უფლის ისე მივიდეთ,
არ დავრჩეთ ცაშიც უერთმანეთოდ!

სიკვდილის დროსთან შემრიგებელი...

მზე გაზაფხულის მარტის თითებით
გამოაფხიზლებს ზამთრის სიჩუმეს,
და ლურჯი ია განებივრებით
ცას ნისლმანდილად რომ დაიბურებს,
შენ გამოჩნდები ზურგმიყრდნობილი
მკრთალ სიმორცხვეს, და შორით გორები
ამპარტავნულად მთვარე – დობილით
მოასხივებენ იმ მეტაფორებს,
რომელიც შენში მზერას ამოხსნის
სიყვარულის და ზეცის მქებელი,
ინავარდისებ სულის სამოსით
სიკვდილის დროსთან შემრიგებელი!..

სამყარო სიგიჟის არენაა (მეგობარ პოეტს)

გშვენის ცათაშინა დარანები,
სულში გაზაფხულის კრთომებია,
მითხრეს გადაღლილი ქარავნებით
მთებს გაღმა წასვლა გდომებია...
იქით ვარდობისთვე სხვანაირად
სიოს ეფრთონება შენივთებით,
შენ ველარ იცხოვრე "იმნაირად",
მიტომაც იფრინე შენივ ფრთებით...
და ერთხელ ღრუბლეთში ჩამიარე,
მზეს ჰქონდა სხივები ცად ჩაღვრილი,
ველარ მორეოდი ძველ იარებს
– მიმზერდი ღმერთივით გადაღლილი...
ისეთი ბავშვური სინამდვილე
რაღაც ბიბლიური შეყოვნებით,
ახლა ამ აღქმას მიადვილებს,
ვიღაცას გიჟიც ვეგონები...
რადგან მზეს გავსცქერი მორიდებით,
გულმა ტკივილები გამობინდა,
ნისლები, ჩემი შორი დები
მიმზერენ სამყაროს ჭაობიდან...
და ეს ყველაფერი გაფრენაა,
მიწით და ზეცით გაყოფილი,
სამყარო სიგიჟის არენაა
პოეტურ კრთომებით კმაყოფილი!..

***

საოცნებო სოფლელ გოგოს სავსე კაბით
– ჩითისა და ხელაბანდით,
ჩავიკრავდი გულში წამით ცახცახით
და გლეხურ ფანდით,
ისე ვნებით ავუხსნიდი სიყვარულს და
ნუკრის მზერას მომაბნევდა,
ნიშნად იმის, რომ მენდობა, ჩემი სჯერა...
წამომყვება სადაც მინდა, თვით ქვესკნელშიც
– ტანჯვის წევრი გახდება და თხოვნა წმინდა
ექნება,
რომ გავხდეთ ბევრი... დახუნძლულნი
სისხლით-ხორცით,
ოფლითა და შრომა- ჯაფით,
სულ უბრალო პერანგით და სულ უბრალო ჩითის
კაბით...
ვიყოთ ქვეყნის იმედები – ერისა და ბერის ძალა.
კაცს პურ-ღვინო ვუმადლოთ და
სანთელი კი უფალს ღალად...
და ჩავტკბილდეთ ბადაგივით,
გვწყვეტდნენ წყვილად სიტყვის ნაყოფს,
ვინაგრებდეთ სიყვარულს და
წასასვლელად მიწას სამყოფს...
სოფლელ გოგოს, კოხტა გოგოს,
სადასტუროდ – კის თუ ხოლოს,
მკერდსავსეს და მზერანათელს,
ამ ოცნების თავს და ბოლოს,
მივუძღვნიდი ჩემს ალალ გულს,
ვუმღერებდი მეგრულ „ნანას“,
დავურგავდი გაზაფხულს და
ვაჩუქებდი მთელ ქვეყანას!..

გარდაუვალი მოლოდინით

კვლავ ვერლიბრივით ურითმოა ჩემი ცხოვრება,
ქარიან იმედს უიმედო მოუჩანს პირი,
სულში ფრიალი წამოიწყეს თეთრმა ყორნებმა,
დღეები ესე უსახობით გამოდგა მწირი...
ეს გახარებაც თავს საჩემოდ ვეღარ იმეტებს,
ზეცამ თალხისად ჩამოღრუბლა ბოლო სონეტი,
ახლა ჯვარს ვაკრავ ჩემს უსახო ბოლო იმედებს,
იმ ჯვარზე, სადაც გაკვრას ელის ყველა პოეტი!..
ვიქეცი სიტყვად, სიტყვა ვარ მხოლოდ...
ბედუინივით მივაპობ სივრცეს,
ჩურჩულებს ცა და ფართხალებს მიწა,
გული მოუშლელ ტკივილით მიცემს,
გაგიჟებისგან სიმღერა მიცავს...
რა გავაკეთო იმაზე მეტი –
სული ქარსა და ზეცას შევახე,
უფალო, სისხლით გავზომე ბედი –
გადაღეღილი მზით დაგენახე...
მაინც მატყდება მეხი და სეტყვა,
ვეღარ ვეჩვევი ამ სოფელს, ხოლო,
დიდი ხანია ვიქეცი სიტყვად,
დიდი ხანია – სიტყვა ვარ მხოლოდ!..

ჩემს ბედისწერას...

თავად ვუკვეთავ ჩემს ბედისწერას,
გზა არეული ეკალ-ბარდებით,
და ეს სცენარი ვინაც დაწერა,
თვითონ დახურავს სცენას ფარდებით.
ვერ ამიყვანა ხელში წარსულმა,
ვერ შევიპყარი ცა-მზის ფრინველი,
ერთი ამბორით – უცხო ასულმა
გამხადა ლექსის ტყვე და მზირველი...
ეს შემოდგომა ფოთლით კანკალებს,
მე კი მაშფოთებს გაუტანლობა,
მივყვები ჩუმად მამის ნაკვალევს
– ვუხდი ამისთვის უფალს მადლობას...
ამ გზაზე სევდის განცდა გამყვება,
არ აქაური, უფრო ველური,
არსობა შენით მეამაყება,
მიტომაც მყავხარ შემოჩვეული
– ჩემო ცაო და ძალაო სიტყვის,
მითხარ ეს ყოფა ვინ გადაწერა?
მივუახლოვდი შენს გულსაც თითქმის,
თავად ვუკვეთავ ჩემს ბედისწერას!..

ლურჯი ბლონდები

არ მასვენებენ მკრთალი ბლონდები
სიზმრისეული აურზაურით,
თითქოს ვიღაცას ვემშვიდობები
პოეზიით და სულის ზღვაურით.
სჭირდება თქმასაც გამორიდება,
როგორც ჯართისგან ბაჯაღლოს ნამდვილს,
აღარ არსებობს ჭეშმარიტება
გრძნობაზე დიდი, მართალი ცამდის...
კვლავ ვიხედები აღსავლით მზისკენ,
იღვრება წითლად ყაყაჩოს ველი,
ვითარც ძელ-ჯვარზე უფალი – ქრისტე
გაკრულა ცაზე მიწით ქართველი!..
არ მასვენებენ, არ მაყენებენ
ეს გიჟეული ლურჯი ბლონდები!...

კომშის ყვითელი ფოთოლი

კომშის ყვითელი ფოთოლი
შემოდგომიდან მახსოვს,
ხაზავდა ქარი ჰაერეთს,
როგორც კალამი ასოს...
ფერგადავარდნილ, ღრუბლიან
ცას შემაზარად უხმო,
დღეს გადაღლილი ყოფისგან
სულის სიმშვიდედ ვუხმობ...
კომშის ყვითელი ფოთოლი
ციური ცრემლით სველი,
ეფერებოდა ნოემბერს
ანგელოზური ხელით!..

ლერი ალიმონაკი

მეტი ყურადღება, პროფესორო!



1966 წლიდან, რაც ტერენტი გრანელის ცხოვრებისა და პოეზიის შესწავლას მივყავი ხელი, არასოდეს მიცდია ჩავრთულიყავი იმ აბსურდულ დავაში, რითაც შეიძლება მცირედით მაინც შებღალულიყო ამ წმინდა პოეტის სახელი. აბსურდი და ცილისწამება კი ამ ბოლო წლებში, იცოცხლე, მრავლად დაატეხეს თავს ამ ისედაც მოწამე კაცს. „მრავალ ლეგენდებს იტყვიან ჩემზეო“ – ამბობს გრანელი ერთგან. და მართლაც, სიცოცხლეშიც მრავალი ლეგენდა შეითხზა მასზე, სიკვდილის შემდგომაც, აწიც მრავალს იტყვიან. მაგრამ ლეგენდა ლეგენდაა. მას თავისი ფორმა, ხიბლი, მიმზიდველობა ახლავს. როცა საქმე შეგნებულ თუ შეუგნებელ პროფანაციასთან გვაქვს, დუმილიც აბსურდულობად მეჩვენება. როგორცა ჩანს, ყველაფერს თავისი ალო, საზღვარი აქვს.

გულისხმით წავიკითხე გაზეთ „ილორის“ 6-13 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული ინტერვიუ პროფესორ თამარ პაიჭაძისა ტერენტი გრანელზე. ამბავი, რომელსაც ინტერვიუ გვთავაზობს, ცნობილია პოეტის უახლოესი მეგობრების მოგონებებიდან, მოთხრობილი ქართული ენით (იხ. „ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“ ნაკადული, 1984). ვფიქრობდით კი, რომ ინტერვიუში რაღაც ახალს აღმოვაჩენდით, რაც მანამდე არ ვიცოდით, თუმცა ამაოდ. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარი, რბილად რომ ვთქვათ, ინტერვიუში დაშვებული ლაფსუსებია.

მივყვეთ ტექსტს:

1. პირველივე აბზაცი ფალსიფიკაციით იწყება. აქ მოხმობილია ტერენტი გრანელის ლექსიდან ფრაგმენტი, რომლის ადრესატი, ინტერვიუს თანახმად, თამარ ჯაფარიძეა. გარდა იმისა, რომ წერილი დედნისეული ტექსტის უხამს ინტერპოლაციებს შეიცავს, სინამდვილეში მისი ადრესატი თამარ ჯაფარიძე კი არა, კომპოზიტორი აკაკი ანდრიაშვილია, პოეტის ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი. ხოლო ინტერპოლაციის შედეგად გაყალბებულია წერილის ონტოლოგიური შინაარსი. მას სასიყვარულო ბარათთან არაფერი აქვს საერთო. აღნიშნული წერილებისა (2) და ლექსების (3) დედნები ჯერ კიდევ 1967 წელს გადმომცა კომპოზიტორმა, მაშინ, როდესაც კარდაკარ დავდიოდი და ტრაგიკულად დაღუპულ პოეტზე ახლობელ-მეგობრებისგან მოგონებებსა თუ გაყვითლებულ ხელნაწერებს ვკრებდი. ლექსებიცა და წერილებიც 1979 წელს „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემულ ტერენტი გრანელის ერთტომეულში გამოვაქვეყნე, ხოლო დედნები სალიტერატურო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდს ჩავაბარე. ვფიქრობ, არ იქნებოდა ურიგო ქალბატონ პროფესორს გადაეხედა ამ გამოცემისთვის.

2. ასევე არ იქნებოდა ურიგო გადაეთვალიერებინა მოგონებათა წიგნი ტერენტი გრანელზე „ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“, გამოცემული „ნაკადულის“ მიერ 1984 წელს. ვფიქრობ, დაინტერესებდა ლადო გუდიაშვილის მოგონება, სადაც დიდი ხელოვანი პარალელს ავლებს ნიკო ფიროსმანაშვილისა და ტერენტი გრანელის ცხოვრების ერთნაირ სულიერ ბედზე. ამ ობოლ სულთა ბედისწერულ კავშირს ადასტურებს ტერენტის ბრწყინვალე სონეტი „ნიკო ფიროსმანაშვილს“, დაწერილი ჯერ კიდევ 1920 წელს, მაშინ, როდესაც პოეტი სულ რაღაც წელიწადნახევრის-ორი წლის ჩამოსულია თბილისში. ბატონი ლადო ამ ორი დიდი შემოქმედის ცხოვრების მოწმეც იყო, მონაწილეც, (მხატვრულად მან გააფორმა ტერენტის გრანელის მესამე წიგნი, გამოცემული 1926 წელს) და ალბათ აჯობებდა, ქალბატონ პროფესორს აღენიშნა ამის თაობაზე, როგორც პირველწყაროზე, ისტორიული პერსპექტივა რომ არ დარღვეულიყო.

3. 1967 წლიდან ახლო მეგობრობა მაკავშირებდა გეგე შანავასთან, იაკობ შანავას ვაჟთან. სოხუმისა და აფხაზეთის „საქწიგნის“ მმართველი, თავადაც დიდად წიგნიერი, ახლო მეგობარი იყო ჩვენი გამოჩენილი მწერლებისა, პოლიტიკური მოღვაწეებისა. ყოველნაირად მიმართავდა ხელს ტერენტი გრანელის წიგნების გამოცემაში (მძიმე წლები იდგა, საბჭოთა ცენზურა ფრთხილად იდგა თავის სადარაჯოზე). ბატონ გეგეს ცნობით, იაკობ შანავამ სარეკომენდაციო ბარათი ტერენტის სამსონ ფირცხალავასთან გაატანა, „სახალხო საქმის“ რედაქტორთან, სადაც, სიმონ ყაუხჩიშვილის მოგონებების თანახმად, ერთხანს მუშაობდა კიდეც პოეტი („ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“, ნაკადული, 1984). არსად, არავის მოგონებაში, ამ კონტექსტში ზაქარია ჭიჭინაძე და იოსებ იმედაშვილი ნახსენები არ არის. ის კი ნამდვილია, რომ ეს ორი გამორჩეული პიროვნება, თავიანთი დემოკრატიული, ქრისტიანული ბუნების გამო დროდადრო იფარავდნენ

თავისთან ამ უსახლკარო, მიუსაფარ პოეტს.

4. ტერენტი გრანელის უახლოესი მეგობრების ცნობით, თბილისში დაბრუნებულ და ამ ქალაქში დამკვიდრებულ თამარ ჯაფარიძეს ტერენტი ყველგან თავს არიდებდა, როგორც ამას სამართლიანად აღნიშნავს რესპოდენტი. ქვემოთ კი წერს: „ტერენტი სადილად ერთ ქალბატონთან დადიოდა, რომელიც ვერის სასაფლაოსთან ახლოს ცხოვრობდა. ერთხელ, ამ ქალის სახლის ფანჯარასთან თამარ ჯაფარიძე დაუნახავს, ფეხზე წამოიჭრა თურმე და სხვა ფანჯრიდან მეორე მხარეს გადახტა“. ფანჯრიდან კი არ გადახტა, როგორც ამას ინტერვიუში ვკითხულობთ, არამედ „ტერენტიმ კიბისკენ გაიხედა, თოფნაკრავივით წამოიჭრა და ჩემს ოთახში შევარდა“, როგორც ამას პოეტის უახლოესი მეგობარი, დავით კობიძე გადმოგვცემს („ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“, ნაკადული, 1984). ფაქტების ინტერპრეტაცია შესაძლებელია, ოღონდ – არა გაყალბება. იქნება ნიუანსია, მაგრამ მას დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი ტიპის პოეტის ქარაქტეროლოგიის შესასწავლად, როგორიც ტერენტი გრანელია. არ არის გამორიცხული, დადგეს დრო და მისი პიროვნება და ცხოვრება, როგორც მთელი მისი შემოქმედება, ფსიქოლოგ-ფსიქიატრების კვლევის საგანიც კი გახდეს. ამიტომ დავეყრდნოთ პირველწყაროს, ობიექტურ სინამდვილეს,რა საჭიროა უტრირება?!

5. ამ ეპიზოდის ქვემოთ რესპოდენტს მოჰყავს ტერეტი გრანელის ერთი სტროფი, რომლითაც თურმე პოეტს თავისი გაცრუებული სიყვარული „გამოუტირებია“. ამგვარი განწყობილების საილუსტრაციოდ თუ გასამყარებლად, ტერენტი გრანელი იმ ტიპის პოეტია (თუ დავარღვევთ მის ეგზსტენციალურ კანონზომიერებას), შეიძლება მთელ მის შემოქმედებას მოვუხმოთ. გარდა ამისა, და, რაც მთავარია, მოხმობილი ავტორისეული ტექსტი აქაც ფალსიფიცირებულია. სტროფი ეპილოგია ლექსისა „ციხის ელეგია“ და ასე იკითხება:

დრო ასეთია, ვღონდები ისევ,
დაბნელდა ჩემი ოცნების მხარე.
არყოფნის ღამევ! შენკენ მივიწევ,
არყოფნის ღამევ! შენ დამიფარე.
(რჩეული, საბჭოთა საქართველო, 1994)

აღნიშნული ლექსის შექმნის საგულისხმო ისტორიას გვთავაზობს აკაკი ანდრიაშვილი თავის მოგონებებში („ჩემი ცხოვრება მხოლოდ ლექსია“ ნაკადული, 1984). ხოლო ლექსი, ეს ჭეშმარიტი შედევრი, თავისი ონტოლოგიური არსით, არაფრით უკავშირდება სასიყვარულო თემატიკას, როგორც პირველსავე აბზაცში მოხმობილი წერილის ფრაგმენტი.

6. მოხმობილი სტროფის შემდეგ რესპოდენტი ისეთ სურათს გვიხატავს, თითქოს ამ გაცრუებული სიყვარულის შემდეგ ტერენტი გრანელის შემოქმედებაში დაწყებულიყოს „მეორე პერიოდი“, ანდა სწორედ ამ გაცრუებული სიყვარულის შედეგი ყოფილიყოს მისი მარტვილობა, გაუცხოება, განდგომა. არავითარი პირველი და მეორე პერიოდი ტერენტი გრანელის შემოქმედებაში არ არსებობს. ამგვარ კლიშეებს ნუ დავუქვემდებარებთ იმ პოეტს, რომლის აქტიური შემოქმედებითი ფაზები არ სცილდება შვიდ-რვა წელიწადს. რაც შეეხება მის გაცრუებულ სიყვარულს, ეს ერთი მწარე ეპიზოდია მის ცხოვრებაში, რასაც არაფრით შეეძლო რაიმე არსებითი ზეგავლენა მოეხდინა პოეტის იმ უღრმეს სულიერ-ფსიქოლოგიურ წყობაზე, რაც დაბადებისთანავე, როგორც საღვთო განჩინება, დაუჯერებელი ყოფიერების შემეცნების მის ეგზისტენციალურ-მისტიკურ წიაღში, რისი დასტურიც მისივე პოეტური მსოფლმხედველობა გახლავთ. ამ ფაქტორების უგულებელყოფას და მის მიჯაჭვას მხოლოდ სოციალურ, პოლიტიკურ, გნებავთ, ეროვნულ საწყისამდე, რასაც ასე თავგამოდებით ცდილობენ მავანნი, მივყავართ ტერენტი გრანელის პოეტური მსოფლმხედველობის დევალვაციამდე. ხოლო მისი პიროვნულ-ფსიქოლოგიური, ცხოვრებისეული კრიზისი უკავშირდება არა მის გაცრუებულ სიყვარულს, ანუ „მორალურ ფიასკოს“, როგორც ინტერვიუ გვამცნობს, არამედ მთელს ქვეყანაში საყოველთაო ტოტალიტარული რეჟიმის დამყარებას, რელიგიის, ყოველივე საკრალურის დევნას, სულიერ-შემოქმედებით ცხოვრების დეკადანსს. ეს გახლდათ 1928 წელი. ყოველივე ამის მიღმა დარჩენილი პოეტისთვის, როგორც სულიერ ემიგრაციაში გადახვეწილი ღვთის მაძიებელი ეული პილიგრიმისთვის, ვინც არ ინდომა მონაწილეობა მიეღო ამ ეპოქალურ დეგრადაციაში, ხორციელი კატასტროფა გარდუვალი იყო:

მხოლოდ პოეტის ჩემი და სხვათა
დარჩება ლექსი, გულით ნაწერი.
და როგორც გემი, დგას ქარიშხალთან
ეს ათას ცხრაას ოცდარვა წელი.

7. რესპოდენტი გვამცნობს: ტერენტი გრანელი „ცხოვრობდა ქუჩაში, სადაც გარდაიცვალა კიდეც“. ტერენტი გრანელი ქუჩაში არ გარდაიცვალა. ის ავადმყოფი აიყვანეს ქუჩიდან, მწვავე დიზენტერიით დაავადებული, და მოათავსეს არა მიხეილის საავადმყოფოში, როგორც ინტერვიუშია დამოწმებული, არამედ არამიანცისეულ საავადმყოფოში, სადაც რამდენიმე დღეში, 1934წლის 10 ოქტომბერს, გარდაიცვალა. სწორედ ამ საავადმყოფოს პროზექტურიდან გადაასვენეს პოეტი პეტრე-პავლეს სასაფლაოზე.

8. 1924წლის 21 დეკემბერს, “მემენტო მორის” გამოსვლის შემდეგ, ტერენტი გრანელს მართლაც გამოუცეს გაზეთი, სახელწოდებით „ტერენტი გრანელი“. რესპოდენტის მიერ ჩამოთვლილი მწერ-

ლებიდან აღნიშნულ გაზეთში მხოლოდ ვასილ ბარნოვის წერილია დაბეჭდილი, სათაურით „გრანელის პოეზიისთვის“. კონსტანტინე გამსახურდიასა და ვალერიან გაფრინდაშვილის წერილები კი უფრო ადრე, 1922 წელს, გამოქვეყნდა ჟურნალ „ილიონში“ (2, 1922) და გაზეთ „ტრიბუნაში“ (178, 1922). რაც შეეხება ზაქარია ჭიჭინაძეს, მას საერთოდ არ დაუწერია წერილი ტერენტი გრანელზე.

9. ბუნდოვანი და მიკიბულ-მოკიბულია რესპოდენტის მომდევნო მსჯელობაც. ტერენტი გრანელი მართლაც სიმპათიით იყო განწყობილი „ცისფერყანწელებისადმი“ (პირველ ხანებში მაინც), განსაკუთრებით კი ვალერიან გაფრინდაშვილისა და ტიციან ტაბიძისადმი. მაგრამ ის, რომ ტერენტი გრანელი თავისი ცხოვრების წესით ბაძავდა მათ, ანდა საერთოდ ვინმეს ბაძავდა, მტკნარი სიცრუეა. ინტერვიუს ავტორი წერს: „...პაოლოს მიაჩნდა, რომ მას (ანუ ტერენტის) არ ჰქონდა უფლება, „ცისფერყანწელებს“ მიჰკედლებოდა“. ტერენტის არც არასოდეს უცდია, სურვილიც კი არასდროს გასჩენია, ამ ორდენს მიჰკედლებოდა. როგორ ინდომებდა „მიჰკედლებოდა“ იმ ორდენს, რომლის პოეტური ესთეტიკაც მისთვის მიუღებელი იყო. ის განმარტოებით იდგა ქართული პოეზიის პარნასზე, ისევე როგორ ღვთაებრივი გალაკტიონი. ხოლო ხელდახელ ჩხუბი პაოლოსა და ტერენტის შორის, გადმოცემული აქვს თავის მოგონებებში ტერენტი გრანელის უახლოეს მეგობარს გენო ქელბაქიანს („ის მხოლოდ პოეზიით ცოცხლდებოდა“, ჟურ. „ცისკარი“ N11, 1966; 1, 1967).

10. რესპოდენტი გვაცნობს: ტერენტი გრანელი „პროლეტარი პოეტებიდან ხარიტონ ვარდოშვილთან მეგობრობდა“. ხარიტონ ვარდოშვილი არასდროს ყოფილა პროლეტარი პოეტი არც სულისკვეთებით, არც მათ გაერთიანებაში მიუღია ოდესმე რაიმე მონაწილეობა. თავისი პოეტური ბიოგრაფიითა და განწყობილებით, იგი თუ სადმე იდგა, ყველაზე ახლო „ცისფერყანწელებთან“ იდგა. პირადად ვიცნობდი, ვმეგობრობდი კიდეც. რომ გავიცანი (1967), სნეულების გამო სახლიდან ვეღარ გამოდიოდა. მის ხელნაწერ მოგონებას ტერენტი გრანელზე, ჩემდამი გამოგზავნილ წერილებსა და მოძღვნილ ლექსს წლების განმავლობაში სათუთად ვინახავდი, რომლებიც ამჟამად სალიტერატურო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში ინახება. თუ ქალბატონი პროფესორი წინამორბედ მკვლევართა ნაშრომებში ჩახედვას თაკილობს (რაც მისი, როგორც მკვლევარის, პირდაპირი ვალდებულებაა), ქართულ ენციკლოპედიაში მაინც ჩაეხედა. ამგვარ გამაოგნებელ შეცდომებს ხომ აღარ დაუშვებდა?!

11. გალაკტიონსა და ტერენტის ეს გახმაურებული დიალოგი, დამოწმებული ინტერვიუში, შედგა არა ქუჩაში, არამედ ტერენტის „ბინაში“, მთაწმინდაზე. ეპიზოდი მოთხრობილი აქვს გენო ქელბაქიანს თავის მოგონებებში. საინტერესოა, რა მიზანს ემსახურება ფაქტების ამგვარი ფალსიფიკაცია?! და საერთოდ, როდესაც ქალბატონ პროფესორს სხვათა წიგნებიდან თუ შრომებიდან რაიმე ფორმულირება, გნებავთ, რაიმე ფაქტი მოჰყავს, კეთილი ინებოს და პირველწყარო მიუთითოს.

12. ქალბატონი პროფესორი კიდევ ერთ დაუსაბუთებელ ვერსიას გვთავაზობს: „...ტერენტი გრანელი პოლიტიკაში არასოდეს ერეოდა“. რა პარადოქსიც არ უნდა იყოს, არათუ არ ერეოდა, სამწერლო ასპარეზზე გამოდის, როგორც პოლიტიკოსი. ამის დამადასტურებელია მისი პუბლიცისტური წერილები, გამოქვეყნებული 1917-1921 წლებში „სახალხო საქმეში“ (რედაქტორი სამსონ ფირცხალავა), „ახალ ნაკადში“ (რედაქტორი ალექსანდრე წერეთელი), „ტრიბუნაში“ (რედაქტორი სიმონ ხუნდაძე), სადაც პოეტი დაუფარავად აცხადებს თავის მრწამსს,თავის პოლიტიკურ-ეროვნულ შეხედულებებს. ამის დასტურად გამომცემლობა „ინტელექტმა“ 2013წელს საგანგებო წიგნიც გამოსცა ჩანაწერების სერიით: „ვდგავარ საოცრების კარებთან“, რაც ნათელს ჰფენს პოეტის იმდროინდელ მოღვაწეობას. მართალია, ამ წლების შემდეგ პოეტი თავის პოლიტიკურ შეხედულებებზე დუმდა (ისევე, როგორც თავის პირად ცხოვრებაზე), მაგრამ ეროვნულ ტკივილებს ის დროდადრო მხატვრულად ტრანსფორმირებულ სტრიქონებში აიდუმალებდა. ამგვარი სტრიქონები კი მრავლად არის გაბნეული ტერენტი გრანელის შემოქმედებაში. როდესაც 1924 წლის აჯანყება ბოლშევიკებმა სისხლში ჩაახრჩვეს, გადმოცემით, ტერენტი ხშირად უნახავთ იმ მიდამოებში, სადაც ახლა ვაკის სასაფლაოა, ხევისპირზე, ხევში ჩაყრილ დახვრეტილ თანამოძმეთ რომ იგლოვდა:

ახლა ეს ფიქრი სხვა სამარეა,
მოვიდა ქარი, ხე შეარხია.
და საქართველო ეს ის მხარეა,
სადაც ცოცხალი ხალხი მარხია.

გაზეთი „ილორი“ 10-17 იანვარი, 2017 წელი

გიო კილაძე

იდიოტის სიყვარულით ანუ მოგზაურობა „იდიოტში“ სარკის წინ და ზურგშექცევით

(ნაწყვეტები რომანიდან)



ვდგავარ სარკის წინ. და სარკეში საკუთარი სახის, თვალების, ყურებისა და ცხვირის, მოკლედ სახის ნაცვლად შენ გხედავ. ოცი წლის, ჩემზე მაღალს, ჩემზე ჭკვიანსა და ჩემსავით გამხდარს. მიყურებ ჭკვიანი, მშვიდი თვალებით და ტუჩების უხმო მოძრაობით „იდიოტში“ მოგზაურობას მთხოვ, მე რომ ვიცი, ისე.

სარკეს ზურგს ვაქცევ... ყავა იატაკზე მექცევა, მობილურის ეკრანზე ჩემს ფბ გვერდს ვხსნი და ვკრეფ: „იდიოტის სიყვარულით ანუ მოგზაურობა სარკის წინ და ზურგშექცევით“...

დასაწყისისა ჯერ არაფერი ვიცი... ფინალს ვხედავ ცხადად.... ის იდიოტი მე ვარ და ის სიყვარული ორივესი....

დილის ექვსის ნახევარია...

ამ უძილობის ძილისპირულში შენი სიზმარი გამომეპარა...

ვიწყებ და მომყევი...

* * *

06:10

კარგად კი არ მახსოვს, მაგრამ მგონი შორეულ 1867 წელს თავადი ლევ მიშკინი, შემდეგ იდიოტად შერაცხული, შვეიცარიიდან პეტერბურგში ჩავიდა. ჰო, წელი კარგად არ მახსოვს, მაგრამ დანამდვილებით ვიცი, შვეიცარიაში სამკურნალოდ იმყოფებოდა და ეს ყოფნა, რამდენიმე თვე კი არა, რამდენიმე წელი გაგრძელდა. სხვათაშორის ეს ჩვენი ლევი ძალიან ჰგავს რეზო ინანიშვილის, ჩვენ რომ ვიცით იმ ნოველის მთავარ გმირს, იმათა რომა თავადური გვარის უკანასკნელი წარმომადგენელია.

ადრე დაობლებული მომავალი თავადი ადრეულ წლებში დაავადდა, არა, ფილტვებით არა, რამდენადაც მახსოვს, ფილტვები მარცხენაც და მარჯვენაც ჯანმრთელი ჰქონდა... ეგ იყო და ჩემი არ იყოს, ნერვები ვერ ჰქონდა მთლად წესრიგში. ამ ჩვენ ლევს ერთი აპეკუნი დაუნიშნეს, პავლიშევი თუ პეტრუშევი იყო გვარად. არ იყო ეს პავლიშევ-მზრუნველი ცუდი კაცი. სწორედ რომ მისი წყალობით მოხვდა პატარა ლევი, რომელიც ვერაფრით იქცევა ლომად, შვეიცარიის სანატორიუმში... ჰო, გამახსენდა ზუსტად 4 წელი. 4 წელი, რომელიც მოგეხსენება რა ოთხი წელიცაა... 1861 წლიდან მოყოლებული დღემდე...

პეტერბურში 1867 წელს ჩასული მიშკინი 26 წლის არის და ჰგონია საქმე საქმეზე რომ მიდგეს, მთებს გადააბრუნებს. ეგ კია, აზრზე არ არის ხელები რა საქმისთვის დაიკაპიწოს... და ვიდრე საქმეს, თანაც დიდ, ანუ საზოგადოებრივს შეეჭიდება, პირად საქმეს უნდა მიხედოს. სადმე დროებით უნდა დაბინავდეს.

პეტერბურგში ჩასული თავადი გენერალ ეპანჩინს მიადგა. გენერლის ცოლი, რომლის სახელი კარგად კი არა, საერთოდ არ მახსოვს, შორეულ ნათესავად ერგებოდა თავადს. რამდენადაც უცნაური არ უნდა იყოს, გენერალსა და მის მეუღლეს, ისევე როგორც მე და ჩემს მეუღლეს, სამი ქალიშვილი ჰყავს. უფროსი – ალექსანდრა, შუათანა – ადელაიდა და უმცროსი, როგორც ზოგადად ზღაპრებშია... ულამაზესი, უჭკვიანესი, სათნო და კიდევ ათასდადებითეპითეტგამოსაყენებელი ქალიშვილი – აგლაია. სხვებისა არ ვიცი, მაგრამ გაივლის დრო და აგლაიასა და ნასტიას შორის ისეთი ბრძოლა ატყდება, დედებს შვილები დაავიწყდებათ და ქმრებს – საყვარლები და რაკი ნასტია და საყვარლები ვახსენე... ბარემ გაგაცნობ...

ქალბატონი ნასტია ფილიპოვნა, ნუ მთლად ახალგაზრდა ვერ, მაგრამ საკმაოდ თავშენახული ქალია... ტოცკი და არა ტროცკი ჰყვარობს... დავაზუსტებ... ნასტია ტოცკის, ნეტა რა ჰქვია... იმჟამიდელი ტერმინით საყვარელი, ამჟამინდელით – მეგობარი ქალია, მაგრამ ეს სრულებით არ უშლიდა ხელს როგოჟინს ანასტასია ფილიპოვნა, რუსები რო იტყვიან სტრასნად, ჩვენებურად, ვნებიანად უყვარდეს. კაი, როგოჟინზეც გეტყვი ორიოდ სიტყვას თუ არ ამაჩქარებ და დამაცლი.

პარფენ როგოჟინი აწ უკვე გარდაცვლილი, კაი ხნის გარდაცვლილი არ გეგონოს, მსხვილი ვაჭრის, ერთადერთი კანონიერი მემკვიდრეა... ვაჟიშვილია, მოკლედ. თავადმა მატარებელში გაიცნო და ანასტია ფილიპოვნას ამბავიც მისგანვე გაიგო...

მე რო ამბავს ვყვები იმ დროს პარფენ როგოჟინი 27 წლის იყო... ისე მგონი სწორედ რომ 27-ს უკაკუნებდა მიშკინიც... ეჰ, მიხაილ იურიევიჩ და ჩვენო ტატოვ...

10:46

გენერლის ცოლი გვარად მიშკინა, რო არის აქამდე არ მითქვამს და ახლა გეუბნები... არ მიყვარს ცოლები საკუთარ გვარებს რო იცვლიან და ქმრის გვარებზე გადადიან. არ ვიცი რატოა ასე, მაგრამ რო არის, ვერ დავმალე და გითხარი. გვარშეცვლისადმი ჩემი დამოკიდებულების ამბა-

ვი გითხარი და იმასაც გეტყვი, რომ სწორედ ამ ელიზავეტა თუ ლიზავეტა პეტროვნამ, შეიძლება ფიოდოროვნა ანდაც სულაც ივანოვნა ყოფილიყო, წარუდგინა ქმარს შორეული ნათესავი მიშკინი.

გენერალმა ზუსტად ისე შეხედა თავადს, როგორც ზოგადად გენერლები უყურებენ ჯარისკაცებს... ისე, ნაპოლეონთან ომი კაი ხნის მოგებულია და გენერალი და თავადი აშკარად რუსულად საუბრობენ. შეხედა, ერთი-ორი სიტყვა გადაუგდო, თავადისგანაც მოისმინა ორიოდ სიტყვა და რო იტყვიან, მაგრა არ ევასა. ნამეტანი გულუბრყვილო კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩვენი მიშკინი... მაგრამ ჯერ სად იყო ჩვენი გენერალი... მიშკინმა საკუთარ სნეულებაზე (საკუთარ სნეულებებზე მხოლოდ პოეტებმა უნდა წერონ და ისიც დიდებმა, ჰო, ისეთებმა, მათ ტკივილებს შენ ტკივილებად რომ აქცევენ... ცოტაა ასეთები... სულ რამდენიმესაც არ ვიცნობ მე...) რო დაიწყო საუბარი... აი, სწორედ მაშინ მოხდა მოსახდენი. გენერალს წნევამ აუწია და ერთი გაფიქრება კი გაიფიქრა, ამ გამოსირებულს, მეგრულიდან გამოჩიტებულს აქედან დავახვევინებო... მაგრამ... მამაჩემის არ იყოს, გაახსენდა კაცის თავი მხრებზე კისრით, ანუ ცოლით რომ არის მიბმული და მიშკინს სთხოვა, რაღაც გადასაწერი მაქვს, კალიგრაფია არ მივარგა და ეგებ, შენ გახარებას გადამიწეროო...

სამუშაოს მაძებარმა თავადმა მიშკინმა, საქმეში მთელი თავისი ცოდნა-გამოცდილება და რაც მთავარია, ნიჭი ჩააქსოვა და გადასაწერი ისე გადაწერა... მტერსაც და მოყვარესაც თვალებს რომ დაუბნელებდა თუ არა ლიბრს მაინც გადააკრავდა, სავარაუდოდ. კი მესმის, არ არის თავადების საქმე გადაწერა-გადმოწერა, მაგრამ თავს იმით ვიმშვიდებ, რომ მუშნი ზარანდიამაც ასე დაიწყო და სანამდის ავიდა, მე და შენ და ბევრმა სხვამ კარგად უწყის... დიდებული კალიგრაფია ჰქონდა დათა თუთაშხიას ბიძაშვილს თუ მამიდაშვილსა და რუსეთის იმპერიის შს მინისტრის მომავალ საიდუმლო მრჩეველს.

ასე რომ დიდი საქმეების საკეთებლად რუსეთში დაბრუნებულმა თავადმა მუშაობა დაიწყო... დაიწყო და გენერლის მდივნის ნაცნობობასაც გამოჰკრა ხელი. მდივნის სახელ-გვარი არ მახსოვს, სამაგიეროდ ერთი „კრაკადილის“ „სახელი მახსოვს კარგად და ამის გამო გენად მოვიხსენიებ. ისე განია იყო იმ მდივნის თიკუნი.

ახლა კი, დროა (დიდი სოლომონი აქ არაფერ შუაშია) განიას დროებით შევეშვათ და ვთქვათ: ზემოთ ხსენებული გენერალი და ძველი არისტოკრატი ტოცკი განიას წინააღმდეგ ინტრიგას ვერ ვიტყვი, მაგრამ აშკარად არც თუ კაი საქმეს, ხლართავენ: გადაწყვეტილი აქვთ, ნასტია ანუ ანასტასია ფილიპოვნა განიას, უკაცრავად კი ვარ შენთან მაგრამ... გენას თუ განიას შესტენონ. რათა გენერალს... გამახსენდა! გენერალი ტოცკის უფროს ქალიშვილს ურიგებს. სად გენერალი და სად სოლომონ მორბელაძის ძველისძველი პროფესია, არა?! ᲩᲔᲰᲝ, პროფესია აქ არაფერ შუაშია, ტოცკის ყელში აქვს ამოსული ფილიპოვნას ხუშტურები.... ერთი ლამაზი, ჭკვიანი... ნუ გელოვანის ტიპის ქალი სჭირდება ახლა ტოცკის და უნდა გავუგოთ... სხვათაშორის კაი მომავალი ეჭყანება წინ ფილიპოვნას – 7000 ნაღდი ფული სხვისი თავისუფლების სანაცვლოდ. დიდებულად სთქვა თავისუფლებაზე დიდმა ფრანგმა, ალბერტ კამიუმ... ესაო და ისაო: თავისუფალია ის, ვისაც შეუძლია არ მოიტყუოსო... „მე არ გატყუებ, თავისუფლება სასწორზე კვდება“ ხორავასხმით კაიუსნაირად ვიტყვი და შევისვენებ. შესვენების თავისუფლებაც, თავისუფლების განუყრელი ნაწილია მე თუ მკითხავ კაციცა და ქალიც.

12:07

რუსებს ერთი გამოთქმა აქვთ, რუსულ ჯარში ვოვა შპაკოვმა მასწავლა – ეს ტიპი იგეთია, თაფლს ნუ აჭმევ, ოღონდ ალაპარაკეო. მგონი ასე დაემართა ჩვენ მიშკინს, ქალთა დიდებულ საზოგადოებაში რო მოხვდა. თემას თემაზე ცვლიდა, საუბარი შვეიცარიიდან პეტერბურგში, პეტერბურგიდან – შვეიცარიაში, პანსიონატიდან – მატარებლის ამბებზე გადაჰქონდა, და უცებ ბრახ და არ წამოიყვირა?! რა�ა?! რა და აგლაია ისეთივე ლამაზია, როგორც ნასტია ფილიპოვნაო. რო ჰკითხეს კი, მაგრამ ქალი რომ არ გინახავს, საიდან იციო, გულწრფელად უპასუხა, გენერლის კაბინეტში პორტრეტი ვნახე და იქიდანო... ეჰ, თავადის მიერ ფილიპოვნას მოწონება ვერაფრით დაეხმარა გენას ნასტასია ფილიპოვნას გულის ჩუქებასა და ხელის გაწვდენაში. აგლია შეჰყვარებია განიას. შეჰყვარებია და უსტარიც გაუგზავნია აგლიასთვის... დაახლოებით, ისეთი ქართულ სიმღერაში რომაა... ცალ მხარეს იმედი რომა და ცალ მხარეს გასათხრელი სამარე. არ დამავიწყდეს, წერილი თავადმა მიშკინმა წაუღო განიას... არა, ის კაცი როდი იყო თავადი, სხვის წერილს რო გახსნიდა და წაიკითხავდა (ამას პარიკმახერები აკეთებენ და ისიც ცნობილ ფილმებში), თავად აგლიამ მოიგუნება და წააკითხა თავადს.

12:35

ლიზავეტა პროკოფიევნას უნდა დავუბრუნდე. ხომ გახსოვთ სამი არაჩვეულებრივი, ნუ მიზეზთა გამო, ჩვენ ასე ვთქვათ, ქალიშვილი ჰყავს. უფროსი ოცდახუთს გადასცდა. საშუალო-უმცროსის ასაკი არ მახსოვს, ის კი მახსოვს, ჯერ არც ერთი არ გათხოვილა. ქმარი ლიზავეტა პეტროვნას მეფე როდი ჰყავს, ქალიშვილებმა სამი საზამთრო და

არა კაკალი, რომ მიართვან. გათხოვების დრო დაგვიდგა და ემანდ ხელი არ შეგვიშალოო.

ეპანჩინებს სტუმრები ჰყავთ, ისე სტუმართმოყვარე ხალხია ეს ეპანჩინები; განა მხოლოდ სვამენ და სასმისებს სასმისებზე ცლიან?! ორი რამ მეზიზღება ამ ბოლო დროს: კამათი და განსხვავებული. არა, ბატონებო, ზუთხს, ხიზილალასა და არაყს რუსულ ლიბერალიზმზე საუბარს აყოლებენ. ხომ გახსოვს, გითხარი, რომანი მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების ბოლო წლებს ეხება. დიდი ცვლილებების პერიოდია ამ დროს არა მხოლოდ რუსეთში. რომელიღაც სტუმარი მიიჩნევს, რო ეს ცვლილებები ეროვნულ ხასიათს სულაც არ ატარებს. ჰგავს ხო ოცდამეერთე საუკუნის ათიანი წლების შუახანებს. სად?! აბა ეს რა საკითხავია?! სად და რუსეთში, ბელორუსშიც და კიდევ საცხასაცხა. ის სტუმარი ევგენი, ივანე, პეტრე თუ პავლე, იმასაც ამბობს, ლიბერალებს რუსეთი არ უყვართო, ჩვენში, საქართველოში რა ხდება ამ კუთხით დღეს, ნეტავი?! თანამედროვე ქართველ ლიბერალებზე რას უბნობს განათლებულ/ნაკლებად განათლებული საზოგადოება?! ლიზავეტა პეტროვნას ეს საუბარი ეტყობა ყელში ამოუვიდა და სტუმრებს შესთავაზა, გავისეირნოთო... თავადმა რაღაც კარგად ვერ ვარ, მაპატიეთ თუ რამ გაწყენინეთო და დაიძრა, აგლაია მას მიჰყვა. საზოგადოებამ თვალი გააყოლა და ზოგმა გულში, ზოგმაც ხმამაღლა ბრძანა: აი, ახლა ნახეთ თავადი აგლიას გულსა და ხელს თუ არ თხოვსო. თავადმა კიდევ... ვერაო... აგლაიამ, მაგრად გაიცინა, ნუ გადაიხარხარა, დებიც აჰყვნენ, სამხმიანი ხარხარი გამოვიდა... ასე ხარხარით გაგრძელდა სეირნობა. აგლიამ თავადი მწვანე „სკამეიკასთან“ შეაჩერა და უთხრა: დილდილობით აქ მიყვარს ჩამოჯდომაო, ჩემთვის რო გოგოს ეს გეთქვა, გავაგრძელებდი „და შენზე ფიქრიო“... სეირნობა საუბარში გადაიზარდა. მოულოდნელად თავადმა როგოჟინი შენიშნა, თავადს მოეჩვენა, რომ როგოჟინის თვალები ავისმომასწავებლად ელავდნენ. თავადი, რომ იტყვიან, შარში ეხვევა, ვიღაც ოფიცერთან კონფლიქტი მოუვა. ოფიცერი მიშკინს დუელში იწვევს. ეპანჩინები სახლში ბრუნდებიან. მიშკინს თავის დღეში ხელში იარაღი არ სჭერია. აგლაიამ იცის სამაგიეროდ სროლა. რაღაც-რაღაცეებს ასწავლის თავადს. თავადი ფიქრთა გასართველად პარკში გაისეირნებს. საღამომდე დარჩება. აგლიას წერილს მიუტანენ. აგლაია პაემანზე ეპატიჟება. რაღა უნდა ექნა თავადს? ადგა და წავიდა. აღმოჩნდა, რომ აგლაიას მწვანე „სკამეიკა“ საღამოობითაც ჰყვარებია. მოულოდნელად როგოჟინი გამოჩნდა. თავადს დაუძახა და უთხრა: წამო, ნასტასია ფილიპოვნა გეძახისო. თავადმა რა დროს ფილიპოვნაა, კაცი არ ხარ, ერთი გამაგებინე რას მერჩიო?! თავადს უეცრად გაახსენდება, დაბდღეა რომ აქვს. დღეს კი არა, ხვალ. როგოჟინს ემშვიდობება და სახლისკენ გასწევს. სახლში, საოცარი კია, მაგრამ უკვე სტუმრები ელოდება. დაუპატიჟებლად მოსულან, დაბადების დღე ვის ახსოვდა, უბრალოდ ოფიცერთან საქმე მოუგვარებიათ. ასე რომ, დუელი აღარ შედგება.

ცნობილი ქართველის არ შემდგარი დუელი რომ არ გაგახსენო, არ ეგების,

ახსენებ და ცოტა უნდა შევისვენო.

* * *

აი, წავიკითხე, ზემოთდაწერილი და დავფიქრდი, რად დავწერე რაც დავწერე, რამდენად იქნება საინტერესო (რამდენად დააინტერესებს უნდა დამეწერა, ხომ?) მომავალ მკითხველისთვის. იმაზეც დავფიქრდი, სხვას რო დაეწერა და მე წამეკითხა, თუ დამაინტერესებდა. ცალსახა პასუხი მაქვს. კი! დედას, დედებს რაც ეხება, ყველაფერი მაინტერესებს. ასეთი ვარ და არა მგონია გადასხვაფერება შევძლო. ეს გადასხვაფერება მაგარი სიტყვაა. აშკარად ნაღვლის ბუშტის ჯანმრთელობაზეა დამოკიდებული.

აგლაია ისევ და ისევ ამუნათებს თავადს, ხვალ სტუმრიანობისას იმდენს იზამ, ადგები და ჩინურ ლარნაკს გატეხო. მაგარ მოდაში იყო ჩინური ლარნაკები იმ დროს რუსეთსა და იტალიაში. იტალია რამ გამახსენა?! იმან რომა, ამას წინათ „ჭირვეულის მორჯულება“ ვნახე განმეორებით.. გახსოვს ხომ ორნელა მუტი და ადრიანო ჩელენტანო, რაც ხელში მოხვდებათ, ერთმანეთს რომ ესვრიან? თავადი კიდევ იმაზე დაფიქრდა, ერთ ლარნაკს დიდი შანსია მეორეც მოჰყვეს, მეორეს კიდევ... კიდე რაცხა-რაცხაო. ოღონდ მაგას ნუ მეტყვი და სათანადოდ ანუ მშვიდად მოვიქცევიო. – ჰპირდება თავშიავარდნილ გოგოს თავადი. მაგარი რამ არის, შეყვარებულს რომ ჰპირდები... რაც მეტს ინდომებ, მით უფრო ცუდად აკეთებ, რა ვიცი. მე ასე მემართებოდა და თუ მხოლოდ მე ვარ გამონაკლისი, კარგად ყოფილა ჩემი და ყველა შეყვარებულის საქმე. მაგარი ვინმეა თავადი, აბა რა მისი საქმეა პოლიტიკა და კათოლიციზმი?! განა ათეიზმთან კათოლიციზმის შედარება შეიძლება?! ხომ გესმით, არაფერი მაქვს ათეიზმის საწინააღმდეგო, ყველას მის გზაზე გაუმარჯოს, თუ შეძლებს, რა თქმა უნდა... ეგაა აგრესიული არც ათეიზმის ატანა მაქვს და არც თეიზმის.

არ დამავიწყდეს... ვაზას თუ ლარნაკს მართლა გატეხს თუ გატეხავს... იმ დღეს ჩვენი თავადი.

გატეხა და აი დარდი... არც სახელი გაუტეხავს და არც თავი...

დავით არახამია

არ დააყოვნებს

წიწვოვან გორებს თავს ვერ ვანებებ,
ჯიხვის ნავარდი ამშვენებს ქარაფს.
გაცლია სიქა ძველ-ძველ ზმანებებს,
აწმყოს ვერ ვაცლი მტვერსა და ტალახს.

დაძრწის ფიქრები ქარივით ჩქარი,
სანუგეშოა სხივის ციმციმი.
საშინელია და გულსაკლავი,
დაკოდილი ხის სიმწრის სიცილი.

არ დააყოვნებს ავდრის ხორხოცი,
აღულუნდება ძველი ბუხარი.
მონანიებით უბიწო ლოცვით
ჩაცხრება სული ნაქარბუქარი

შენატრის

გულს რომ კორტნის სინანულის განცდებია,
შთაგონებამ სული მკვეთრად ააკვნესა.
ცის ტატნობზე ცთომილებიც ბაცდებიან,
ელვამ ღრუბელს ფრთა მოსტეხა ასალესად.

ბელურები წვიმის თქეშზე ოცდებიან,
სურნელებამ დეკა ლამის აამღეროს.
ღვარი მდელოს მირონივით მოსცხებია,
მზეს შენატრის ნაზამთრალი საქართველო.

განავრცო ციაგი

სიცრუის მოედანს
ობი რომ ედება.
ბინდდება გონება
და აღარ თენდება.

წკვარამის წიაღში
ალიც კი ჩამქრალა.
ოცნების სიახლის
იელვა მაშხალამ.

განავრცო ციაგი
ხილულმა ფიგურამ.
განწყობამ იაზმის
დარაბა მიხურა...

მწარე სიმართლე

კეთილი საქმე იცი რა არი?
რისი შექებაც არ დამზარდება.
გასუდრულია კვლავაც ცარგვალი,
ზურგი გვაქციეს ავაზაკებმა.
ზურგი მაქცია მგონი მოყვასმაც,
ვერ ინავარდებს მწარე სიმართლე.
აღტკინებული ვნება ოხრავს და
ამ გალიგვებულ წელს ძლივს მივათრევ.

უფსკრულის პირას

შემართულია ხელი მსახვრალი,
ქარიშხლის მერე ნაცრად შთენილი.
არა რა რჩება გულს გასახარი,
ისე ვით ფერფლი ცად გაფრენილი.

გამოვექეცი ჩრდილებს საშინელს,
დამიბრუნდება თითქოს ხალისი.
ხვალინდელი დღის სუსხი მაშინებს,
რადგან იმედის ჩქამი არ ისმის.

კვლავ აციმციმდა ვნება ჩვეული
და იხარხარა ბინდში ბუნებამ.
უფსკრულის პირას თავაწეული,
შევჩერდი სულის მოსაბრუნებლად.

მისწვდა მერცხალი

უკიდეგანო ბინდია რადგან,
ცას კოსმიური ზმანება სერავს
და ცდომილების თაღოვან კართან,
ჩამოგვირისტდა დაისის კერა.

ცის კიდემ ისე აიდგა ენა,
დააფრთხო ღამე ჭექა-ქუხილმა.
გადასწვდა სივრცეს ნატყორცნი მზერა
და თვალი ლანდავს ჯერაც უხილავს.

სხივის კამარას მივანდობ სათქმელს,
თითქოს შეაშრა ვარსკვლავს კურცხალი.
გადმოიფინა სიმშვიდის ბადე,
ლაჟვარდის ტატნობს მისწვდა მერცხალი.

გააცამტვერა

ვერ გავუფრთხილდი ღვთისგან ნაბოძებს,
ვერ ვაშოშმინე, ვერა ეს გული.
ვინ უსაყდრისა სრულად ამ სოფელს,
ვინ ითავისა აზრთა კრებული.

მიუღწევლობის მძლავრი წყურვილი,
კვლავ მაახლოებს ცას მოკამკამეს.
რადგან გახშირდა ნატვრა ქუხილის,
მყოფადს ვავედრებ განუცდელ წამებს.

თუ გავიყუჩე მწველი იარა,
არ ავცრემლდები მიმწუხრის ბინდში.
ზეშთაგონებამ შემძრა კი არა –
გააცამტვერა სიკვდილის შიში.

ვერ ვითავისე

ფიქრი ტალღებად მეხლება გულზე,
ხეობის მიღმა შხუის ჩანჩქერი.
ვესათუთები სანატრელ წუთებს,
უკიდეგანო სივრცეს გავცქერი.

ამ ქვეყანაზე მოვსულვარ სტუმრად,
არ ვარ მორჩილი,არც მედიდური.
ვერ ვუჩუქურთმებ გასაღებს ურვას,
ვერ ვითავისე ცხოვრება მგლური.

სადაც მყოფადი

ხავსს გადაბელავს ნაგვემი ჟამი,
გამობრწყინდება ქარაფზე ციხე.
ვარსკვლავთა ციმციმს მოვკარი თვალი,
ბინდი გასცვივდა არხილულ სივრცეს.

ჟამთასვლის სხივი მიქარვებს ვარამს,
შორს გამიფრინდა არსის მერცხალი.
კრძალვით შევახე თითები კალამს,
როს გაცისკროვნდა სივრცე ფერმკრთალი.

აღელდა გული, დუმილი მიწვა,
წარსული ფურცლა გონებამ წყნარად.
ვაზისჯვრით ხელში ნაკურთხი მიწა,
წინაპართ ჩონჩხებს ინახავს მყარად.

ფიქრების გუბე ჩამიდგა თვალში,
სათნო ღიმილით შევყურებ ქედებს.
დღემდე აბრწყინებს ელვარე ქვაში,
ღვთიური მადლი სამთავროს სვეტებს.

რადგან ეცვალათ გუმბათებს ფერი,
სულხარბად ვყნოსავ სიძველის სურნელს.
მარადისობის სხივების ჯერი,
მოურთხამს მუხლებს გარდასულ სულებს.

მძაფრდება ქშინვა მდუმარე ქვათა,
სადაც მყოფადი ჩირაღდნად ენთო.
სვეტიცხოველის სვეტმაღალ კართან,
ყრუდ ახმიანებს წარსული ექოს.

არმაზის თაღის მიმქრალა ფარდა,
სულის ძარღვს კურნავს ტალღების ჩქერა.
გადმოგვაფარებს მწყალობელ კალთას,
კვლავ მცხეთის ჯვარის ამაყი მზერა.

ანაზდეულად

ყივჩაღი საწყის ბრძოლის ველს ზვერავს,
საჭირბოროტოდ შემართავს ფრანგულს;
გაცვეთილ ჭირის მოლოდინს ძერწავს,
ანაზდეულად მიქეზებს ამ გულს.

გამოაჭენა იჩქითად ცხენი,
სრულად მიუძღვნა საწუთროს თავი;
მოითარეშა ყაბარდოს ველი,
მიმოაპკურა სისხლი ვით ცვარი.

ქვეცნობიერი თუ მომგვრის შვებას,
მხედარს მივართმევ ღვინოს ფიალით.
ნაკენწლი ურვა წარბებს რომ შეკრავს,
შეტრიალდება ჟამი ტიალი.

ვენდე შეცნობის ხიბლის ხატებას,
სანუგეშოა გონი მახვილი.
სახავს უხილავ კვანძის გავლებას,
ათასწლეულის გადმოძახილი.

მარსიანი

ზვიადი და მამარდაშვილი



გასული საუკუნის მიწურულის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი, გახმაურებული ისტორია გახლავთ რუსეთიდან საქართველოში დაბრუნებული ფილოსოფოსის, მერაბ მამარდაშვილის დაპირისპირება ეროვნული მოძრაობის ლიდერთან ზვიად გამსახურდიასთან და არსებითად, თვით ეროვნულ მოძრაობასთანაც. ქართული ინტელიგენციის წრეებში ყველას ახსოვს მამარდაშვილის რამდენიმე განაცხადი, რომელთაც აქვე მოვიტან: 1. „მე ქართველობა ვერ შევძელი"; 2. „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას"; 3. „თუ ქართველი ხალხი ზვიად გამსახურდიას გზას გაჰყვება, მე მომიხდება ჩემი ერის წინააღმდეგ წასვლა" (აქვე მახსენდება მამარდაშვილის ერთი ფილოსოფიური გამოთქმა თუ ტერმინი „გაგებაში ჩავარდნა", რომელიც შეიძლება გამოგვადგეს მის ზემოთ ჩამოთვლილ განაცხადთა შესახებ მსჯელობისას.).

ბუნებრივია, ცნობილი პიროვნებისგან ამგვარი კადნიერი პოზიციის გამჟღავნებას მწვავე რეაქცია მოჰყვა საზოგადოების გარკვეულ წრეებში. მე არ ვიცი თვით ზვიად გამსახურდიამ გამოხატა თუ არა (წერილობით ან ზეპირად) თავისი დამოკიდებულება ამ ყველაფრისადმი, მაგრამ ის კი ვიცი, რომ მისმა მომხრეებმა ერთობ აქტიური კონტრშეტევით უპასუხეს „მომხდურს" და მათი მთავარი ბრალდება მამარდაშვილის მიმართ, რასაკვირველია, მისი პოზიციის არაეროვნულობას თუ სულაც ანტიეროვნულობას გულისხმობდა. გურამ პეტრიაშვილმა პრესის ფურცლებიდან სარკასტული გაკვეთილი ჩაუტარა მამარდაშვილს ქართულ ენაში (როგორც ქართულდავიწყებულსა და გარუსებულს), დაწყებითი მოსწავლის მერხზე დასვა და სულ „აი, ია", „აი, თითი" და მისთანები „ასწავა". ამის გამო მამარდაშვილის მომხრე ინტელექტუალებმა პეტრიაშვილს „პროვინციალობა" და „აზროვნების სივიწროვე" უკიჟინეს. მამარდაშვილის „უღრმესი ნააზრევით" მოხიბლული ინტელექტუალები, რომლებიც, ზემოთ უკვე ნახსენები მამარდაშვილისეული ტერმინი რომ მოვიშველიოთ, „გაგებაში ჩავარდნილნი" იყვნენ, პეტრიაშვილის „ულტრანაციონალისტურ დისკურსს" ვით შეიწყნარებდნენ! ისინი ჩრდილოეთიდან აღმოხდენილ ფილოსოფიის მზეს ორთოდოქსული თავდადებით ეთაყვანებოდნენ (ჩვენთვის ხომ მზე უკვე კარგახანია ჩრდილოეთიდან ამოდიოდა) და „ჭეშმარიტებასთან" ასე საგანგებოდ დაპირისპირებულ სამშობლოს თითს უქნევდნენ, თუმცა ეს „ჭეშმარიტება" კონკრეტულად რას წარმოადგენდა და რით უპირისპირდებოდა მას ჩვენი საწყალი სამშობლო, დღემდე ვერაფრით დადგინდა. ქართული ეროვნული მოძრაობა რუსეთის იმპერიისგან გამოყოფას მოითხოვდა, სამშობლოს განთავისუფლებას მიელტვოდა და არ ვიცი, ამ კონტექსტში „სამშობლოზე მაღლა მდგომი ჭეშმარიტება" რას გულისხმობდა – „უფროს ძმასთან" ჩახუტებულობას, „ურღვევ ძმურ კავშირს" და მისთანებს ხომ არა?

მე, მრავალთაგან განსხვავებით, იმის მტკიცებას არ მოვყვები, რომ მერაბ მამარდაშვილი იმპერიის მესვეურთაგან რაღაც საგანგებო დავალებით აღჭურვილი დაუბრუნდა „თავის ისტორიულ სამშობლოს", რომლის შვილობაც, თავისივე განაცხადის თანახმად, ვერ შეძლო. რაც არ ვიცი, არ ვიცი. მაგრამ კითხვა მებადება: რისთვის ჩაერია ფილოსოფოსი იმ პროცესში, სადაც წესით არაფერი ესაქმებოდა? რა წილი ჰქონდა მას, ქართველობისაგან გაუცხოებულ კაცს, ქართველთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში?

ფილოსოფოსებისათვის საკმაოდ ხშირ შემთხვევაში დამახასიათებელია ხალხისათვის მწვავედ აქტუალურ პრობლემებთან ერთგვარად ირონიულ- ამპარტავნული, სულაც ცინიკური დამოკიდებულება. ფილოსოფოსი შინაგანად კმაყოფილებას, ტკბობას განიცდის საზოგადოებაზე თავისი ინტელექტუალური აღმატებულობით და რაღაც სახალხო იდეით გულანთებული ადამიანები მის თვალში არცთუ იშვიათად ღიმილისმომგვრელნი ჩანან. ფილოსოფოსს თავისი განსწავლულ-სპეკულატურად მოქმედი გონება უჩნს უმაღლეს ღვთაებად და ამ გონების „შუქზე" რა ისეთ ღირებულებას უნდა წარმოადგენდეს იმგვარი „ვიწრო მასშტაბის" პრობლემები, როგორიცაა თვითმყობადი ეროვნული კულტურა, ეროვნული დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა („ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს") და მისთანები?

მამარდაშვილმა ქართველობა ვერ შეძლო, მაგრამ სათანადო „გაგებაში ჩავარდნილმა" მშვენივრად შეძლო და მოირგო რუსობა, რაც ცხადია, მისი გაქანების პიროვნებას უფრო ფართო ასპარეზს უქმნიდა. სტალინის ელვარე მაგალითი წინ არ ჰქონდა? მით უფრო ძნელი ასახსნელია

პირადად ჩემთვის, რატომ დაბრუნდა საქვეყნოდ აღიარებული ფილოსოფოსი საქართველოში, ნოსტალგია შეეყარა თუ რა იყო? არ ვიცნობ მის ბიოგრაფიას და ალბათ ამგვარი კითხვა ამიტომ მებადება. იქნებ იმათთვის, ვინც კარგად არის ჩახედული მამარდაშვილის ცხოვრებასა და შემოქმედებაში, ყველაფერი გასაგები და ლოგიკურად ახსნადია, რა ვიცი...

ერთი ასეთი ვარაუდი მიჩნდება: იქნებ ზვიად გამსახურდიას სულ უფრო და უფრო მზარდმა სახელმა თავისებური იმპულსი მისცა ფილოსოფოსს, რომ ამ ეროვნული თავისუფლების იდეით ფანატიკურად შეპყრობილ კაცს, რომელმაც მისგან განსხვავებით, „ქართველობა შეძლო“, თავისი „უფრო მასშტაბური თვალსაწიერიდან“ დაპირისპირებოდა? საიმდროოდ ზვიადი უკვე მთელ მსოფლიოში ყველაზე ცნობილ ქართველთა რიცხვს მიეკუთვნა და წარმოშობით ქართველ მამარდაშვილს იქნებ ამ ნიშნით (ეროვნებას ვგულისხმობ) მისდამი მეტოქეობის განცდა გაუჩნდა? რა თქმა უნდა, ამ თითზე ჩამოსათვლელ ქართველთა რიცხვს ეკუთვნოდა იმპერიის მასშტაბით აღზევებული ედუარდ შევარდნაძეც, მაგრამ ვფიქრობ, მამარდაშვილს მასთან ჯიბრის გრძნობა ნაკლებად ექნებოდა თავისი სრული ინტელექტუალური უპირატესობის გამო. თანაც შევარდნაძე იმპერიის მაღალი რანგის ჩინოსანი იყო მხოლოდდამხოლოდ და მამარდაშვილისათვის უცხო ეროვნული თავისუფლების იდეას არათუ მხარს უჭერდა და ერთგულობდა, არამედ აქტიურად ებრძოდა თავისი მოღვაწეობის ნებისმიერ პერიოდში.

ზვიადი კი სულ სხვა იყო: მან შეძლო ის, რაც მანამდე ვერავინ მოახერხა – მსოფლიოს ამცნო მანამდე უჩინარი საქართველოს არსებობა, საქართველოსი, რომელიც რაღაც განაპირა მხარე კი არ ყოფილა რუსეთისა, არამედ სულ სხვა, რუსეთზე ბევრად უფრო ძველი ისტორიისა და კულტურის მქონე ქვეყანა...

ის, რაც მამარდაშვილმა თავის დროზე უარყო, აგერ, სამზეოზე გამოსვლას ლამობდა და რაღაც განსაკუთრებულ პრეტენზიებსაც კი ამჟღავნებდა: ზვიადის ნაშრომი „საქართველოს სულიერი მისსია“ მთელ რიგ უჩვეულო, ლამის „შოკისმომგვრელ“ ცნობებსა თუ დასკვნებს გვთავაზობდა და არაერთი თითქოსდა საბოლოოდ დადგენილი, ტრადიციული თვალსაზრისისა თუ შეხედულების ამოყირავებას ლამობდა. თანაც ეს იყო მეცნიერული გამოკვლევა, მნიშვნელოვანწილად დიდ ევროპელ მეცნიერთა კვლევებზე დაფუძნებული ანალიზის შედეგად შემუშავებულ დასკვნათა და თვალსაზრისთა მწყობრი სისტემა და არა რაღაც სუბიექტური გამომგონებლობა-მეზღაპრეობა, როგორსაც საქართველოში, რამდენიც გნებავთ, იმდენს ნახავდით: „ეზოთერიკოსები“, „წინასწარმეტყველნი“, „აბსოლუტური ჭეშმარიტების მფლობელნი“ და მისთანანი ნამდვილად არ გვკლებია იმ პერიოდში, როცა ზვიად გამსახურდია მეცნიერული კეთილსინდისიერებით აყალიბებდა თავის შეხედულებებს. ჩვენს ინტელექტულთა მოზრდილ ნაწილს ეროვნული არასრულფასოვნების მძიმე კომპლექსი სჭირს, იმის შიში აქვთ, ქართული ამბიციები თუ პრეტენზიები პროვინციალობად არ ჩაგვეთვალოსო და უმალ ყოველივე ქართულის დაკნინება-გაბიაბრუებას ამჯობინებენ, ვიდრე აღიარება-განდიდებას. ამის გამოა, რომ ისინი „საქართველოს სულიერ მისსიასაც“ იმგვარსავე კლასიფიკაციას აძლევდნენ, როგორსაც ზემოთნახსენებ „ეზოთერიკოსთა“, კვაზიმეცნიერულად მოაზროვნეთა, მეზღაპრეთა დილეტანტურ ნაღვაწს. ეს „ნაბანი წყლისთვის ბავშვის გადაყოლების“ კლასიკური მაგალითი გახლდათ.

და აი, ფილოსოფოსი მამარდაშვილი თავისი ცხოვრებისა და შემოქმედების ბოლო პერიოდში უცნაური გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ალბათ არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ის თავისებური ინტელექტუალური „ნებიერა“ იყო რუსული კულტურისა, ევროპაში ცნობილი, აღიარებულ-დაფასებული, „ახალი დროის სოკრატედ“ წოდებულიც კი... და ამ დროს მისი პატარა სამშობლოს წიაღში გამოჩნდა კაცი, რომელიც მსოფლიოში ცნობილი გახდა ისე, რომ არც რუსულ პოლიტიკაში (სტალინივით) და არც რუსულ კულტურაში (მამარდაშვილივით) არ უძებნია სათავისო ასპარეზი: ზვიად გამსახურდიას არ „ევიწროებოდა“ თავისი სამშობლო, ან, თუ „ევიწროებოდა“, მისგან განდგომას კი არა, მის სულიერ გაზრდა-გაფართოებას ლამობდა იმ დონემდე, რომ „საასპარეზოდ კმა ყოფილიყო“. იმის ცხადყოფას ესწრაფვოდა, კაცობრიობის ცოცხალ ორგანიზმში რა როლი და ფუნქცია ჰქონდა განკუთვნილი ქართველ ერს. ეს კი, ვფიქრობ, ღირსეული მცდელობაა, თუ, რა თქმა უნდა, ამით სხვათა დამცრობასა და სხვათა კულტურულ-ისტორიული ფასეულობების მითვისებას კი არ ვისახავთ მიზნად (როგორც ზოგი „მოძმე“ ერის წარმომადგენელი იქცევა ჩვენს მიმართ), არამედ იმის განსაზღვრას ვესწრაფვით, რაც მართლა, ისტორიული თუ სხვა კანონზომიერების მიხედვით არის ჩვენი წილხვედრი.

ჰოდა, თუკი შევძლებთ და დროებით მამარდაშვილის ადგილას წარმოვიდგენთ თავს, რაგვარი რეალობის წინაშე აღმოვჩნდებით? ამ ჩვენგან უარყოფილ, „უმნიშვნელო“ სამშობლოს თურმე ამოდენა პრეტენზიები ჰქონია და ამ პრეტენზიებს მხოლოდ ქართველ ნაციონალისტთა ჰიპერტროფული წარმოდგენები კი არ კვებავენ, არამედ უდიდეს ევროპელ ფილოსოფოსთა თუ მეცნიერთა (ჰეგელი, ჰუმბოლდტი), გამონათქვამები, შეხედულებები და კვლევებიც კი უმაგრებენ ზურგს... რა გამოდის?

თუ ყოველივე ეს ჭეშმარიტებაა, მაშინ ის გამოდის, რომ ჩვენ ამ ჭეშმარიტებისთვის შეგვიქცევია ზურგი თავის დროზე (რაკი „ქართველობა ვერ შევძელით“) და, მიუხედავად ჩვენი ესოდენი აღზევებულობისა მსოფლიო ინტელექტუალურ სივრცეში, მაინც რაღაც უფრო მაღალს, უფრო არსებითს ჩვენივე ნებით მოვწყვეტილვართ...

ასეთი მაღალი მგრძნობელობა შესაძლოა ყველას არ ჰქონდეს თვით უნიჭიერეს და უგანათლებულეს ინტელექტუალთა შორისაც კი, მაგრამ, როგორც ჩანს, ჰქონდა მამარდაშვილს, რომელსაც ზოგნი რუს ფილოსოფოსთა შორის ყველაზე დიდ ფიგურად მიიჩნევენ...

ისიც უნდა დავაზუსტოთ, რომ ეს მგრძნობელობა მხოლოდ ქვეცნობიერის დონეზე თუ იჩენდა თავს; ცნობიერად მამარდაშვილი როგორ დაუშვებდა, ჭეშმარიტებად მიეჩნია თავისი „პროვინციული“ სამშობლოს სახელით ამეტყველებული „ფიურერის“ ნააზრევი... რაკი ეს სიტყვა, „ფიურერი“ ვახსენეთ, ისიც აქვე აღვნიშნოთ, რომ ზვიად გამსახურდიას „ფიურერისა“ და „დიქტატორის“ იარლიყი ჯერ კიდევ ხელისუფლებაში მოსვლამდე მიაკერეს მისმა ოპონენტებმა. ამ საშუალო დონის მოაზროვნეთა ჭკუით მსგავსი იარლიყები დიდად „მომაკვდინებელი“, მადისკრედიტირებელი საშუალება უნდა ყოფილიყო ზვიად გამსახურდიას სახელისათვის; მამარდაშვილი კი, ჩანს, მშვენივრად ხედავდა, რომ ზვიადის ავტორიტეტის ზრდას არათუ აფერხებდა, არამედ ერთგვარად ხელსაც კი უწყობდა „ფიურერულ-დიქტატორული“ იმიჯი, რადგან ხალხს, მასას წინამძღოლი (იგივე ფიურერი) სჭირდება სწორედ, მოთხოვნილება აქვს, ამ წინამძღოლის ავტორიტეტს დაემორჩილოს.

მამარდაშვილის ფსიქიკაში მოხდა ერთგვარი იდენტიფიკაცია ზვიადისა საქართველოსთან. და რაკი ჭეშმარიტებად ვერ მიიჩნევდა ამ „ქართულ-ზვიადურ დისკურსს“, ამდენად ჭეშმარიტებასთან დაპირისპირებულადაც უნდა შეერაცხა იგი. და აქედან იშვა ფორმულა – „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას“. უფრო სწორად, მამარდაშვილი არ ყოფილა მისი პირველავტორი, მგონი ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში თქმულა ეს სიტყვები, მაგრამ „გაგებაში ჩავარდნილი“ მამარდაშვილის ცნობიერებაში მისთვის საჭირო ჟამს ამოტივტივდა ისინი.

დიახ, მისთვის საჭირო და არა საქართველოსთვის საჭირო ჟამს!

აი, ჰიტლერული რეჟიმის დროს, როცა გერმანელები „დოიჩლანდ, დოიჩლანდ იუბერ ალლეს“ ომახიანი სიმღერითა და იარაღის ჟღარუნით მთელი მსოფლიოს წამოჩოქებას ეპირებოდნენ, უპრიანი იქნებოდა, ამ წერასატანილი ერისთვის ვინმეს შეეძახა, „ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგასო!“ ეს მაღალი ჰუმანიზმისა და ქრისტიანული მორალის გამოვლინება იქნებოდა.

ხოლო ორასწლიანი მონობისაგან დაბეჩავებულ-დაჩოქილი ქართველი ერისთვის, როცა ერმა მის ბედზე მზრუნველ მამულიშვილთა, განსაკუთრებით ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ძალისხმევით როგორც იქნა გამოიღვიძა და მონობის უღლის გადაგდება მოინდომა, ამგვარი შეძახილი ცივი წყლის გადასხმად, ხალხის დეზორიენტაციის მცდელობად, დემაგოგიად აღიქმებოდა. არ იყო ეს კეთილსინდისიერი საქციელი!

იმის თქმა როდი მინდა, რომ მამარდაშვილი საქართველოსთვის ავისმოსურნეობის გამო მოიქცა ასე. მაგრამ ადამიანის ფსიქიკაში არსებობს თავისმოტყუების მექანიზმი, რომელიც „ოსტატურად“ ნიღბავს უკეთურ იმპულსებსა და პერვერსიებს; ადამიანს ეჩვენება, რომ სავსებით მართებულად და კეთილსინდისიერად იქცევა, სუბიექტურად ის მართალია, მაგრამ ობიექტური თვალთახედვით მისი ქცევა ვერც მართებულად მიიჩნევა და ვერც კეთილისინდისიერად. და მან ძალიანაც არ უნდა გაიკვირვოს, თუ ისეთ რამესაც მიაწერენ, რაც იქნებ არც კი შეეფერებოდეს სიმართლეს: თუ ვინმემ მამარდაშვილს კრემლის აგენტობაში ბრალი დასდო და რუსთა მიერ საგანგებოდ მოგზავნილად ჩათვალა, ეს თავისი ქცევის ლოგიკურ შედეგად უნდა მიეღო: რაც დათესა, ის მოიმკა; ნუ ჩაერეოდა იქ, სადაც მისი ადგილი არ იყო და არავინ არაფერს დასწამებდა!

მამარდაშვილს საქართველოში საპატიო ტრიბუნაც ერგო და თავისი აუდიტორიაც ჰყავდა. მას უსმენდნენ ინტელექტუალები, უსმენდა სტუდენტობა. ფილოსოფოსისთვის ამგვარი ასპარეზი ალბათ საკმარისი უნდა ყოფილიყო, მითუმეტეს, მამარდაშვილი, როგორც „სოკრატული“ ტიპის ფილოსოფოსი, დიდ ზეგავლენას ახდენდა მსმენელებზე უშუალო, ცოცხალი სიტყვით. მას პატივს სცემდნენ და აღიარებდნენ, უფრო მეტიც, ქართული ინტელიგენციის ერთ ნაწილში მამარდაშვილის ერთგვარი კულტიც კი შეიქმნა. და ეს ინტელექტუალური იდილია ალბათ არც დაირღვეოდა, ფილოსოფოსს რომ პოლიტიკური არენისკენ მზერა არ გაქცეოდა და თავისი გავლენის გაფართოება ამ ახალ ასპარეზზე დამკვიდრებითაც არ მოენდომებინა.

მაინც რატომ მოინდომა ეს?!

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ჩანს, ზვიად გამსახურდიას პიროვნების მასშტაბი მან უფრო ნათლად, უფრო ღრმად შეიგრძნო, ვიდრე ზვიადთან დაპირისპირებულმა ე. წ. „ინტელექტუალურმა ელიტამ“. მათ გულმშვიდად შეეძლოთ ექილიკებინათ ზვიადი , როგორც „დემოკრატიულ ცნობიერებას ვერნაზიარები „ავტორიტარი“ და „ფიურერი“, შეეძლოთ თავიანთი „დემოკრატიზმით“, „ტოლერანტობით“, „მოქალაქეობრივი შეგნებით“

და მისთანებით ედიდგულათ ამ „მითოსურად მოაზროვნე“ ნაციონალისტთან, მამარდაშვილს კი, ვფიქრობ, სწორედ მისმა „ფიურერულმა რესურსმა“, ანუ ხალხის მასებზე ლამის ჰიპნოზური ზემოქმედების შემძლეობამ დააკარგვინა მოსვენება. ცხადია, ზვიადი რომ მართლა ტიპიური ფიურერი, ბელადი ყოფილიყო და მეტი არაფერი, მაშინ თვით ჰიტლერისა და სტალინი ვერ გახდიდა მას მამარდაშვილისთვის ეგზომ „საშიშად“, რადგან ასეთ შემთხვევაში საკუთარი ინტელექტუალური უპირატესობის განცდა ექნებოდა მყარ საყრდენად, მაგრამ ზვიადი ხომ უაღრესად ფართო ერუდიციით აღჭურვილი კულტურტრეგერი, მეცნიერი, მწერალი იყო, რომელიც საკუთარი ინტელექტუალური რესურსის გამოყენებას ელიტარული აუდიტორიის წინაშე მამარდაშვილზე არანაკლები წარმატებით ახერხებდა. მამარდაშვილს სწორედ ის თავისი მთავარი საყრდენი – ინტელექტუალური უპირატესობის განცდა – შეურყია ზვიადის ფენომენმა: ფილოსოფოსმა შინაგანად დაინახა, იგრძნო, რომ ამ კაცზე უპირატესობის მოსაპოვებელი რესურსი არ გააჩნდა! ზვიადში გაერთიანებული აღმოჩნდა დიდი ინტელექტუალი და „ფიურერი“, ანუ ზვიადს „ორმაგი მეუფება“ ჰქონდა – ერთი მხრივ, ვიწრო ელიტარულ აუდიტორიაზე, მეორე მხრივ კი – მასობრივ, სახალხო მიტინგებზე. მამარდაშვილი მხოლოდ ელიტაზე ბატონობდა, ხალხის მასებზე მას ხელი არ მიუწვდებოდა... იმ გრძნობას, რასაც მამარდაშვილი ზვიადის მიმართ განიცდიდა, ალბათ შური უნდა ეწოდოს, თუ ზემოთქმულს გავითვალისწინებთ და კარგად გავისიგრძეგანებთ. თუ მამარდაშვილის თაყვანისმცემლები მაინც გაჯიუტდებიან – რა სჭირდა მსოფლიო სახელის მქონე ფილოსოფოსს ზვიადის შესაშურიო, ჩვენც დაჟინებით გავიმეორებთ: მამარდაშვილმა თქვენზე უფრო ღრმად და ნათლად შეიგრძნო, ზვიადის სახით რამოდენა მასშტაბის ფენომენთან, რა სტიქიურ ძალასთან ჰქონდა საქმე და სწორედ ამან დააკარგვინა წონასწორობა: მისი განაცხადი: „თუ ქართველი ხალხი ზვიად გამსახურდიას გზას გაჰყვება, მე მომიხდება ჩემი ერის წინააღმდეგ წასვლა“ – აშკარად ტოვებს არაადეკვატურობის შთაბეჭდილებას. ჯერ ერთი, თუკი „ქართველობა ვერ შეძლო“, ახლა რატომღა გახდა მისთვის ქართველობა „ჩემი ერი“ და მეორეც, ერთი კაცის გამო მთელ ერთან დაპირისპირება საკუთარ თავზე მეტისმეტის აღებას ხომ არ ნიშნავდა? თომას მანი სისხლხორცეულად გერმანელ ერს, გერმანულ კულტურას ეკუთვნოდა და ჰიტლერულ გერმანიასთან დაპირისპირებულსა და ემიგრაციაში მყოფს შეეძლო ეთქვა, „სადაც მე ვარ, გერმანული კულტურა იქ არისო“, მამარდაშვილს კი, რომელმაც თავისივე არჩევანით ქართული კულტურის შთანთქმის მოსურნე რუსულ კულტურას მიკუთვნა თავი, უფლება არ ჰქონდა ასე დიდგულად და არაკეთილსინდისიერად დაპირისპირებოდა ქართველ ერს. შეიძლება იგი მართლა დიდი ფილოსოფოსი იყო, მაგრამ „ფილოსოფოსი“ ჯერ კიდევ არ უდრის ბრძენს, ის მხოლოდ „სიბრძნის მოყვარულს“ ნიშნავს. საერთოდაც, მსგავსი ამპარტავნება, მის განაცხადში რომ გამოსჭვივის, თანამდევი სულია სეკულარული აზროვნებისა და, სამწუხაროდ, ვერც მერაბ მამარდაშვილმა აარიდა მას თავი. ჭეშმარიტი ბრძენი ასე ნამდვილად არ მოიქცეოდა.

10-20.5. 2015.

გიგი ხორნაული

თითი სასხლეტთან

თრუსოს ხეობის სულ ბოლო სოფლის მთებში ნადირობისას ჩვენმა ოქროყანელმა მასპინძელმა ფიდო ფილიევმა მითხრა: გვიან შემოდგომაზე, როცა მთელი სოფლები ვლადიკავკასში გაიკრიფება, ჯიხვები ამ ჭალებში ჩამოდიან ნამარილევებზე და მათი დახოცვა ძალიან იოლია, ჩემთან ამოდი და მე კარგად განადირებო.

სოფელთან საქონელივით მოარულ ჯიხვებს არც ვესროდი და ვიცოდი, მთლად ასეც არ იქნებოდა, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ მთებიდან ცხვრის წასვლისა და მთების ჩამობეგვრის შემდეგ ნადირი დაბლა იწევს. ბევრჯელ მიფიქრია წამეღო საძილე, ჯიხვების საძოვართან ჩავწოლილიყავი და ვწოლილიყავი მანამ, სანამ ჯიხვები „ზედ არ გადამაბიჯებდნენ“. ვერ მოვახერხე, ჯერ იმიტომ, რომ უღელტეხილები შეკრულია ან შეგეკვრება, მეორეც, ჯიხვი ამ დროს დარეულია და საშინელი ზინზლის სუნი აქვს და მესამეც, მე და ჩემ მეგობრებს საჯიხვე დროს – სექტემბერში უკვე მომთავრებული გვქონდა შედეგიანი ნადირობები და კიდევ სანადიროდ „გაძრომა“ ღორობა იქნებოდა.

თსუ-ს ეთნოგრაფიის კათედრაზე მუშაობდა სოსო კვიციანი, ჩემი სტუტქალაქისდროინდელი ძმაკაცი. იმათი კათედრაც პირველ კორპუსში იყო, მეორე სართულზე, მე მესამეზე ვიყავი, ახალი ქართული ენის კათედრაზე – ტოპონიმიკის ლაბორატორიაში. თითქმის ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს და ჩვენი ერთადერთი სასაუბრო თემა იყო ნადირობა, რადგან ის ჩემზე არანაკლებ თავგადაკლული მონადირე იყო. (ღმერთმა დიდხანს ამყოფოს, მაგრამ ამჟამად ისიც ჩემსავით თოფდადებული მონადირეა). ვიწყებდით საუბარს სიახლეებზე ნადირობის კუთხით, ვაწყობდით გეგმებს ჯიხვებზე, იხვებზე, დათვებზე, ღორებზე, კაკაბზე, საიდანაც ცოტას თუ შეესხმოდა ხორცი და რასაც შეესხმებოდა, იმას თუ მოჰყვებოდა ხორცი.

ჰოდა, ჩემი და სოსოს ერთ-ერთი ასეთი შეხვედრა-საუბარი შედგა რუსისგან ნაჩხიბავ, ჩვენი, ოსებისა და აფხაზების არევ-დარევის ჟამს, მგონი, სულაც 1990 წელი იყო, გვიანი შემოდგომა. ჯერ მთლად მოშლილი არ იყო სახელმწიფო, მანქანაში ბენზინის ჩასხმა და მგზავრობა შეიძლებოდა. ნადირობაზეც შეიძლებოდა ფიქრი, თუმცა, იმ შემოდგომაზე რატომღაც ვერ მოვიცალე. ეს შევჩივლე სოსოს. იმანაც ასე შემომჩივლა და მაშინ გამახსენდა და მაშინ ვუამბე თრუსოს ხეობაზე, იქ გვიანი შემოდგომის ნადირობის ვარიანტზე. მეგონა მეტყოდა – ახლა იქ წასვლა როგორ შეიძლებაო, მთაც შეიძლება ჩაგვეკეტოსო ან სულაც, ამ შიშებს დამალავდა და გადაუდებელ საქმეს მოიმიზეზებდა სხვადასხვებივით. ის კი უცებ ძალზე მშვიდად მეუბნება:

– შე კაცო, რად უნდა მაგას ნატვრა და ოცნება. აგერ ჩემი „ნივა„ დავსხდეთ და წავიდეთ თუ გინდა ამ შაბათსვე!

– წავიდეთ! – შევაგებე მეც გახარებულმა უფრო იმით, რომ სოსო ასეთი იმედიანი მეგობარი და ნამდვილი მონადირე იყო.

სოსოს ნებართვით იმავე საღამოს დავურეკე ჩემ საჯიხვეების ნამგალას, ნამდვილ კლდის ვეფხვს და ხელმოუცარავ მონადირეს ჯუთელ ზაქრო არაბულს. ისიც მუდამ მზადმყოფი იყო ნადირობისთვის.

მოკლედ, შაბათ დილით ადრე გავედით. ჯვრის უღელტეხილზე ასულებმა დავინახეთ, რომ პირიქითაც საჯიხვისათვის ნანატრი კრიალა ამინდი იყო, ღრუბლის ნასახიც კი არსად ჩანდა. ახლა ერთიღა გვრჩებოდა სანატრელი, ფიდო დაგვხვედროდა შინ. ოქროყანაში მისულებმა გავიხარეთ, როცა გავიგეთ ფიდო შინ არისო. ისაც მხიარულად შემოგვეგება, შინაც მიგვიპატიჟა, მაგრამ ცივი წყალივით ჩაგვაქრო მისმა უარმა გამოყოლაზე – ისეთი საქმე მაქვს, არაფრით არ შემიძლიანო. შეიძლება მართლაც გადაუდებელი საქმე ჰქონდა, შეიძლება თავს იკავებდა ოს-ქართველთა შორის დაძაბული ვითარების გამო, მაგრამ ფიდოს ვერ გავამტყუვნებდი, ვერც ეჭვს შევიტანდი მის გულწრფელობაში. მან ოთხ-ხუთჯერ დაგვიმტკიცა ისეთი ერთგულება, როგორიც ზოგჯერ ჩემ ახლობლებსაც არ გამოუჩენიათ. ყველა ჩვენ ასვლაზე ცხვარს კლავდა და უჯიხვოდაც არ დაუტოვებივართ – მივყავდით იქ, სადაც ჯიხვი ეგულებოდა და არა უნადიროში.

– გიგი, ჩემი გამოყოლა არც არის აუცილებელი – მე მომმართა, რაკი მარტო მე მიცნობდა, – ჩვენ სადაც მაშინ ვინადირეთ, შენ რო ჯიხვები დახოცე, რესთან რო ხეობა შედის, ტეფის ჩრდილოეთით, იქვე ახლოს იქნებიან ჯიხვები, იქ არავინ ყოფილა, არავის უნადირია. ხალხი ზევით აღარ არის, აქვე ახლოს რო სოფლებია – კეტრისი, აბანო, აქ რჩება რამდენიმე კომლი და ესენი იქ არ ადიან. ასე, რომ ახლაც აუცილებლად დახოცავთ დიდრქიანებს. ღა-

მის გასათევად კიდევ წინ რომ სახლი დგას, იმის ფანჯარა მავთულით იღება – ფანჯრის დაბლა მავთული ჰკიდია, იმას გამოსწევთ და გაიღება, იქიდან შეხვალთ. შიგნით ღუმელი, შეშა და ლოგინებიც რაღაცა არი.

ფიდომ კიდევ შეგვიპატიჟა შინ და კიდევ უარი ვუთხარით, გვინდოდა ჯიხვების დაძვრამდე, საძოვრებზე ჩამოსვლამდე, ავსულიყავით.

თოვლ-მყინვარებისგან ნაკვებმა მდინარეებმა მზიან ამინდში იციან წამოდიდება. ამ მხრივ, ყველაზე რთული დასაძლევი მყინვარის მხრიდან ჩამომდინარე სუატისის წყალია. გამორიყულ-გაფანტული კალაპოტი აქვს და ძალზე სახიფათოა, არ იცი უცებ სად დაგიხრამავს, სად მოგაწყდება ძირითადი ნაკადი და მანქანას აითრევს. პირადად მეც ამითრია ერთხელ ნივით, დიდი შიშიც მაჭამა. გვქონდა შემთხვევა, როცა ვერ შემიბედავს. სვანმა კი არც შეიმჩნია, ისე გაგლიჯინდა.

ჯერ ისევ ადრე იყო რესში ფიდოსგან მინიშნებულ შემოუღობავი სახლის დერეფანთან რომ მივაყენეთ მანქანა. მანქანიდან ჩამოსვლა და ჩემი თვალის გაქცევა ტეფის, ჯერ ისევ მზით განათებული ფერდობებისკენ ერთი იყო. საჯიხვეთა ქვიშების ბოლოებზე ჯიხვების საძოვარს შევავლე თვალი და – ჯიხვები?!

– ბიჭებო! გახედეთ ერთი რა ჩანს წითლად ქვიშების ბოლოზე, მგონი ჯიხვები უნდა იყვნენ! – შევძახე აღელვებულმა.

– ჯიხვებია, კი, – დამიდასტურა ზაქრომ, – რა ადრე ჩამოსულან საძოვარზე. მაგათთან ასვლას ეხლავე მოვასწრებთ.

ხეობის კუდებში საჯიხვეები დაახლოებულია და ჯიხვების დანახვა შეუიარაღებელი თვალითაც კარგად შეიძლება. მაინც ამოვიღეთ ბინოკლები და გარკვევით გავარჩიეთ დიდრქიანი ხარლაღები.

– დრო საკმარისია, მოვასწრებთ მაგათ დათოფვას, აბა თოფები და წავედით! – თავისებურად დინჯად და საქმიანად მოგვიჭრა ზაქრომ. წუთიც და აჩქარებულნი შევუყევით ტეფის ხეობას. ცოტაც და იქიდან უკვე მოფარებულ და ნიავისაგან უხიფათო რუვზე ასვლა იყო საჭირო. მიუხედავად იმისა, რომ ჯიხვებს ვხედავდით, გული მაინც იმ ადგილისაკენ უფრო მეწეოდა, სადაც ადრე მყავდა ჯიხვები დახოცილი. ვუთხარი:

– აი, რა მინდა გითხრათ: რაკი სარეკს ვერ მოვაწყობთ, სამ-სამი კაცის მანდ ასვლას აზრი არა აქვს, დასათოფავად ორნიც ეყოფით. მე ავუყვები ხეობას, არ შეიძლება აქ კიდევ სხვა ჯიხვებიც არ იყვნენ-მეთქი.

დამეთანხმნენ და წავედი. თვალიერებით მივუყვებოდი. გაღმა-გამოღმა ორ ადგილასაც შუნები დავინახე, მაგრამ ისინი არ მაინტერესებდა, ხარჯიხვებს ვეძებდი და დავინახე კიდეც – ხუთი ხარჯიხვი ძოვდა და იქაც ქვიშების ბოლოზე და დროდადრო ქვემოთ იწევდნენ. საძოვარი და კარგ ბალახიანში ჩამოსვლა კი, მაგრამ მთელი დღის ნათმენ წყურვილს სად მოიკლავდნენ, ალბათ, იმ ნაკადულის სათავესთან, ამ ფერდობის მარცხენა მხარეს რომ ჩამოდიოდა. ავედი და პატარა კლდეებში ჩავსაფრდი.

უკვე მზე გადაიწვერა, საღამოვდებოდა, დროზე მოსწრება იყო საქმისა. მე სულმოუთქმელად ველოდი ჯიხვების მოახლოებას, ესენი კი სულაც არა ჩქარობდნენ. თვალმოუშორებლად გავცქეროდი და თან ვჩურჩულებდი: ჩქარა, დროზე, თქვე დალოცვილებო, ხო ხედავთ ღამდება და მერე მიზანში ვეღარ ამოგიღებთ.

ძოვა-ძოვით მოიწევდნენ ქვემოთკენ და თან დარაჯები ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. სასროლ მანძილზე ბევრი აღარ ეკლდა და უკვე თოფს ვაწვალებდი, როცა მიწიდან ამოჩრილ კლდის ქიმზე შემდგარმა ხარჯიხვმა დაიჭყიტინა. ვაიმე! ეს იმას ნიშნავდა, რომ რაღაცა საფრთხე შენიშნა. ვიფიქრე, იქნებ მგელი ან დათვი ეპარება-მეთქი. კიდევ დაიჭყიტინა და თან ფეხს უცემდა. მობალახე ჯიხვებმა ძოვა შეწყვიტეს, თავები ასწიეს და უკვე პირაღმა გაქცეულ დარაჯს მიჰყვნენ სირბილით. წყენის ელდა მეცა. რა მოხდა ვერ გამეგო. თვალი მოვავლე ირგვლივ და რას ვხედავ. ჭალაზე სოსო აჩქარებული ნაბიჯით მოუყვება ბილიკს. თავ-ჩაქინდრული მოდის, თითქოს არც აინტერესებდა ირგვლივ რა ხდებოდა. გაბრაზებული კაი ხანს არ შევეხმიანე. როცა შევიყარენით, ვუსაყვედურე: რა გინდოდა, სად მოდიოდი? უკვე თითქმის ზედ მოსული ჯიხვები დამიფრთხე-მეთქი.

– ძალიანაც კარგი თუ დაგიფრთხე. აღარ არის საჭირო, უზარმაზარი ხარჯიხვი ჩამოვაგორეთ!

– ხარჯიხვი ჩამოაგორეთ?! – შევძახე გახარებულმა და სოსოს გადავეხვიე.

– კი, ზაქრომ მითხრა, მე გამოვშიგნავ, შენ გიგის დაუძახეო.

– როგორ, რანაირად, თოფის ხმა რატო ვერ გავიგონე?! – მივაყარე.

– ტყუილად არ აქებდი. ეს ზაქრო მართლა მაგარი ყოფილა. როგორ ესროლა, როგორ დააგორა. ჩვენ ხო იმათ მხარეზე რუვზე ავდიოდით და იქედან უნდა გადმოვპარებოდით სერზე. უცებ ამ სერზე ეს ხარჯიხვი გადმოდგა და ჩამოგვხედა ახლოდან, ას-ასოცდაათ მეტრზე მეტი არ იქნებოდა. წამიც და თვალთაგან დაგვეკარგებოდა. „ბიჭო, ბიჭოო!“ და უცებ გავარდა იმისი თოფი. ასეთი სისწრაფით სროლა და მორტყმა თუ შეიძლებოდა, ვერ წარმოვიდგენდი.

ზაქროს გამოეშიგნა ჯიხვი და ჩვენ გველოდებოდა. მივულოცე: ღმერთმა კვლავაც მრავალი მოგაკვლევინოს-მეთქი. მერე ეს მართლაც საოცრად დიდი ხარჯიხვი დავითრიეთ და უკვე შეღამებული იყო „ჩვენი სახლის“ დერეფანში რომ დავაგ-

დეთ. გატყავება, რა თქმა უნდა, მეორე დღისთვის გადავდეთ. ფარნის შუქით მოვნახეთ დღის სინათლეზე ნაპოვნი ფანჯრის მავთული, ფანჯარა გავაღეთ, კედელზე დაკიდებული ნავთის ლამფა ავანთეთ, ღუმელი დავანთეთ. ალუმინის, თავსახურიანი ქვაბი ვიპოვეთ. ზაქრომ გულ-ღვიძლი ჩაკაფა, მე წყაროს წყლის მოსატანად წავედი, პლასტმასის ათლიტრიანით. სოსომ კი ფანჯრიდან გადაზიდული ზურგჩანთებიდან საგზლის ამოლაგება დაიწყო. რაღაცა საცოდავი საბან-ლეიბებით გაწყობილ ტახტსა და რკინის საწოლებზე ჩვენ ჩვენი საძილეები გავშალეთ და მგლებივით დამშეულები, მთელი დღის უჭმელები, ტაბლისმაგვარ დაბალ მაგიდას შემოვუსხედით. მე და სოსო აქეთ-იქით ჩიკა სკამებზე ჩამოვსხედით, ზაქრო კი სუფრის შუაში, მაღალ სკამზე ჩამოვსვით, როგორც იმ დღის გმირი. პირით ფანჯრისკენ იჯდა და მოდარაჯე ჯიხვის როლში წარმოვიდგინე, ეს ვუთხარი კიდეც. გაღუღუნებული ღუმელის სუნი დატრიალდა. მალე ყაურმიანმა ქვაბმაც დაიწყო თუხთუხი და მისი სურნელით შეზავებულმა კერიის სითბომ ოჯახის სუნი გააცოცხლა. ღვინომაც უკვე შეგვაჭიკჭიკა და ეს ყველაფერი ჩვენ საოცრად ზეაწეულ გუნებას უწყობდა ხელს. სადღეგრძელოებს რიგრიგობით ვამბობდით, მაგრამ ერთმანეთს უკვე აღარ ვაცდიდით. უამრავი სადღეგრძელო მეძალებოდა. ვარჩიე, ვარჩიე და იმათში საუკეთესო და ადგილის შესაფერისი გამოვარჩიე. ისიც ვირწმუნე, რომ ისენი ასეთს ვერ იტყოდნენ, უბოდიშოდ წამოვავლე ხელი ჭიქას:

– ძმაო, სოსო! შენ გაგიგია თუ არა, არ ვიცი, ზაქრომ, რა თქმა უნდა იცის. აი, აქ, ამ ხეობაში, ზურაბ ერისთავმა ღალატით ჩახოცა 60 რჩეული ხევსური. მან ფშავ-ხევსურეთში დამარცხების შემდეგ, ვითომ მოსალაპარაკებლად, ხევსურთა 60 რჩეული ვაჟკაცი მოიწვია ამ ხეობაში. სად იქნებოდა, ალბათ, ოქროყანაში და წესისამებრ, სუფრასთან იარაღაყრილნი ჩაახოცინა. მარტო ჩემი წინაპარი, მამიშვილობით ხეთეშაური გაჰქცევია, იმას უთქვამს, იმან ურჩია თურმე ხევსურებს: „ხმლებს ნუ აიხსნით, ხევსურნო, ზურაბ არ დაინდობისაო“. არ დაუჯერეს, სხვანაირადაც არ იქნებოდა. ხეთეშაურს კი არ აუყრია ხმალი და როცა ხევსურთა ხოცვა დაუწყიათ, ზურაბისთვის მოუქნევია ხმალი, გამოუკაფია კარში ჩამდგარი მცველები, მოხტომია ვიღაცის ცხენს და გაქცეულა...

ამ ამბავზე შექმნილი ისტორიული ლექსი აკაკი შანიძის „ხევსურულ პოეზიაშია“ შეტანილი. მოდი ვთქვათ...

უცებ, ზაქრო, მართლაც რომ კატასავით გადახტა კედლისკენ. იქ მიყუდებული თავისი თოფი მოიგდო ხელთ და საწოლის თავთან იატაკზე ჩაჯდა.

– დაწექით! – შეგვიძახა ჩურჩულით. ჩვენ ვერ გავიგეთ რა ხდებოდა და არც გავნძრეულვართ.

– ფანჯრიდან თოფს ვიღაც გვიტატნებს! – ჩურჩულით გააგრძელა ზაქრომ. მივაბრუნეთ ფანჯრისკენ თავი მე და სოსომ. სიბნელის სიღრმიდან მართლაც ვიღაც იცქირებოდა. მოლანდებასავით უძრავად იდგა, ხმას არ იღებდა.

– ვინ ხარ? რა ხარ?! – გავძახე მთელი ხმით. ლანდი ისევ უძრავად იდგა.

– შემოდი, მეგობარო, შემოდი! – ისე გასძახა სოსომ თითქოს კარ-ფანჯრები ჩაკეტილი არა ყოფილიყო. ის იყო ლანდი გაქრა და კლიტეც გაჩხაკუნდა. – ესე იგი, მასთან ერთად კიდევ სხვაც იყო. გაიღო კარი და ოთახში ორნი შემოვიდნენ. იმ ჩვენ „ლანდს“, უფრო ახალგაზრდასა და ახოვანს, თავზე მგლის ბეწვის გაბურძგნული ფაფახი ეხურა და მარჯვენა ხელში წვერდაშვებული ორლულიანი თოფი ეჭირა. რა მიხვედრა უნდოდა, რომ მათ თოფები ფეხზე შეყენებული ჰქონდათ და თითებსაც სასხლეტებს უცაცუნებდნენ. წამის მეათედში შეეძლოთ გასროლა და ჩვენი ძირს დაყრა, ზაქრო კი მათგან ერთ-ერთის დაგდებას წამის მეასედში მოახერხებდა, რადგან მას მარტო ფეხზე შემდგარი კი არა, დამიზნებული თოფი ეჭირა. ოსებმა ეს შემოსვლისთანავე შეინიშნეს, მაგრამ თავი ისე ეჭირათ, თითქოს ამას არაფრად აგდებდნენ.

– რატომ შემოძვერით ჩვენ სახლში ქურდებივით?! – კბილებში გამოსცრა ოსმა.

– არა, ჩვენ არ შემოვმძვრალვართ, ფიდო ფილიევმა გვითხრა, რომ ამ სახლში გაგვეთია ღამე. ფანჯარა როგორ გაგველო, ისაც იმან გვასწავლა. ფიდოსთან ერთად, ადრეც გამითენებია ამ სახლში ღამე...

– დანარჩენი სუფრასთან ვილაპრაკოთ, – ჩემი სიტყვა სოსომ გააგრძელა, – მოდით, შემოგვიერთდით!

მრისხანე ოსი რატომღაც მე მომაჩერდა, მერე თოფი ასწია, გადახსნა ვაზნები ამოიღო და კარს უკან მიაყუდა; მეორეც ასევე მოიქცა. ზაქრომაც მიაყუდა თოფი და წამოდგა. ოსები შემობრუნდნენ და ხელი გამოგვიწოდეს – აბა, მაშ გავიცნოთ ერთმანეთიო. იმ მრისხანემ – თემრაზიო, მეორემ – არონაო.

ჩამოსხდნენ, თითო დალიეს, ორი, სამი და თემრაზმა მომმართა:

– მაშინ, შენ და ფიდო რომ იყავით აქ, კიდევ ვიღაცა იყო თქვენთან ერთად... შენ დახოცე არა ჯიხვები?

– კი, მე ვიყავი.

– გვიან გიცანი, ბოდიშს გიხდით!

– ჩვენც გვაპატიეთ, ფიდოს რომ არ ეთქვა – შედითო, შემოსვლას არ ვაპირებდით, საძილეებში გავათევდით ღამეს.

– აბა, ყაურმა მზად არი, – გამოაცხადა ზაქრომ, – თემრაზ, საწვნე ჯამ-კოვზები გექნება

ალბათ?

– როგორ არა! წამოხტა თემრაზი და კარადიდან ალუმინის ჯამები გამოალაგა. ზაქრომ პირამდე სავსე ჯამები ჩამოგვირიგა და ყველანი მშიერი მგლებივით ვეცით. კიდევ ღვინო და წავიდა დიდი სიამტკბილობა. ჩვენ ჩვენ მეგობარ ოსებს ვიხსენებდით, ესენი მეგობარ ქართველებს დაბოლოს, საერთო ნათესავებიც აღმოვაჩინეთ. ღვინო რომ დაგვიმთავრდა, თემრაზმა ოსური რახით სავსე ათლიტრიანი საიდანღაც შემოიტანა და... და როგორ შემოგვადნა ის იმსიგრძე შემოდგომის ღამე, ვერ გავიგეთ.

თრუსოს ხეობას ისეთი მდებარეობა აქვს, იქ მზე ადრე ამოდის. ინათა თუ არა, მზემაც ამოანათა. რაკი დარები იყო, ღამე ძალიან ყინავდა. გამთენიისას თრთვილისგან ისე თეთრად იყო გახურხვლილი ხე-ქვა და ფოთოლ-ბალახი, იტყოდა კაცი – თოვლი მოსულაო.

მზის ამოსვლას ველოდებოდით და მზეც ამოვიდა. „დილის მადლი, მზის მადლი... დალოცვილი მზეო!“... ბიჭო რა ამინდია?! შეხედე რა სილამაზეა! – ვთქვით და გარეთ გამოვედით. მართლაც გამაოგნებელი სილამაზეა – აღმოგვხდა და მიდამოს მდუმარედ მოვავლეთ თვალი.

თრუსოს გრძელი და ფართო ხეობა მზისკენ არის მიმართული. ახლაც, აღმოსავლეთით წაჯარებული თეთრი მწვერვალების ბოლოს ცის კაბადონზე ლივლივებდა ბოლომდე ამოწვერილი ძალიან ყვითელი მზე, რომლის სხივები ნაზად გველამუნებოდა. ელამუნებოდა დამზრალ მიდამოს და თრთვილისაგან სწმენდდა პირს. ჭირხლისგან გასუფთავებული ჭალების ბალახი ყინვის ჯიბრზე მწვანედ ხასხასებდა, არა ნებდებოდა...

ვთქვათ და გაგვებედა, მერე ღამე როგორ ვიმგზავრებდით ან ორშაბათ დილით უნივერსიტეტში როგორ მივიდოდით, რა ლექციებს ჩავატარებდით. კიდევ ნადირობა იმ ოსების შემოთავაზებით ავიტაცეთ და მთელი ღამე გეგმებს ვაწყობდით, მაგრამ ... ეტყობა მზის ნათელმა შეაღწია ოსური რახით დაბინდულ ჩვენ ტვინებში და...

გადავწყვიტეთ, ჯიხვი გაგვეტყავებინა და ხუთად გაგვენაწილებინა – ოსებისთვისაც მიგვეცა წილი, ფეხები არ გვქონდა ჩატყავებული.

– მაშინ ჩვენი ვაციც ამასთან იყოს! – თქვა თემრაზმა. წავიდნენ, ფარდულიდან არჩვი გამოიტანეს და ჯიხვის გვერდით დააგდეს.

დავატყავეთ, ასო-ასო დავანაწევრეთ. თემრაზს კუნძი და ხელცულა მოვატანინე, ყველა ასო ხუთ-ხუთ ნაწილად დავკაფე და გაშლილ ტყავებზე ხუთ გროვად დავაწყე. როცა მოვრჩი ჩემი უბის ბლოკნოტიდან ფურცლები ამოვხიე, ყველას სახელი დავაწერე, თემრაზის ქუდში ჩავყარე და არონას ამოვაღებინე. ვუთხარი ხორცებს თითო-თითო დაადე-მეთქი. დააწყო. სოსომ დაკუჭული ფურცლები გაშალა და ...

– ოო, ეს რა ვნახეთო, რა კარგი განაწილება გცოდნიათო – აღფრთოვანდნენ ოსები.

ავიღეთ ჩვენ – ჩვენი წილი, ჩავაბარგეთ მანქანაში და თემრაზმა რახიანი ბოთლი გამოიტანა – გზა უნდა დაგილოცოთო. ჩაგვაწერინეს თავისი მისამართები ვლადიკავკაზში, ჩვენ-ჩვენი ჩავაწერინეთ. შევთანხმდით იმაზეც, რომ მეორე წელს, ოქტომბრის ბოლო შაბათ-კვირას აქვე შევხვდებოდით და ერთად ვინადირებდით. ერთმანეთს ხელი მაგრად ჩამოვართვით, გადავკოცნეთ და წამოვედით. მოვდიოდით უზომოდ კმაყოფილნი და სულ ამაზე ვსაუბრობდით მთელი გზა. პირადად მე, ისე ვიყავი აღგზნებული ერთი დღე-ღამის განმავლობაში ნანახით, ნაგრძნობითა და განცდილით, რომ ჯვრის უღელტეხილზე ბიდარაზე, დიახ, დიახ, ბიდარაზე ამოსულს ლაჟვარდ სივრცეში მეგონა თავი.

გულის სიღრმეში კი მაინც რჩებოდა კავკასიონზე კბილმოდებული გველის შხამი, რომელიც ამ გრძნობებთან ერთად ამოიმღვრა, გულის კოვზზე მომიღიტინა და ამ ღიტინმა ყრუ ტკივილივით დამიარა მთელ სხეულში. დამიარა და დამგრიხა.

ნეტავ თუ ეღირსება მშვიდობა ჩვენ ქვეყანას, ნეტავ თუ მოვესწრები რომ ქართველებმა და ოსებმა ისევ დანდობით ვინადიროთ ჩვენ საჯიხვეებში და მამაპაპურად მოვულხინოთ.

შალვა მჭედლიშვილი



მეორედ მოსვლა

„მოველით აღდგომასა მკვდრეთით და
ცხოვრებასა მერმისსა მისსა უკუნისა, ამინ!„
მრწამსი.

დასცხეთ დაფდაფებს, გააჩაღეთ კვნესა ზარების,
ააქვითინეთ ორთქმავლები, აუწყეთ ყველას,
მეორედ მოსვლა... ჰა, ლანდები შესაზარებნი,
უკვე აყეფდნენ და უთვლიან მაღალ ღმერთს
წყევლას.
აზვირთებულან სისხლის მთებად საუკუნო
სარეცელები
და დედამიწა შეჰფარვია უღიმღამო ღამეთა ზეწარს,
მიცვალებულნი მოცახცახე, ცეცხლის ცელებით,
გრგვინვით გაბზარულ საფლავებზე ამხობენ ზეცას;
მხეცნი დაცოფდნენ, ღრიანცელი სივრცეებს
დასცეს,
ბნელ ხეობებში მეხთატეხის ექონი ჰქუხან,
ჩონჩხთა ყმუილით დაფეთებულ ანგელოზთ დასებს
ელვის მათრახით ერეკება სატანა გულქვა.
ყველგან უწყალო წყვდიადია, წყეული ყინვა
ყვავ-ყორნებიც კი შიშით ფრთებს ძლივს ასავსავებენ
სისხლიან ქარებს მოთქმითა და ქვითნით მიაქვთ
წიხლით ნათელი, უდღეური ბავშვთა თავები.
ქვეყნად ყოველი ამაოა... უკვე გვიანი...
მიწა ირწევა,მიწა იძვრის,ცეცხლი ფლეთს და
ღრღნის.
არნახულ რისხვით მღელვარებენ ოკეანენი,
სისხლი და სისხლი,შურისგება, ჯანღი და ჯანღი.
საკირეების ლოტოებით დრტვინავენ ველნი,
ცეცხლში მკვნესარე შიშველ ქალებს არავინ შველის.
ეკლესიები გედთა ფრთებით მისცურავს ცისკენ,
ვარვარა ჯვრებზე ეხვევიან კაცის მკვლელები;
გუგუნებს მიწა, გულშემზარად გმინავს და ისევ
უფსკლულებიდან იმუქრება მკაცრი ხელები.
ო,ეს ხელები,სისხლიანი შავი ხელები
ლამობს ყოველი არსის აღგვას განახელები,
წინასწარმეტყველ,ყოვლისტყვედმქმნელ ფერიის
საყვირს
ქუხილად ასდევს იდუმალი ქვესკნელთა ბანი,
დათა სასთუმლებს,ძმებისაგან
წაბილწულთ,წარყვნილთ
ცრემლთა წარღვნებით ვერ განბანენ თვით
ღვთაებანიც.
კაენის აჩრდილს - მოზეიმეს,მარად მედიდურს,
გადაუშლია თვისი ფრთები პირბასრ დანებად
აღარც ნუგეში,აღარც რწმენა, აღარც მუდარა
აღარც სიკვდილი,აღარც მხსნელი და დანანება.
არსაით შველა. ვიღუპებით,ნისლია,ნისლი,
ციურ კოშკთაგან განმგმირავი ელვები ცვივა.
შლეგი დედები ყანწს ავსებენ შვილების სისხლით,
ძველი ცოდვების შესანდობარს სიცილით ცლიან.
დასცხეთ დაფდაფებს და სანთლების სევდიან ალში
ააფრიალეთ ქრისტეს ხატით ნაქარგი დროშა!
დასცხეთ დაფდაფებს,მიაჩუმეთ სიკვდილის მარში,
მეორედ მოსვლა მოახლოვდა, მეორედ მოსვლა!

1940 წელი. ქ. თბილისი.

„ავე მარია“

კვლავ ველურ ჰანგებზე დაუკარ მაესტრო!
მწყურია შლეგური ლხინი და ხარხარი,
გუშინ ჩემს ნიშნობას ჯალათი დაესწრო
და დღესაც სისხლიან ქორწილშიც აქ არი!

აქ ყინვის ლოდებით ნაგებ სასახლეში,
ძაძით შესუდრულა, შავია ყოველი...
ყინვის კელაპტართა სხივნი ცახცახებენ,
და მგზნებარ მეუღლეს ამაოდ მოველი.

ცივი, ამაზრზენი ყინულის ქანდაკი,
მომგვარეს მის ნაცვლად, ყალბია ყოველი!
მთვარემ გაგვიშალა ყინვის სასთუმალი
და ვით ოკეანე ჰქუხს „ავე მარია.“

იქნებ ამ სიცხადის წამით ვართ სტუმარი,
ან იქნებ ყოველი წამი სიზმარია?
და თუ სიზმარია ეს კოშკიც და ეს დროც,
რისთვის-ღა მქუხარებს ეს „ავე მარია“...

კვლავ ველურ ჰანგებზე დაუკარ, მაესტრო!
იქნებ ამ გლოვის ხმას სადმე დავემალო,
ეს ჩემი გზაკვალი უღვთოდ რომ არია,
ო, „ავე მარია“!

მეგობრის წიგნი

ავრელიუსი და პლატონი
გადავდე გვერდზე,
და გადავშალე ჩემი სიყრმის
მეგობრის წიგნი.

მე მის წიაღში სიყმაწვილის
ყვავილებს ვეძებ,
ამაოების შავი ლანდი,
გულს აღარ მძიძგნის.

ო, მარად მწვანე მოხასხასე მეგობრის წიგნი,
ზამთრის ღამეში, ბუხრის პირას გადაფურცლილი,
მზით და სიცოცხლის სიხარულით გულს მივსებს იგი,
გულს მივსებს იგი, მოგიზგიზე გაზაფხულივით.

ციმბირის გზებზე

ჩალით დახურულ რუსეთს სალამი,
სისხლიანი რომ ამკობს ალამი!
მე სტოლიპინის რონოდით მოვვლე,
ბნელი რუსეთი.. ვრცელი რუსეთი,
და ყველგან შევხვდი ქედმოხრილ მონებს.
და ყველგან დამხვდა ბრმა ბურუსეთი...
წამართვეს ქნარი ტკბილმოუბარი,
მომწყვიტეს მშობელ მთებს და ტრამალებს,
და ჟანგიანი ხელთ მომცეს ბარი,
რომ თვით გავთხარო ჩემი სამარე..
კაცი ჩალად ღირს, სიცოცხლე გროშად,
ყველგან ჯალათის ელვარებს დანა,
აქ ყოვლისშემძლე ატომის დროში,
ჯერ კიდევ მეფობს ბრინჯაოს ხანა...
და მაინც გულში ღვივის იმედი!
თუმც მწუხრი ჰმოსავს მიწას და ზეცას,
და მეც რა მეთქმის იმისი მეტი-
„ამ ბორკილებით ვამაყობ დღესაც!“

დაბრუნება

სალამი შენდა, ქართველო დედავ!
ზოგისთვის დედავ და ზოგისთვის დედინაცვალო,
დიდება შენდა!
თუმც სისხლის ცრემლებს მაფრქვევინებ,
აუგს შენსას, მაინც ვერვინ ვერ მათქმევინებს
დიდება შენდა!
ზოგისთვის დედავ და ზოგისთვის დედინაცვალო...
წყეულიმც ვიყო, თუ ოდესმე
სხვაში გაგცვალო!
დიდება შენდა!

ისევ სიცრუე

ეს მშვენიერი თაიგული,
ლამაზ გოგონას რომ მიუძღვნა,
ლამაზმა ბიჭმა,
ნეღან წუნკალმა მაწანწალა ლოთმა მოკრიფა.
სასაფლაოს ნაწვიმარ გზაზე
და იაფად მიყიდა იმ ვაჟს!

ნუ დალაჩრდები
ოდეს გიჭირდეს ჭირთათმენა,
გაიხსენე ის წინაპარი,
ის, ვინც კლდის ქიმზე,
ამ საზარელ უფსკრულის პირად,
უზარმაზარ ლოდს მოათრევდა
დიდებულ ტაძრის აღსაშენებლად!

ქუჩის მიტინგზე

რაზე ოცნებობს ნეტავი,
ბრბო მზესუმზირას მკვნეტავი?
რა ენატრება ბორკილი?
ისევ ღონდება უღელზე?
ახალ კერპს მუხლებმოყრილი
წრფელ დითირამბებს უმღერებს?
მასაც დაამხობს ის ხვალე?
ერთ მუშტად აღიმართება,
ბრო უგნური და მრისხანე,
მოყვასის სისხლით დათვრება?
აღსდგება ხუნდებს დაამსხვრევს..
ძვლებს ყოველივეს დალეწავს,
რომ კვლავ სასტიკად დამარცხდეს,
ახლა სხვას ეყმოს გარეწარს?!

დამშვიდობება

მშვიდობით, ვტოვებ მშობლიურ ქალაქს,
სადაც მაწამეს და ჯვარზე მაცვეს,
სადაც ყოველდღე ვხვდებოდი ჯალათს,
სადაც ყოველდღე ვხედავდი გამცემს.

რა მახსოვს, ან რას ვნატრობდი ნეტავ,
ან სიყმაწვილის წლები სად არის!
მამულის ყველა საპყრობილეთა
გამხადეს მკვიდრი მე ბინადარი.

ოცდაათ ვერცხლად გაყიდეს ქრისტე,
მე კი გამწირეთ მთლად ჩალის ფასად...
და მაინც გლოცავთ მოყვასნო,(ისევ)
კრულვით აროდეს გიხსენებთ არსად!

ლევან ბებურიშვილი

ვაჟა-ფშაველა თავისუფლების შესახებ

ადამიანის თავისუფლების რაობა ერთ-ერთი უარსებითესი ფილოსოფიური პრობლემაა, რომელიც ახალ დროშიც არ კარგავს თავის აქტუალობას და სულ უფრო მეტ სიმძაფრეს იძენს. ვერც ერთმა ეპოქამ ვერ მოახერხა ამ მრავალწახნაგოვანი საკითხის საბოლოოდ გადაჭრა. თავისუფლების პრობლემა, შეიძლება ითქვას, რომ ქართული მწერლობის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაცაა. მე-19 საუკუნის ქართველ კლასიკოსთა შემოქმედებაში აღნიშნული საკითხის შესახებ მსჯელობა წარიმართა როგორც ინდივიდუალურ, ასევე ეროვნულ ასპექტში. ვაჟა-ფშაველას არქივში დაცული წერილები: „რა არის თავისუფლება?“ და „რასა ჰქვიან თავისუფლება?“ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის მწერლის ეთიკურ მრწამსზე, მის მოქალაქეობრივ თვალსაზრისზე. ამ წერილებში ვაჟა სათანადოდ აანალიზებს ადამიანის თავისუფლების სოციალურ-პოლიტიკურ და ეთიკურ საფუძვლებს.

მწერლის შეხედულებით, თავისუფლება ნორმალური ადამიანის უძირითადესი სასიცოცხლო მოთხოვნილება, სრულფასოვანი არსებობისათვის აუცილებელი უპირველესი პირობაა. „თავისუფლება ცოცხლებისთვისაა ხელსაყრელი და არა მკვდრებისთვის. იგი გამოიხატება ადამიანის ნდომა-მისწრაფებაში; თავისუფლება მოქმედებაა, განხორციელებაა ნებისა, აზრისა, გრძნობისა და არა განსვენება, უქმად ყოფნა.. თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 410,412).

თავისუფლების სიყვარული, თავისუფალ გარემოში არსებობის სურვილი დაბადებიდანვე თან დაჰყვება ადამიანს, თუმცა ეს გრძნობა შეიძლება ჩაახშოს და დათრგუნოს მავნე საზოგადოებრივმა ატმოსფერომ. მახინჯი სოციალური წყობა ანადგურებს ადამიანში პიროვნულ საწყისს და მასთან ერთად თავისუფლების წყურვილსაც: „მშობლები, საზოგადოება და უხეირო სკოლები აჩვევენ ყრმას ისეთს აზროვნებას, რაც უხშავს მას გონებას, უნერგავს ცხოვრებისათვის მავნე აზრებს, აჩვევს გონებას მორჩილებას, მოთმენას, უკლავს სიყვარულს თავისუფლებისადმი“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 415).

ვაჟა-ფშაველას მიხედვით, ნორმალური საზოგადოებრივი ცხოვრება მხოლოდ იმ გარემოშია შესაძლებელი, რომლის წევრებსაც აქვთ საკუთარი სურვილებისა და შეხედულებების მიხედვით მოქმედების შესაძლებლობა. თავისუფლების რეალიზაცია ხდება იქ, სადაც აღიარებულია ინდივიდთა თანასწორუფლებიანობა. სამართლიანობა არის თავისუფლების ერთ-ერთი უმთავრესი საყრდენი: „საცა არ არის თავისუფლება, იქ ვერ იპოვნით ძმობა-ერთობას, იქ შეეხვდებით მხოლოდ მტრობას, ქიშპობას, ჭამა-გლეჯას და მგლობას“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 409). თავისუფალ საზოგადოებაში ადამიანის პიროვნული და ეროვნული ღირსება, შრომა და საკუთრება კანონის ძალით არის დაცული: „იქ რა უნდა თავისუფლებას, სადაც ჩემი ნაშრომ-ნაღვაწი სხვას მიაქვს? ჩემი ნაშრომის ნაყოფს ჩემდა უნებურად, ჩემ მიერ ნებადაურთველად ისაკუთრებს?.. იქ ვინ ნახა თავისუფლება, საცა მე ჩემს დედაენაზე ლაპარაკს მიშლიან: არც მასწავლიან, არც მაუბნებენ, არც მაგალობებენ?“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 410).

ვაჟა-ფშაველას აზრით, თავისუფლებისათვის ბრძოლა ადამიანის, როგორც ზნეობრივი სუბიექტის, ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა. თავისუფლებას სწორედ იგი იმსახურებს, ვინც მისკენ გამუდმებით მიისწრაფვის. თავისუფლების წყურვილი უჩნდება იმ ადამიანს, ვინც პატივს სცემს საკუთარ თავს, როგორც პიროვნებას. ვაჟა-ფშაველა ნათლად წარმოაჩენს თავისუფლებისა და ღირსების კატეგორიათა შინაგან კავშირს: „უკეთუ ვითმენ, ხმას არ ვიღებ, არაფერს ვამბობ, მაშინ მონა ვარ, არა მძულს ჩემი მჩაგვრელი ძალა; იქნება მძულს კიდეც, მაგრამ ამ მძულვარებას გულში ვმალავ; მაშინ ვარ ლაჩარი, უფრო საზიზღარი, ვიდრე მონაა “ (ვაჟა-ფშაველა 1964: 411). მწერლის აზრით, „თავისუფლების მტერია ის ადამიანი, ვისაც არ უყვარს თავისი თავი. თავმოყვარეობა ორნაირია: ბრიყვული და გონივრული“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 416). ბრიყვული თავისმოყვარეობა იგივე ეგოიზმია, გონივრული თავმოყვარეობა კი გამოიხატება პიროვნების მხრიდან საკუთარი თავის პატივისცემით, პიროვნული ღირსების ხელშეუხებლობისათვის ბრძოლით.

თავისუფლება და პასუხისმგებლობა ერთმანეთისაგან განუყოფელია. თავისუფალი საზოგადოების წევრს აქვს მრავალი სახის პასუხისმგებლობა. იგი პატივს უნდა სცემდეს სხვის უფლებებს და იღვწოდეს საზოგადო კეთილდღეობისათვის: „რას თხოულობს თავისუფლება ადამიანისაგან? როგორ უნდა იქცეოდეს თავისუფალი ადამიანი? – თავისუფალი ადამიანი უნდა იქცეოდეს ისე, რომ თავის ყოფაქცევით სხვას არ ჰვნებდეს, მით უმეტეს საზოგადოებას, არამედ მისი მოქმედება უნდა იყოს მიმართული ქვეყნის საბედნიეროდ. თუ ეს პირობა არ იქნება ადამიანისაგან დაცული, მაშინ მისი მოქმედება იქნება ავაზაკური, ვინაიდგან ყოველი ავაზაკი თავისუფლად იქცევა მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის. მხოლოდ იმაში არ გამოიხატება თავისუფლება, რაც გნებავს ის ილაპარაკო, სწერო, აკეთო, – არა! უნდა ყოველს სიტყვას და მოქმედებას საერთო, საზოგადო ბედნიერება ედვას სარჩულად“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 412).

მწერალი მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან თავისუფლებასა და თავნებობას: „თავისუფლება ამას არ გვიქადაგებს, რომ ყოველი ჩვენი სურვილი, გრძნობა, ყოველი ჩვენი ვნება დავაკმაყოფილოთ წინდაუხედავად. ჩვენის გრძნობების დაკმაყოფილება და ჩვენთა სურვილთა მხოლოდ მაშინ არის შესაწყნარებელი, თუ ამით ჩვენ სხვას ცალკე ადამიანს ან საზოგადოებას თავისუფლებას არ წავართმევთ“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 417).

დიდი მოაზროვნე განუყოფელ ერთიანობაში განიხილავს ინდივიდისა და ერის თავისუფლებას: „თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერიც დამონებულია და დამონებულ ერში რა თქმა უნდა პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში სათამაშო ნივთი“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 410). ვაჟა-ფშაველას თქმით, იმ ქვეყნის მმართველნი, რომლებიც ზღუდავენ დაბალი ფენების თავისუფლებას, გამოუსწორებელ შეცდომას უშვებენ, რადგან „დამონებული ერი მუდამ ბეჩავია შინაურობაში და რა თქმა უნდა, ბეჩავი და სუსტი გარეშე მტერთან საბრძოლველად. ამის დამამტკიცებელი მაგალითი დღევანდელი რუსეთია, რომელიც პატარა იაპონიას დაეტაკა და რქები შემოიმტვრია“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 412). იმ სახელმწიფოს, რომელშიც სათანადოდ არაა დაცული ყველა მოქალაქის უფლება, აუცილებლად ელოდება კრახი, რადგან ასეთ საზოგადოებაში, იმის მაგიერ, რომ მისი წევრები საერთო ნაციონალური მიზნისაკენ მისწრაფვოდნენ, ხდება სოციალურ ფენათა დაპირისპირება, რაც არღვევს ეროვნულ მთლიანობას: „.. საზოგადოება ვერა გრძნობს რამდენად მოსისხლე მტერი ხდება იგი თავის თავისა. რატომ? მიტომ, რომ ხეს ტოტებს აჭრის, ქერქს აცლის გარშემო ტანზე, რის გამო იგი ხელს უწყობს შტოების გახმობას, რასაც ადრე თუ გვიან თვით ხის გახმობაც მოსდევს... ადვილად ჩნდებიან დაჩაგრულნი და მჩაგვრელნი, გაცარცულნი და მცარცველნი და იმართება მათ შორის ბრძოლა“(ვაჟა-ფშაველა 1964ბ: 415).

ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისით, ჭეშმარიტი თავისუფლების შენარჩუნება მხოლოდ სულიერ-ზნეობრივად მომზადებულ და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ხალხს შეუძლია: „მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, უკეთუ მას თან არ ახლავს ერის საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 413). სათანადო სამოქალაქო კულტურის უქონელი ხალხისათვის თავისუფლება შეიძლება ორლესულ მახვილად იქცეს, პოლიტიკური დამოუკიდებლობა კი – ფიქციად. ამიტომაც თავისუფლებისათვის ბრძოლის უპირველესი ეტაპია ერის კულტურული აღზრდა, მომზადება თავისუფლების, როგორც პასუხისმგებლობის, მისაღებად: „განუვითარებელი, გაუზრდელი ხალხი, როგორიც უნდა დემოკრატიული მმართველობა დაარსდეს, მაინც მმართველთა სათამაშო ბურთი და და სათლელი დუმა იქნება. საიმედო პოლიტიკური მოქმედებისათვის მხოლოდ მომზადებული, თვალახილებული ხალხია“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 290). ვაჟა-ფშაველას აზრით, ჭეშმარიტად თავისუფალ საზოგადოებრივ წყობას მაღალი სულიერი კულტურა შობს და არა პირიქით: „ქვეყანას უნდა კარგი წეს-წყობილება მივცეთო, ჰყვირიან. იმას როდი ამბობენ, ქვეყნის სული და გული გავაუკეთესოთ ჯერ, რადგან გაუკეთესებული სული ქვეყნისა მუდამ კეთილის წესის დამადგენელი იქნება“ (ვაჟა-ფშაველა 1979: 84).

ერთი სიტყვით, ვაჟა-ფშაველას თავისუფლების ცნება არ ესმის მხოლოდ ნეგატიური აზრით, როგორც შეზღუდვების არარსებობა და არჩევნის თავისუფლება, არამედ როგორც პიროვნების პასუხისმგებლობა საკუთარი თავისა და საზოგადოების წინაშე. თავისუფლების ვაჟასეული გაგება ცხადად ჩანს მის ლექსში „ჩემი ვედრება“, რომელშიც პოეტის სათხოვარი უფლისადმი ამგვარი ფორმითაა გამოხატული:

„ნუ დამასვენებ ნურადროს
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული;
როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა, -
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა“
(„ჩემი ვედრება“ 1893).

ვაჟა-ფშაველას მიხედვით, თავისუფალი, ამ სიტყვის უმაღლესი გაგებით, ადამიანი მაშინ არის, როდესაც შეჭირვებულია საქვეყნო სატკივრით. თავისუფლება უზრუნველობა, პასუხისმგებლობისაგან გაქცევა კი არაა, არამედ მოქმედება, სწრაფვა თვითგანვითარებისაკენ, საკუთარი თავის ფლობისაკენ, თვითსრულყოფისაკენ.

ლიტერატურა:

ვაჟა-ფშაველა 1964: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი ათ ტომად, ტ. IX, თბილისი, 1964.

ვაჟა-ფშაველა 1979: ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი: ახლად გამოვლენილი ნაწარმოებები, თბილისი, 1979.

იკა ქადაგიძე

მოძმე

მოძმე სომეხი რიხით ითხოვს ტაძრები მომე!
მოძმე რუსეთი-ერთმორწმუნე: კვლავ დამემონე!
მოძმე ირანი წყლის რესურსის ხათრით ფრთხილია,
მოძმე სირიას ლტოლვილთათვის ბინა სჭირია!
მოძმე აზერებს რიცხოვნება ჩვენი ამღერებს,
მოძმე ისრაელს ჯერაც ათბობს ქართული ყლორტი
და ამიტომაც დაგვარისხა უხვი დეპორტი!
მოძმე არაბმა – მიწა მომე, თქვენთვის დიდია,
მოძმე ჩინელი ქართულს სწავლობს, ვაჰ რა
ფლიდია?!
მოძმე ინდოელს ფულის ეშხით ცოლად ინდომებ,
მოძმე ოსებთან გზა უსაზღვროდ შემოვლითია,
მოძმე აფხაზეთს ახლა სულ სხვა ძალა აბრაზებს,
ჩვენს კუთვნილ ზღვაში რომ დაეძებს ოქროს
გასაღებს.
მოძმე აფრიკელს ქართული ცის წონა აფიქრებს,
მოძმე ავღანელს გაუღიმე, არ დაახანებს,
მოძმე ევროპას უსქესოთა ნანაც ეყოფა!
ქართველის გარდა ვინ შეიძენს ამდენ მეგობარს!
ქართველის გარდა სხვას ვის ხიბლავს
მრავალღმერთობა!
მოძმე ა.შ.შ-ს შეაშრება დემოკრატია,
ჩვენი ჯვარია მოთმინება და აპათია,
მოძმემ რომელმა ქართველს სუნთქვა თუ აპატია?
მოძმე მოძმეა, მრავლისმომსწრევ, ჩემო თვისტომო,
წინაპრებივით უნდა აღვდგეთ, მედგრად
ვიბრძოლოთ!
ეს ყველა მოძმე რიხით ითხოვს დროზე ჩაძაღლდი,
ეს მიწა-წყალი სამოთხეა, ამ ქვეყნად ნაღდი,
სად გაგვითხრიან სასაფლაოს ბოლოს და ბოლოს?!
მოძმე თურქეთი სულ არა ჰგავს სისხლისმსმელ
ბოროტს,
ამაყად გვითვლის ქართველებო, არ იდიდგოროთ!
და რადგან ყველა მოძმე ახალ ბორკილს იგონებს,
მაშ გაუმარჯოს მოძმისაგან დაჩაგრულ მონებს!

24. 04. 2017

მარსიანი

არიელ

(რექვიემი გარდაცვლილი გულისთვის)

გარდაიცვალა დღეს ჩემი გული არიელ
მემილიონე ლახვარით განგმირული
თეთრ ვეშაპივით სანაპიროზე წევს
უზარმაზარი უსისხლო გული ცარიელ
ვარსკვლავთ უდაბნოს მარადისობის წრეს
ჩამქრალ პლანეტად მოევლინება დღეს
არიელ
დღეს ჩემი გული გარდაიცვალა
გადაივიწყა ზევსი და ქრისტე და ალლაჰ
გადაივიწყა ანგელოსი და ეშმა
დასტოვა ოდეს მუხთალ სიცოცხლის თქეშმა
გარდაიცვალა
გადაივიწყა
ჩაქრა
და ჩაქრა სევდა
თრობა
სიშმაგე
ზაფრა
და ჩაქრა ბავშვი, ჩაქრა ქურდი, ჩაქრა მეძავი,
გმირი და მკვლელი, მგალობელი, მხვნელი, მთესავი,
ბრძენი და გიჟი, ქალი, ვაჟი, ჰერმაფროდიტი,
კრავი და მგელი, ღრიანკელი, ვარდი, კოპიტი;
რაღა თქმა უნდა, მზე და მთვარე, ვარსკვლავ-
მთიები
ჩაქრნენ პირქუშად, მტრულად, ღვარძლით,
შურისძიებით;
ჩაქრა, ო, ჩაქრა სიყვარული და სიძულვილი,
გალაქტიკები, ფორმულები, წყალი, წყურვილი;
ჩაქრა ყოველი სამყაროჲ – კოსმოს-ქაოსი,
და გარსმოევლო მწვანე ბინდი სასაფლაოსი...
ნაპირს გარიყულ ვეშაპივით წევს ჩემი გული-
თეთრი, მომწვანო.
თუ გაგიგიათ – კუბოდ იქცეს მიცვალებული?
გასინჯეთ, აჰა, გარდაცვლილი წევს ჩემი გული:
რომელს მოუცავს მთლად სამყაროჲ – არსი, არარსი:...
თავის დღე-ღამით, სიმახინჯით და სილამაზით;
შიგ ჩატეულა დრო და სივრცე, მყობად-წარსული,
შერიგებულან მის წიაღში ხორცი და სული;
იმად გამხდარა აგრე დიდი, უზარმაზარი –
ეს მკვდარი გული – სასაფლაო, კუბო, ტაძარი!
ოჰოჰოუუ გლოვის ღმუილ-გმინვაა არიელ
სანთლები აქ არ აინთებაააარიელ
ააქ ხომ მძლავრი ქარიااااარიელ
არისმისავემარიااااარიელ
ცარიელ
სივრცედგაიცრიცებაარიელ
გარდაცვალებულიგულისცემაარიელ
არიელ
არიელ
არიელ
დონნ

დალი კახიანი

თარგმანები

ვლადიმირ მაიაკოვსკი (1893-1930)

თქვენ შეძლებდით?

სახელდახელოდ ავრიე ბანქო,
ავარდა ჭიქას ცეცხლის ალები,
ხელადის ფსკერზე ოკეანეთა
ჩანს ალმაცერი, ღრმა ყვრიმალები.
თევზის ქერცლებზე ამოვიკითხე
ახალ ბაგეთა ხმა ცდომილების.
ნეტავ ნოქტიურნს თუ დაუკრავდით
ფლეიტაზე წყლის სადენ მილების?

ჩვენი მარში

ჯანყის მოედანზე დასცხეთ დაფდაფებს
და ზეასწიეთ თავი ამაყად,
მეორე წარღვნას დავიმოწაფებთ,
მსოფლიო ქალაქებს ჩავრეცხავთ ამაღამ!

აქ სადღეისო ხარი ჭრელია,
წელთა ურემი ნელა ჭრიალებს,
ჩვენი მსრბოლავი ღმერთი ხელია,
გული დოლივით სივრცეს მიანგრევს!

არის ციური ოქროვანება?
თუ ჩვენ დაგვნესტრავს ტყვიის კრაზანა?
ჩვენ სიმღერებად გავხმოვანდებით
ჩვენი ბაჯაღლო – ხმა ჰგავს ზანზალაკს.

გაწოლილია მწვანეში მდელო,
და ღღეთა ფსკერი ისევ ხმაურობს,
შენ, ცისარტყელავ, ასწი სარტყელი,
წლებმა სწრაფად რომ იბედაურონ!

ხედავთ მოსწყინდა ვარსკვლავებს ზეცა,
ჩვენ მათ გარეშე სიმღერებს ვართავთ,
ჰე, დიდო დათვო, კერპად ითხოვე,
ცისკენ გაგვიძღვეს როგორმე მნათი.

ვილხენ, ხალისი უნდა ვეძიო,
გაზაფხულები კვირტობს ძარღვებში,
გულო იომე, ეს არის გეში,
მკერდი ლიტავრების სპილენძია.

პავლე ანტოკოლსკი (1896-1978)
ნიკო ფიროსმანიშვილი

დუქანში, თეფშებს და გაღრეჭილ სიფათებს შორის,
შავ მუშამბაზე და დანამულ სუფრაზე მორთვით
თეთრა – ოხრასი და სურინჯის – შვა ხელოვანმა
სიცოცხლესავით ვეებერთელა, მძლე ნატურმორტი.
კახური ღვინით მასპინძლობდა მხატვარს მედუქნე
თვალისმომჭრელი აბრის გამო. ბებერი გული
ბედნიერებით ძგერდა, როცა დარდიმანდთათვის
პილპილ-პომიდვრის ხანძარს ქმნიდა გაფიცხებული.
ეს აქლემები და ცხენები, ეს ლომ-დათვები
ველურ თვალებით შესცქეროდნენ და შინაური
თხის ჟღალ წვერებში შემპარავი ღიმილი კრთოდა
და ხტოდა ნოხზე, ბალახისფერ ფონზე ხმაურით
და წიწილები, ვით ტყვიები დამიზნებულნი
ენთო ბავშვობის ღვთიურ ხატად სამყაროს წიაღ,
მხატვარი ყოფნას არ ემალვის, სახადად ვლენილს,
ხელისგულიდან საკენკს უყრის ხარბ წიავ-წიავს.
თქვენ, ქალწულებო, მკერდსავსენო,
შროშანისფერნო,
სერიოზულო, ფართო შარვლით მოსილო კინტოვ
და გოფრირებულ კაბიანო ბალღო სადა ხართ?
უკვდავთ და დაცულთ ვინ შთაგბერათ სული? –
მსურს გკითხოთ.
და კაშკაშებენ, უშიშრობით ფოცხვრის და კატის,
ნაპრალნი, ხილვად განფენილნი, აქ ხომ ასეა,
რა შმაგად აფრქვევს სხივებს მთვარე, ღრუბლებში
გადის,
რა შემზარავი ფერი ადევს ძველ კავკასიას!
და ქაფს იდებენ ღვინიანი დიდი ყანწები,
გამოვლებული ყელწვრილ დოქში – წყალი
დაღვრილა
და გარიჟრაჟმაც მოატანა ხმებით მამლების
და მხნე თამადამ დაგვილოცა ახალი დილა.

ალექსანდრე პუშკინი (1799-1837)

კ-ს

მე მახსენდება ის უცხო წამი
როს მოევლინე სახედველთ ჩემთა,
წამიერ ხილვა გულის წარმტანი,
ტრფობის გენია რომელსაც გვფენდა.

სევდის ზვირთებში მოფორიაქე
ვეხეტებოდი ბრბოში ეული
და ჩამესმოდა ხმა უნაზესი
და თვალწინ მედგა შენი სხეული.

წლები ვიდოდნენ ქარაშოტებად,
გაქრა ოცნება ფუჭად ნაგები,
მეც მიმავიწყდა შენი ხმის სილბო,
საოცრებანი ღვთიური ნაკვთების.

უღრან წყვდიადში გამომწყვდეული
უსიხარულოდ რბოდნენ დღეები
და შთაგონების მიღმა უღმერთოდ
განქარდნენ ჩუმი სამოთხეები

სულს კვლავ ეღირსა განსხივოსნება
კვლავ მოევლინე სახედველთ ჩემთა,
წამიერ ხილვა გულის წარმტანი,
ტრფობის გენია რომელსაც გვფენდა.

გულიც ძალუმად ფეთქს აღტაცებით,
და მისთვის აღსდგა კვლავ მოარული,
აღმაფრენებით ღვთაებრივ ძალთა,
განსპექტაკებულ გრძნობას რომ ართავს.

ყვავილი

ყვავილი მჭკნარი, სურნელმიმქრალი
წიგნში შთენილი თვლემს ჩემს წინარე;
და აი უკვე სულში მდინარებს
უცნაურ ქროლვით სხვა საფიქრალი.

სადა ჰყვაოდა? რომელ გაზაფხულს?
უცხომ გასწირა თუ ახლობელმა,
ვინ მოუსწრაფა სიცოცხლე ზაფრულს,
სიკვდილისაკენ ავად მხმობელმა.

ეგებ ხსოვნაა სათუთ შეხვედრის,
ან თუ მტანჯველი სეირნობისა,
ან განშორების უბედო ხვედრი,
მყუდროებაში ჩუმი ტრფობისა?

მყოფობს კი იგი ეულ გულებში?
კუთხე იმ ორის, სად არს, გულს ვკითხე,
ვით ეს ყვავილი წიგნში შთენილი?
და მარტოობის სევდა ულევი
ხსოვნათა მიღმა გარდადენილი?

თევდორე ტიუტჩევი (1803-1873)

silentium!
(სიჩუმე – ლათ.)

იყუჩ-იმალე, იიდუმალე,
ოცნებანი და გრძნობანი შენნი,
სულის სიღრმეში იძვროდნენ ფშვენით,
ჩანავლდნენ უხმოდ, ადრე თუ მალე,
ვითარც მნათობნი ღამეულ ცაზე.
დატკბი ჩუმხილვით, მე გირჩევ ასე,
ვითარ თქვას გულმა თვისი სათქმელი,
სხვამ ვით შეაღოს სულის სარკმელი?
ან ვით გაიგოს შენ რით სულდგმულობ?
ცრუვდები, აზრო, ხმამაღლა თქმულო.
იმ კლიტეთ ნუ ხსნი და ნუ იურჩებ,
შეიცან, იგრძენ, მაგრამ იყუჩე.
საკუთარ თავში ყოფნა შეიძელ,
მთელი სამყარო მაინც შენში ძევს.
მიმკრთალ, ჯადოსნურ – იდუმალ ხმათა
გარესამყაროს ხმაური ფანტავს;
გირჩევ – ხილვებით დასტკბი, იყუჩე,
ნუღარ იშფოთებ და ნუ იურჩებ.

მარია პეტროვიხ (1908- 1979)

დამითქვი პაემანი

დამითქვი პაემანი ამ ქვეყნად.
დამითქვი პაემანი მეოცე ასწლეულში,
აქ, ეხლა.
სული მეხუთება შენი ტრფობის გარეშე.
გამიხსენე, მოიხედე, ხმა მოაწვდინე!
პაემანი დამითქვი,
იმ არეში სამხრეთულ ქალაქის,
სად ქარნი წეწავდნენ
მთა-გორის ალაგებს,
სად ზღვა ატყვევებდა
ტალღების ღვარულით,
სად გულმა არ იცოდა
უპასუხო სიყვარული.
გაიხსენე, როს პირველად
ფარულად ვხვდებოდით,
გარეუბნებში ორნი ვეხეტებოდით,
ქუჩაბანდებში
მჭიდრო სახლთ შორის,
სად გვპასუხობდნენ
არარუსული აქცენტით,
ხედების სიმწირეს
ყურადღებას არც ვაქცევდით,
თუმცა გაიხსენე,
რომ ნაგავსაყრელზეც უსულო
თუნუქს და შუშებსაც
კაშკაშით ალმასის,

ეოცნებებოდათ ქილიკით
რამ აღმატებულად ლამაზზე,
სულ მაღლით დაჰყურებდა
უფსკრულს ბილიკი. . .
გახსოვს ის ამბორი
ამქვეყნიური?. . .
რიცხვი არ მახსოვს
მაგრამ იმ დღიდან
შენ შეიქენი შუქი ღვთიური.
დე წლები უკუიქცნენ
წრიული მარულით,
შევხვდეთ კვლავაც
შესახვევში ბროწეულის. . .
დედამიწაზე, ვით ადრე იქმოდი,
შეხვედრა დამითქვი ციური
შენი ფარული გულის სითბოთი.
კვლავ გვასულდგმულებდეს
ერთურთის შეხედვა,
და როგორც იმ დროს,
შევხვდეთ, იქ მოდი,
ვიდრემდის გვესმის,
ვიდრემდის ვხედავთ,
ვიდრემდის ვსუნთქავთ,
დავიწყებას არ მისცე,
ქვითინით გაფიცებ:
გთხოვ კრძალვით,
დამითქვი შეხვედრა!
თუნდ ერთი წამით,
ხალხმრავალ ადგილას,
ქარბორიაში ფოთოლთა ურჩთა,
გვედრი გადარჩენას! . .
სულ მთლად გავსავათდი,
თუნდ იყოს ჩემთვის
ის ბოლო საათი,
დამითქვი პაემანი
თვალებთან ლურჯთან.

ანა ახმატოვა (1889-1966)

***

თალხ ვუალის ქვეშ შევკუმშე ხელები,
მითხარ, დღეს „რად ხარ ასეთი ფერმკრთალი?“
იმად, რომ სევდა მკლავს მწველი გახელებით,
ის ჩემგან წავიდა ნაღველით შემთვრალი.
როგორ დავივიწყო, გავიდა ბარბაცით,
პირი მოეღრიცა მტანჯველი ღიმილით,
მე მას გავედევნე ქუჩაში გავარდნილს
მივდიე ჭიშკრამდე საბრალო ჩივილით.
სულშეგუბებულმა ვუყვირე: – შეჩერდი,
მე მხოლოდ გეხუმრე, თუ წახვალ მოვკვდები!
ღიმილი დატოვა მშვიდი, საზარელი:
და მითხრა ამგვარად: „ქარში ნუ მოხვდები“!

ალექსანდრ ბლოკი (1880-1921)

***

ულმობელი თეთრი ღამეებით მაისი!
და ისევ, მუდმივი კაკუნი გაისმის:
ცისფერი კვამლია მხრებს მიღმა: გამოდი,
გაურკვევლობის და თვითგვემის დაისი!
ქალები შეშლილი თვალებით, მდევარით,
გულმკერდზე თელილი ვარდებით მცინარით!
იფხიზლე, განმგმირე მძლე სატევარებით,
სევდა განმარიდე და ვნება მძვინვარე.
რა რიგ საამოა მდელოზე, ჩალაზე
წრეში ტრიალი ცეცხლოვან ფერხულით,
ღვინის სმა, ლაღობა, დოსტები ნაღდები,
სხვათა გულისსწორნი, შემკული ვარდებით.
ჩვენ რომ მივუძღვენით გვირგვინი ტრფობისა,
სევდის, სიყვარულის, ხმები მხიარული,
უფრო საამოა გუთნის მიდევნება
და ცინცხალ ცვარ-ნამში, ლაღად სიარული!

სერგეი ესენინი (1895-1925)

***

სევდა გულს მიკლავს, როცა შენ გხედავ,
რა ტკივილია, რა სინანული!
სჩანს მხოლოდ შუქი ტირიფის ხიდან,
შეგვრჩა სექტემბრის თვიდან ზმანული.

სულ სხვა ტუჩებმა მიმოაბნიეს
სითბო და თრთოლვა შენი სხეულის,
თითქოსდა ჟინჟლავს ჩემი სულიდან,
სევდის ნაკადი მწუხრისეული.

რა ვუყო! სულაც არ მაფრთხობს იგი,
ჩავიგვირისტე სხვა სიხარული,
აღარც არაფერს იგი აღარ მთხოვს,
ვითარცა მქრქალი ბჟუტვა, ფარული.

თუმცა, თავიც ხომ ველარ დავზოგე,
მშვიდი ყოფისთვის და საღიმილედ,
რა მცირე გზები არის გავლილი,
გადაცდომანი მრავლად ვიხილე.

სასაცილოა თავად ცხოვრება,
იყო, იქნება ამგვარ შეძლებით,
ბაღს მოეფინა, ვით სასაფლაოს,
არყის ხეების გახრული ძვლები.

ჩვენც ზუსტად ასე მოვიყვავილებთ,
ბაღის სტუმრისებრ გავკრთებით დაღლით,
თუ ზამთრის სუსხში ვერ ძლებს ყვავილი
ნუ დავიმძიმებთ გულს მათზე ნაღვლით.

ნინო ბაქანიძე

ქეთევან

– კნეინა უქეიფოდ ბრძანდება. დღეს ვერ მიგიღებთ.

– მცირედი რამ სათხოვარი გვქონდა კნეინა ქეთევანთან. დიდხანს არ შევაწუხებთ.

– ვერა-მეთქი, ხალხო. რით ვერ გაიგეთ?! აგე, უკვე ოთხი-ხუთი დღეა, ოთახშია ჩაკეტილი. კარში არ გამოდის.

– საქმე რომ არ იცდის? ბოლო-ბოლო მტყუან-მართალი ხო უნდა გაირჩეს?! – თავისას გაიძახის კოლა ბედოშვილი და დაჟინებულ მზერას არ აცილებს ერისთავების მოურავს.

– ვაა, ესენი ვინა ყოფილან, კაცო. აჰა, სამოც წელს აღარა უკლია, რაც სულგანათლებულ კნიაზ ელიზბარის ოჯახში ვდგავარ და ეგეთ რამეს არ შევსწრებივარ. ყურში არ გეყურებათ, ხალხო? გეუბნებით, ავად ბრძანდება-მეთქი.

გლეხები უსიამოვნოდ იშმუშნებიან. კოლა სახრეს ატრიალებს ხელში და ფეხის მოცვლას არ აპირებს.

– აფსუს, კნიაზ ელიზბარი, – ბურტყუნებს კოლა – განა პირველი მომხრე ეგ არ იყო წყეული ბატონ-ყმობის გადავარდნისა. კარგა მახსომს, მაშინ ჯერ ყმაწვილსა, როცა ჩვენსა, გორში მანიფესტს კითხულობდა დეკანოზი სოლომონ ხახანაშვილი, გვერდში სწორედ ელიზბარი ედგა.

– ისიც კარგა გეხსომება, ჩემო გიორგი, – ეშველება კოლას მეორე გლეხი, დათიკო ბალიაშვილი, – როცა კნიაზ ელიზბარმა თავის მსახურებს თავისუფლება გამოუცხადა, ყველა მაგასთან დავრჩით, შენცა, გიორგი და რავი, ეხლა ეგრე რამ გაგაკერპა?

– გიორგი, მანდ რას უდგეხარ, კაცო, უკვე მორჩით ყველაფერსა? საცაა კნიაზი გამოჩნდება! – უსიამოვნო საუბარს გლეხებსა და გიორგი ჟუჟნიაშვილს შორის ზახარიკა რუსიტაშვილის გამოჩენა წყვეტს – კნეინა როგორა გყავს ამასობაში? ისევ უგუნებოდაა თუ გამოდგა?

– ამდა, ვერა ხედავ, რაცა ხდება? მთელი საათია ამათ ვეჯილდავები. – გულმოცემული გიორგი კვლავ გლეხებს უტევს.

– აგე, ხალხო, ჩემი თუ არა გჯერათ, ზახარიკას მაინც დაუჯერეთ. საქმე თავზე გვაყრია. წუთი-წუთზე კნიაზ ივანეს ველით ქალაქიდან. კნეინა ამ სასიხარულო ამბავმაც ვერ მოახედა და თქვენი თავი სადღა ექნება?

– მაშ საქმე გაქვთ, არა? ჩვენი საქმე კი საქმე არ არის! – თავისას არ იშლის კოლა – ეგრე გამოდის, ჩვენ ყველა მოცლილები ვყოფილვართ. ისეც სიმწრით ვჭამთ თითო ლუკმასა და ეხლა კიდე ე ოხერი ჯამბულა შემოგვჩენია, ჩემი მიწაარ, გაიძახის. ფეხსაც არ გავადგამთ აქედან, მინამ კნეინა არ მოგვისმენს.

– კარგი, იყოს, იყოს, – კვლავ დათიკო ერევა კამათში. – იქით მეეცა, კოლა, შარი არ გაგვიხდეს. სჯობს, დავიშალოთ, ხალხო. გიორგი, გრცხვენოდეს. შენთანა გვაქ საქმე, თორემ თუნდა მაგ ფაფასუა ზახარიკას რა უნდა ველაპარაკოთ?!

– ოღონდ იცოდეთ, ხვალე ამ დროზე მოვბრუნდებით და რამე რო იყოს, სხვანაირი ლაპარაკიც შეგვიძლიან. – კვლავ მუქარით ატოკებს სახრეს კოლა.

გლეხები უკმაყოფილო ბუზღუნით ტოვებენ ეზოს. გიორგი ზახარიკას მადლიერებით უთათუნებს მხარზე ხელს. – ღმერთმა გიშველოს, ბიჭო. სწორედ რო სულზე მომისწარ. მისდღემჩი რაღაცას ვერ იყოფენ ე ოჯახქორები. მეზობელი მეზობელს არ ინდობს და შვილი მამას. კნეინას დარდი არა კმაროდა და კიდე ეგენი დაგვემატნენ.

– ვერ უთხარი, კნეინას დაბადების დღეა-თქო, ეხლა საქმეებისთვის არა სცალიანო.

– რას ამბობ, ზახარიკა, – უტევს გულმოსული გიორგი, – მაგის გაგებაღა უნდოდათ. მიზეზად განა არ კმარა, რაც ვთქვი?

– მაშ ისევ უხასიათოდაა ქეთევანი? – გაოცებას ვერ მალავს ზახარიკა.

– ჰო, რავი, ემ საათშიც ოთახშია გამოკეტილი და რაღაც ქაღალდებსა და ფოტოებს ჩასჩერებია. მაგის ქალებმაც ვერაფერი ქნეს და ეგებ ივანეს დანახვამ მოაგუნებოს.

– კნიაზ ელიზბარის მერე ისეც ძაან შეიცვალა, – სინანულით აქნევს თავს ზახარიკა – ყველა ატყობს. თუმცა მასუკან დიდი დროა გასული.

– სამაგიეროდ შენ გინათის სახე მზესავით, – დამცინავად ეღიმება გიორგის, – მა როგორა, კნიაზის ხელის ბიჭი იყავი, მაგრამ რაც ივანეს და კნიაზ დავით ერისთავს გაგაყოლეს ადესაში, ლამის ოჯახის წევრად იქეც. რავი, მე კი დავბერდი ამათ სამსახურში და...

– კარგი, კაცო, რა ნახე, ეჭვიანობა ხო არ

დაგჩემდა სიბერეში? – კმაყოფილებით ქირქილებს ზახარიკა. – შენ ამაგს განა ვინ გიკარგავს, გიორგი, მაგრამა მაშინ მართლა ტუზი კი დამეცა. ეე, რა დრო იყო. სანამ ეგენი ზნამენიტი კნორის პანსიონში გლაგოლებს ზუთხავდნენ, მე ვერა ვძღებოდი ქალაქში ხეტიალით. ახლა რა დვარეცებია, კაცო რა პარკები, ქალებს ხო ნუღა იტყვი... ჩვენი გორის ხელა ლამის მარტო ერთი უბანია...

– კარგი, კაცო, გული ნუ გამიდნე! – უტევს მოთმინებადაკარგული გიორგი – ეგენი ათასჯერ მაინც გექნება მოყოლილი. მიდი რაღა, საქმეს მიხედე. მე კიდე კნეინასთან ავალ. დროა, მოემზადოს. ეგებ გლეხების ამბავიც შევაპარო... ჰო, მართლა, კნიაზს მოსდევს ვინმე თუ მარტოა?

ზახარიკა მხრებს იჩეჩავს – მაგისი კნეინა კიდე ავად გამხდარა, დავითი რო ვერ მოდის, ეგეც ვიცი და სხვა რა გითხრა... გიორგი, გახსომს, კაცო, მაგისი მამა, ღმერთმა აცხონოს, გიორგი ერისთავი რო ეტრფოდა ჩვენ კნეინასა და იმან კიდე ბოლოდ მაინც ელიზბარი არჩია...

– მერე რა გინდა, რა დროს ეგენია. ბიჭების მეგობრობასთან მაგას რა ხელი აქვს? ძმებივით ერთად იზრდებოდნენ და დღესაც უერთმანეთოდ ვერა სძლებენ. კარგი, კარგი, შენ რო გიყურო, საღამომდინ აქ დამაყუდებ. დავეშუროთ საქმესა...

გიორგი ხვნეშა-ხვნეშით მიუყვება კიბეს. ფრთხილად აკაკუნებს კნეინას ოთახის კარზე, მაგრამ არავინ ეპასუხება. მაშინ ოდნავ შეაღებს კარს და ნახევრად ჩაბნელებულ ოთახში იჭვრიტება. სურათი უცვლელია. ქეთევანი მაგიდას მისჯდომია და კვლავინდებურად ფურცლებს აშრიალებს, თითქოს რაღაც კონკრეტულს ეძებსო. გიორგი ერთხანს ყოყმანობს, მაგრამ შესვლას მაინც ვერ ბედავს და უჩუმრად ტოვებს იქაურობას. ეზოდან ახლა ქალების კისკისი და მებაღე ანრის ფრანგულ-ქართული რეპლიკები მოისმის. გიორგის ახსენდება, რომ ახალგაზრდა ქალბატონები და მათი ფრანგი მებაღე სახლის მოსართავად თაიგულების შეკვრას აპირებდნენ.

– კარგია, რომ ყველა აქაა – თითქოს თავის თავს ელაპარაკება გიორგი – მარიამიც, ნინოცა და ელისაბედიც ოჯახის ღირსეული შვილები არიან. საცაა ივანეც გამოჩნდება. ეე, აფსუს, ზაქარია რო ვერ მოდის დაბადების დღეში. რა ქნას მაგანაც? გადაიხვეწა ბაქოში და ეგრე ადვილად ვერ დაეხსნებოდა სამსახურსა. ეჰ, ფინთადაა საქმე, ფინთად. კნეინასიც მესმის, რო აღარა აქვს გულის ადგილი. ივანეა და შვილი არ ეღირსა, ზაქროა და არცა ფიქრობს ქალის მოყვანას. ცოტაცა და ამხელა ოჯახი უმემკვიდრეოდ დარჩება. განა კნეინა ამას ვერა გრძნობს?... ადამიანს სენზე მეტად დარდი აბერებს.

გამოცდილი მოურავი საუბედუროდ სწორად სჯიდა. უფროსი ვაჟის ჩამოსვლისა და რძლის ავადმყოფობის ამბავმა ქეთევანს კიდევ მეტად აუშალა ფიქრები. დრო გადიოდა, ნანატრი შვილიშვილი კი არა და არ ჩანდა. ქეთევანი სულით-ხორცამდე შეეპყრო ავ წინათგრძნობას და ვაი, რომ ასეც უნდა მომხდარიყო. ივანე ერისთავი და მისი მეუღლე ოლღა ბუსლავსკაია უმემკვიდრეოდ გადაეგებოდნენ. ხოლო უმცროსი ვაჟი, ზაქარია, ივანეზე ადრე აღესრულებოდა ბაქოში, უშვილძიროდ. ქალები იყვნენ დედის ერთადერთი ნუგეში და იმედი, მაგრამ მთავარი სატკივარი თავს არ მალავდა.

ქეთევანმა ქაღალდების გროვაში ერთი გაცრეცილი ფურცელი გამოარჩია და ხარბად ჩააცქერდა. მერე უეცრად წამოდგა და ფანჯარასთან მივიდა, რათა უკეთ გაერჩია ნაწერი. ჰო, ის იყო, რასაც ამდენ ხანს ეძებდა – მისი უსაყვარლესი ნათესავისა და ყრმობის მეგობრის, ტატო ბარათაშვილის ლექსი „ქეთევან“, ყმაწვილმა პოეტმა გიმნაზიის პერიოდში რომ უძღვნა. ქეთევანმა მზერა დაძაბა და გამალებით შეუდგა კითხვას. თუმცა ვერც კი გაეგო, კითხულობდა თუ ზეპირად ჩურჩულებდა ძვირფას სტრიქონებს, მიჯნური ქალის ტრაგიკულ ხვედრს რომ გვამცნობდნენ. მაშინ ტატო 15-16 წლის ყმაწვილი იქნებოდა და ეგრე გამოდის უკვე წინასწარმეტყველის ნიჭი ჰქონია მომადლებული. – ფიქრობდა ქეთევანი, – მე თუ ჩემი პერსონაჟისგან განსხვავებით დღესაც ცოცხალი ვარ, მერე, აზრი ასეთი ყოფისა რა არის?

.... . .

„ეს ნუგეშს მცემს საყვარელო,
რომე არის სხვა სოფელი;
ოდეს სცნო, რომ ვარ უბრალო,
მოვედ, მოვედ, მუნ მოგელი!„
სდუმდა – და მეცა ვიცანი
ქეთევან ჰაეროვანი,
ქეთევან, ნაქები გულით,
ნაქები მშვენიერებით!
ნეტა რა ქარმან დააზრო
მისი სიცოცხლის ყვავილი?
მეც ამატირა მის ხვედრმან,
მაგრამ ვერ ვეცი ნუგეში;
ქეთევან შუა ქსანშია,
მარად შეერთო ღელვილი;
მხოლოდ ისმოდა სახელი
ამილბარისა ზვირთებში.

ქეთევანს ცრემლები გადმოსცვივდა და შემკრთალმა ფურცელი ფანჯრის რაფაზე დადო, ისეც გაცრეცილი ნაწერი არ დავაზიანოო... 1835 წელი – თარიღს კი მოჰკრა თვალი და კვლავ ფიქრს მიეცა. – ღმერთო, რა დრო გასულა. ნუთუ ტატო ოცდაჩვიდმეტი წელიწადია, რაც აღარ არის... ადრე იცოდა ტატომ და ახლაც იცის, რომ ჩემი გული კვლავ ელიზბარს ეკუთვნის და მისტირის, აკი, რამდენჯერმე შეცვალა კიდეც სახელი „ამილბარი“ „ელიზბარით“ და ბოლოს შესანიღბად მაინც

„ამილბარი“ დატოვა. ეჰ, ჩემო ტატო, მეტი რა დამრჩა შენგან? – ეს ერთი ფარატინა ფურცელი... აბა, რაღა იქნებოდა, იმ საბედისწერო 1876 წლის აღდგომა ღამით წყეულმა ხანძარმა რო შთანთქა ჩემი და ელიზბარის ძალისხმევით აღორძინებული სახლ-კარი, უამრავი სახსოვარი ძვირფასი ნივთი და მათ შორის, შენი მოძღვნილი საქორწინო საჩუქარიც, რა დიდი რუდუნებითა და გრძნობით გადაწერილი „ვეფხისტყაოსანი“. რას ვიფიქრებდი, რომ შენს ნათელ კვალს წამებში გააქრობდა ერთი უბირი მოახლე გოგოს დაუდევრობა?! რამდენ წყალს ჩაუვლია მას შემდეგ, თუმცა ის წყეული ცეცხლი ამ წუთშიც მწვავს და მანადგურებს... შემინდე, ტატო, თუ ისე ღირსეულად ვერ დაგიტირე, როგორც იმსახურებდი ჩემგან... არა, მაინც რამდენი წახნაგი აქვს ამ ოხერ დრო-ჟამს. აბა, მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ერთსა და იმავე წელს (ჰო, 1845 წელი იდგა!) მე სიხარულით შევეუღლდებოდი ჩემს ელიზბარს, შენ კი იგივე წელი სიკვდილს შეგრთობდა! ჩანს, ტრფობის ალმურში გახვეულმა, ბოლომდე ვერ გავისიგრძეგანე შენი ტრაგიკული აღსასრული. მერე და მერე კი, მით უფრო ელიზბარის დამკარგავსა, აღარ მტოვებს უცნაური განცდა... ან იქნებ მეჩვენება, თითქო რაღაცის თქმა გსურდა ჩემთვისა და ვერა ბედავდი. იქნებ სულაც ავი წინათგრძნობა არ გაძლევდა მოსვენებას და დამშვიდობების ჟამს ჩემთან გინდოდა დაჩივლება?! ეხლა რაღა დროსი... იქნებ... არა, წარმოუდგენელია... თუმცა ეს აკვიატებული ფიქრები ალბათ საფლავშიც არ მომასვენებს...

კაკუნის ხმა და კარის ჭრიალი ისმის.

– მოდი, გიორგი, ნუ გერიდება! შემოდი რაღა, ჩემი ვანო ხომ არ მოსულა?

– ჯერ არა, ქალბატონო, აი სტუმრები კი საცაა მოვლენ. თუ ინებებთ, მოახლეს გამოგიგზავნით. თქვენი სამეჯლისო კაბა კარგა ხანია, მზადაა.

– იმ მოახლის სახელი გახსოვს, გიორგი, აი, მაშინ ანთებული სანთელი რომ დარჩა ტანსაცმლის კარადაში?...

– მომიტევეთ, ქალბატონო, რა დროს ეგ შავბნელი ფიქრებია ამ თქვენთვინ სასიხარულო დღესა? კარგზე უნდა იფიქროთ, კარგზე...

დაბნეული გიორგი კვლავ უკან იხევს, კარისაკენ.

– რაღა დროს ჩემი დღეობაა, გიორგი, 73 წლისა შევსრულდი. მომავალზე მეტად, დიდიხანია, წარსულისკენ ვიხედები. ათასი მწარე ფიქრი და მოგონება მეძალება, შვილები რომ არა, არც კი ვიცი...

– ქალბატონო, ქალბატონო, კნიაზი მობრძანდა! – ყვირილით შემორბის ღია კარებში სახეგაბრწყინებული ზახარიკა.

– კარგი, ჩემო ზახარიკა, ეხლავე მოვალ. – ქეთევანი თითქო ერთბაშად მშვიდდება და გიორგის უღიმის – შენც წადი, ჩემო გიორგი, მოახლეს უხმე უცებ მოვემზადები.

მოურავები გადიან. ქეთევანი ნაჩქარევად აწესრიგებს მაგიდაზე მიმოფანტულ ქაღალდებს. ბარათაშვილის ლექსს კი სათუთად ინახავს ძვირფასი ქვებით მოოჭვილ ზარდახშაში.

ერისთავების სახლში ლხინი შუაღამემდე გასტანს. მასპინძლები ბოლო სტუმრებს აცილებენ, ტატო ბარათაშვილის დისწულს, კოლია ერისთავსა და მის მეუღლეს, ეკატერინე თამამშევას. ქეთევანი მთელი საღამო სწორედ ამ წყვილის ახლოს ტრიალებს და ახლაც სიამოვნებით მიჰყვება მათ კარებამდე. ოჯახში ყველა – შვილები, მოურავები, მსახურები გახარებულ-გაოცებულნი არიან კნეინას ამგვარი სახეცვლილებით.

– დედა, როგორ გშვენით ქართული სამოსი, – ელისაბედი ქეთევანს ეხვევა და იქვე, მამის კაბინეტის კარს შეაღებს. ოთახში ელიზბარის ყველა ნივთი ხელუხლებელია, – თითქოს პატრონი ეს-ესაა გავიდაო. მოდი, ცოტა ხანს კიდევ ვისაუბროთ, თუ, რა თქმა უნდა, მეტისმეტად არ გადაიღალეთ.

– მიხარია, დედა, ასეთს რომ გხედავთ – ფეხდაფეხ შეჰყვებათ მარიამიც – როცა სახე გიღიმით და სამეჯლისო კაბასაც დაიმშვენებთ ხოლმე, თითქო დრო ჩერდება. არა, კი არ ჩერდება, უკან მაბრუნებს, ჩემს ბავშვობაში. აი, ელისაბედ? – ელისაბედი თანხმობის ნიშნად თავს უქნევს, მარიამი კი განაგრძობს: – აი თქვენ და მამა მეჯლისში მიბრძანდებით. თქვენ სარკის წინ ირთვებით, მოახლეები თავს დაგტრიალებენ ...შეუდარებლად ლამაზი ხართ, როგორც ყოველთვის...

– აი, თურმე სადა ყოფილხართ, – კაბინეტში ახლა ნინო შემოდის – გავიგონე, მაიკო, შენი ნათქვამი. მართლაც, როგორ გვიყვარდა ჩვენ, სამივეს, ეგ წუთები. იქვე ვტრიალებდით და შვხაროდით ჩვენ ლამაზ, საამაყო მშობლებსა.

– ნუცა, ის თუ გახსოვს, დედა თავის ლამაზ-ლამაზ კაბებს რო გაატანდა მსახურებსა, ღარიბ ქალებს დაურიგეთო და ჩვენ, ბავშვებს, კი თვალი გვრჩებოდა იმ კაბებზე ...

დები ისე ერთობიან თავიანთი მოგონებებით, ისე გულიანად კისკისებენ, თითქოს ქეთევანი იქ არც ეგულებოდეთ. ამ დროს კარი ხმაურით იღება და ზახარიკას შემოჰყავს გვარიანად შეზარხოშებული ივანე. – აი, სადა ყოფილან ჩვენი ქალბატონები – სიხარულით წამოიძახებს ზახარიკა. ივანე ხელს აუქნევს ზახარიკას, წადიო და ისიც მაშინვე უჩინარდება. თავად კი ქეთევანის დანახვაზე საჩქაროდ მუნდირს ისწორებს და დედას ხელზე ეამბორება – მეგონა, დასაძინებლად წაბრძანდით, რომ აღარა ჩანდით. მე და ზახარიკა აქამომდე თავზე ვადექით მსახურებსა, რომ ყველაფერი რიგიანად მოელაგ-მოელაგებინათ.

– მოგონებებს შევყევით, ვანო, – ულიმის ძმას ელისაბედი, – მოდი, ჩამოჯექ ცოტა ხნით. შენ ჩვენში უფროსი ხარ. არ გინდა ბავშვობა გაიხსენო? თუნდა – მამა. ყველაზე კარგად ხომ შენ გახსოვს რაღაც-რაღაცეები.

– მოსაგონარის მეტი რა არის, – ივანე სავარძელში მოწყვეტით ეშვება, სახე უსევდიანდება, – მამა რომ გარდაიცვალა, შენ ელისაბედ, ექვსი-შვიდი წლისა თუ იქნებოდი... თუმცა ადრეც ბევრჯელ გვილაპარაკნია მამაზე და ერთში კი შევთანხმებულვართ. როგორი გვახსოვს მამა? – მუდამ სევდიანი, დაღვრემილი, ცხოვრებისაგან წელში გატეხილი... ღმერთმა დასწყევლოს ის ოცდათორმეტი წელიცა და ქვეყნის მოღალატენიც! – ივანე უეცრად შეკრთება, – დედა, მაპატიეთ, თუ...

– არა, არაფერია, მართალს ამბობ, ჩემი ვანო, – სევდიანად იღიმის ქეთევანი – ბოლო წლებში ეგრე იყო, არც გაემტყუნებოდა. აბა, როგორია, თერთმეტი წელი გაატარო გადასახლებაში, გენერალ-მაიორი იყო და უბრალო ჯარისკაცად მსახურობდე ფინეთის არმიაში. კიდევ რა ძალა შემორჩა, რომ შინ მობრუნებულმა თავისი სახლ-კარი ხელახლა ააყვავა, ახლა მინის ქარხანა ვთქვათ, ღვარებში რომ აამუშავა. სხვა რაღა ექნა? ჩვენს ოჯახს ბოლომდე სტუმარიც არ დალევია ... ისე,, ურიგო არ იქნებოდა, ჩემო ბიჭო, მეტ ყურადღებას თუ მიაქცევდი ქარხანასა.

– შენც იცი, დედავ-ბატონო, რომ მოუცლელად ვარ. ეს ჩემი კნეინაც სულ ავადმყოფობს – ივანე ნაჩქარევად წამოხტება ადგილიდან – ზაქარიაა კიდევ და ბაქოში გადაიხვეწა ... ისე, ჩვენს სიძე-ბატონებს, ქობულაშვილსა და ზლოტნიცკისაც ეკუთვნით ეგ საყვედური! – ივანე ეშმაკურად გადახედავს დებს.

– არა გსაყვედურობ, შვილო, – ოხრავს ქეთევანი, – უბრალოდ, ვმსჯელობთ. ადგილ-მამულებს რომ მიხედვა სჭირდება, ამას რა ლაპარაკი უნდა. აბა, მე, მითუმეტეს, რაღა მომეკითხება ამ სიბერეში.

– ეგრე ნუ იტყვით, დედა, – სახეწამოწითლებული ივანე ქეთევანის წინ ჩაიმუხლავს, – თქვენ ხომ დღესაც ჩვენი იმედი და სიამაყე ბრძანდებით.

– აბა, ივანეს ღვარებისთვის სადა სცალიან, – კისკისებს ნუცა და მხარზე ხელს უთათუნებს ძმას, – იმდენი საქმე აქვს, ისეც ღვარად ჩამოსდის ოფლი. აბა, შეხედეთ მაგის სახესა ...

ივანე რაღაცის თქმას აპირებს, მაგრამ ამ დროს მარიამი მოულოდნელად ფეხზე წამოდგება და ცდილობს, და-ძმას შეაწყვეტინოს ეს უხერხული საუბარი – მგონი, დროა, ყველამ მოვისვენოთ, დედაც გადაიღალა.

– მოდით, რამე სამხიარულო ვთქვათ, ისე ნუ დავიშლებით, – ახლა ელისაბედი ერევა საუბარში. – წეღან, სუფრაზე, რა საოცარ ამბებს უყვებოდი, ვანო, სტუმრებსა – საჰაერო ბურთიო, ცაში გაფრინდაო... მიდი, რა ვანო, დალაგებით გვიამბე ჩვენცა, ხალხის წამოძახილებში და სიცილ-ხარხარში წესიერად ვერ მოგისმინეთ.

– კი ბატონო, მოგახსენებთ, – საუბრის თემის შეცვლით კმაყოფილი ივანე ისევ ჯდება სავარძელში, – ჩემი თვალით რომ არ მენახა, არც დავიჯერებდი!... მოკლედ, ვინმე ჟან ბედე, ფრანგი გამომგონებელი, სამი თვე ბრძანდებოდა ჩვენს დედაქალაქშია და სამჯერ გადაიფრინა თბილისის თავზე თავისი გაკეთებული საჰაერო ბურთით მუშტაიდის ბაღიდან. ბოლო ცდას მეც შევესწარი. ჰოი, რა სანახაობა იყო! – ეშხში შესული ივანე ხელების ქნევით ადგილიდან წამოიჭრება – ნეტა გენახათ, როგორ ეხვეწებოდა ის ფრანცუზი ხალხსა, ნუ გეშინიანთ, ჩამიჯექით კალათაში, ერთად ვიფრინოთო, მაგრამ ვერავინ გაბედა. რაღა დაგიმალოთ და ვერც მე... ბოლოს იმედგაცრუებულმა ასეთი რამ მოიფიქრა – იქირავა სახედარი, ჩაისვა კალათაში და ჰერიიი... აიჭრა ცაში. მთელი ქალაქი უკან მივსდევდით. სახედარი უნდა გენახათ, შეფერებული, თავმომწონედ რომ დაგვყურებდა ზემოდანა. მოკლედ, თვალებს არ ვუჯერებდით, მაგრამ ასე კი იყო ყველაფერი... სხვათაშორის, აზრად მომივიდა, პირადად გამეცნო ის ფრანცუზი და მერე თქვენთან წამომეყვანა, გორში, ალბათ დედას დააინტერესებს მასთან საუბარი-მეთქი. მაგრამ როცა მოვიკითხე, მოულოდნელად სადღაც გამგზავრებულიყო და მას მერე აღარც გამოჩენილა ქალაქში.

– აფსუს, დედას კი მართლა დაინტერესებდა. განა ჩვენი პაპაც მაგ საქმეზე არ ირჯებოდა იმდენი ხანი?! – სინანულით აქნევს თავს ნინო, – ჩვენს მებაღე ანრისაც ძალზე გაეხარდებოდა, მაგრამ რაც არის, არის...

– კარგი, შვილებო, საცაა თავზე დაგვათენდება, – მოულოდნელად აფორიაქდება ქეთევანი. – ივანე ნამგზავრი და გადაღლილია. ჩვენც წავიდეთ. თან დილაზე გლეხები ამოვლენო, რაღაც პრობლემა ჰქონიათ. გიორგიმ მითხრა სტუმრების მოსვლამდე.

– მერე ვანო აქ არ არის? – ისევ მწარენარევად ხუმრობს მარიამი, – თქვენ რატომ უნდა შეწუხდეთ, დედა? უსიამოვნო საუბრებით კიდევ მეტად გადაიღლებით.

– მე არაფერ შუაში ვარ, მხრებს იჩეჩავს ივანე – მამულის საქმეებს აკი კარგა ხანია, მოვწყდი. გიორგი და ზახარიკა რაღას აკეთებენ?

– ყველა თავის საქმეს აკეთებს, ივანე, – არ ცხრება მარიამი, – ისე, რა ვიცი, „პოსრედნიკს“ შენ გეძახიან. შუამავლობა შენი პროფესიაა და რაღა საკუთარ ოჯახში იზარებ ყველაფერსა?

– ნუ დავემდურებით ვანოს, – სიტუაციის განმუხტვას ცდილობს ელისაბედი – რა ნახეთ, კაცი ერთი-ორი დღით დასასვენებლად ჩამოვიდა და იმ

საათში საყვედურებით დაესიეთ.

– მართალია, – კვერს უკრავს ნინო – წავიდეთ, მოვისვენოთ. დედა, წამობრძანდით. საძინებლამდე მიგაცილებთ.

ქეთევანი კვლავ მარტოა ოთახში. საცაა ინათებს, მას კი თვალზე რული არ ეკარება. ამჯერად ქეთევანი კიდევ უფრო შორეულ წარსულშია ჩაფლულ-გარდასახული. ელიზბარისა და ტატოს სახებანი სადღაც გამქრალან და იგი ახლა გონების თვალით თავისი მშობლების, ბრწყინვალე თავადების, შალვა ერისთავისა და ეკატერინე ორბელიანის ლანდებსა ჭვრეტს. ვანოს მონაყოლმა განუახლა, როგორც ჩანს, წარსულის სურათ-ხატები. განა ჯერ კიდევ მამაჩემი არა ცდილობდა საფრენი მანქანის გამოგონებას?! – ქეთევანი საწოლში ბორგავს და ხმამაღლა ფიქრობს – რა დამავიწყებს 1850 წელსა, როცა მამამ ბრძანა, მოვრჩი საქმესაო. დიდხანს ახსოვდა ხალხსა, როგორ შეაბა თავისი ფრთიანი მანქანა ერთ მსახურს და უბრძანა... არა, კი არ უბრძანა, სთხოვა, ამ დაბალი გორაკიდან საცდელად გადაფრინდიო, ის კაციც, სახელი რაღა მახსოვს, სიხარულით წავიდა, მაგრამ ერთი კი აფრინდა და იმ საათში ჩამოვარდა. კიდევ კარგი, რომ უვნებლად გადარჩა, საბრალო მამა! ხშირად იტყოდა ხოლმე: როგორც გენიოსმა ლეონარდო და ვინჩიმ მოიწადინა ფლორენციის ,,გედის მთიდან“ გაფრენილიყო და სახელი გაეთქვა მთელ ქვეყნიერებაზე, იქნებ ჩემს პატარა ქალაქს მაინც გაუთქვა სახელიო. მარცხის შემდეგ კი კიდევ დიდხანს არ იტეხავდა იხტიბარსა. შევესწარ, დედას ეუბნებოდა, მაინც ლეონარდოზე მეტად გამიმართლა, ადამიანის ცოდვა რომ არ დავიდეო. ადრეც ხო გიყვებოდი, ლეონარდოს მოწაფე ასტრომ თურმე ოსტატის ჩუმად სცადა გაფრენა და სასიკვდილოდ დაიმტვრაო. დედა კი ბრაზით აქნევდა თავს და მერამდენედ უმეორებდა, აღარ მოეშვები მაგ ჩხირკედელაობასა?! ერეკლე მეფის შთამომავალი მაინც არ იყო. დედაშენი, ღმერთმაც გაანათლოს, ანასტასია ბატონიშვილი, ალბათ საფლავში ტრიალებსო. საბრალო მამა! დღეს ვიღას ახსოვს მისი საქმეები? ან ნეტა სად გაქრა მისი ნახაზები, ჩანაწერები, ნახატები?! ყველაფერს ვეღარ გავადევნე თვალი. შესაძლოა, არის კიდეც ოჯახში შემონახული, ან ელენე წაიღებდა თავისთან. ერთი უნდა მოვიკითხო... განა ვისიმე დასაცინი შეიძლებოდა გამხდარიყო შალვა ერისთავი?! – თავისი დროის უგანათლებულესი ადამიანი, ჯერ მარტო რამდენი უცხო ენა იცოდა – ლათინურიც კი. მერეც მახსოვს, ელენეს რო დაუჯდებოდა და ფრანგულს შეასწავლიდა. ახლა თვითონ რამდენ საინტერესოს გვიყვებოდა ჯერ კიდევ ბავშვებს, ჰო, განსაკუთრებული გზნებით მაინც ფრენის ამბებზე ლაპარაკობდა: ჯერ კიდევ წინა საუკუნეში გამოიგონესო აეროსტატი, ძმებმა მო... მონგოლფიებმაო, მგონი ამ გვარს ამბობდა, ცხელი ჰაერის ჭავლით ააფრინეს ცაშიო და ჩვენ განათლებულ საუკუნეში განა რა გახდა ეგ საქმეო?! არა, არა, ან აქამომდე რას ვუყურებდი? აფსუს, რომ დღეობაში ვერ მეწვია ელენე ... ხვალიდანვე დავიწყებ მზადებას, თავად ჩავაკითხავ და გავარკვევ, სად გაქრა მამაჩვენის ქაღალდები... აგე, გათენებულა კიდეც. სჯობს, ავდგე, მოვემზადო, ბევრი საქმეა, ვინცობაა, გლეხებიც მოგვადგნენ კარზედა ... ჰო, არ დამავიწყდეს. კოლასა და ეკატერინეს დავპირდი, ტატოს „ქეთევან“-ს გადაგიწერთ და მოგართმევთ -მეთქი. გაახარებს ღმერთი თამამშევას, ტატოს ლექსების გამოცემა რო გადაუწყვეტია... არა, არა, ამდენ საქმეს მარტო რას აუვალ?! ივანესაც უნდა ვთხოვო დახმარება და ჩემ ქალებსაც. რას ვიზამთ? ესაა ჩვენი ცხოვრება, ჩვენი წარსული, ჩვენი დიდი ოჯახი თავისი ბედნიერებითა და უბედობით, თავისი ისტორიითა და აწყმოთი. ამ ყველაფერს ზრუნვა-მოფრთხილება სჭირდება, რომ ზედ ნათელი მომავლის ყლორტი დაემყნოს და მოიფურჩქნოს...

გიორგი შიშნიაშვილი



ტერენტი გრანელი

მიწიდან თვალები მოჩანან ზეცაში,
ლურჯი ცა ღრუბლებად თვალებით დახატე,
სიჩუმეს ვკითხულობ დღესაც შენს მზერაში
თვალებში, ცხოვრებამ ასე რომ დაღალეს.
დრო მიდის, დრო მიდის შენ რჩები ისევ აქ
დროს შენი სახელი ვერასდროს შეიტყობს,
ეგ ლურჯი თვალები ცრემლებით ივსება
და სული ცრემლების წვიმით დღეს ქეიფობს.
ლურჯი ცა ღრუბლებად თვალებით დახატე
და მე ეგ თვალები რაოდენ მათბობენ,
თვალები, ცხოვრებამ ასე რომ დაღალეს,
ცრემლებით მათრობენ!

***

ოთახში გაჩერდა ძველი წელიწადი,
კედლის კალენდარმა დღე არ ჩამოხია...
სახლში სიძველე და ბევრი მტვერი დადის,
ადამიანები კი... არ გამოდიან!
არავინ ხსნის კარებს, ფანჯრებს ჩამტვრეული
მინის ნამსხვრევები იქვე, ძირს უყრია...
ქარი რომ ადგება სახლში შედის ხოლმე
და იქ რას აკეთებს, ერთხელ არ უთქვია.

***

სხვა საფიქრალიც ბევრი მაქვს ისე,
მაგრამ მე მაინც ლექსებზე ვფიქრობ,
და მინდა სულიც სტრიქონებს მივცე,
თუ გული უკვე მივეცი სტრიქონს.
ერთი სტროფია ჩემი ცხოვრება
და სტრიქონები – მისი ნაწილი;
თუ პოეტი ხარ, შენც გენდომება
ლექსის ხანძარში თავი დაიწვა!
ბევრნი არიან სხვა საფიქრებიც,
მაგრამ მე მაინც ლექსებზე ვფიქრობ,
რადგან სტრიქონებს გული მივეცი,
მე სულიც მინდა რომ მივცე სტრიქონს...

დედას

იებმა უკვე გაალურჯეს ეზოს ბაღჩები,
მე კრეფა-კრეფით მივუტანე დედას თითოჯერ,
დედა, მე შენთვის კვლავ პატარა ბიჭუნად ვრჩები
და არც იფიქრო ერთი წუთით, გაზრდა მინდოდეს.
დრო მიდის მაინც და ყველანი იმას მივყვებით,
წლები მატულობს, მე კი უფრო ვფიქრობ,
მცირდება,
ცხოვრება უნდა ყველამ ვლიოთ ჩვენი კიბეთი
და ის ვინატროთ, წინ ნურავინ გადაგვიდგება.
დედა, შენ ჩემთვის არასოდეს არ დაბერდები,
რა ტკივილებიც დაგამჩნიეთ მე, დრომ და სევდამ,
უმალ სულ ყველას მოგაცილებ კაცური ხელით,
მერე გიამბობ, გაზაფხული როგორ გათენდა!

რეზო-ემელიანე ადამია

პარიზული დღიური. მონმარტრი

ხელოვნების სურნელით გაჟღეთილი და ჯადოცხებული ქალაქია პარიზი. ლუვრის, ორსეისა და თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი, ორანჟერეა, პომპიდუს მუზეუმი; როდენის, მანეს, პიკასოს, ბურდელისა და ლეჟეს სახლ-მუზეუმები. რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, მარადიული ხელოვნების სული ტრიალებს და გენიოსთა გულის ფეთქვაა ყველგან. და უკვდავების პირამიდებია აღმართული...

პარიზის უმშვენიერესი და უჩვეულო ისტორიით სავსე მოედნები. თვითნაბადი მარგალიტივით ჩამჯდარი და დროით დაბინდული ოპერა, ღვთისმშობლის ტაძარი, თანხმობის მოედანი და ელისეს მინდვრები. ქალაქის მშვენება ტრიუმფალური თაღი, ფერწერული ქვებით აწყობილი დაბადება, მოწიწებით რომ დგას მაიოლის ქანდაკებით დამშვენებული ლუვრის ეზოში: მოწიფულობა, მშვენებაა პარიზის და, კერძოდ, ელისეს მინდვრებისა, რომელიც კოლოსალურ გვირგვინად ადგას ქალაქს. სიბერის სიმბოლო – ტრიუმფალური თაღი თავისი ცისმიერი შორეული განწყობილებით, სასწაულად, მათ შუა გამჭოლი საიდუმლოებით მოსილი სამყაროული მზერაა. ულამაზესი და მაღალი სულიერებით გაჟღენთილი სენის ნაპირები, მეტეორის ფორმის კუნძულით, რომელზეც ღვთისმშობლის სახელობის ტაძარია წამომართული. ულამაზესი სენა, სადაც დღე და ღამე ასფრად მოხატული კატარღები და გემები უდარდელად დასეირნობენ და ულევ ტურისტთა ნაკადს სანაპიროების მშვენებით ატკბობენ.

ულამაზესი ქუჩები სახლების სახურავებზე გაშენებული ბაღებით. ამ დალოცვილ ქალაქში ტაძრები და ქანდაკებებია ყველგან, მაგრამ, საოცარია, ხელოვანი თუ არახელოვანი, ყველა მონმარტრისაკენ მიისწრაფვის, მიდიან სევდით, ნიჭითა და ჟინით გაჟღენთილი ხელოვნების გორაკისკენ. აქ, უძველეს ქუჩაბანდებში უვლია დიდ ვან გოგს, რომელშიც ჩაღვრილი იყო სამყაროსეული, მზისფერი სევდა, პიკასოს, თუმცა მოჩვენებით ბედნიერს, მაგრამ „ცისფერი სევდით სავსეს“, დეგას, ტულუზ-ლოტრეკს, ემილ გუდოს, სალმონის, ჟაკ მონის, პისაროს, სისლეისა და მოდილიანის. მათი შინაგანი ფენომენით იჟღინთებოდა ხელოვანთა გორა. მაესტროთა მოუღლელმა ნიჭმა უნიკალურ ხელოვნებასთან ერთად უკვდავი მონმარტრი შექმნა, მარად უბერებელი, მხატვართა სევდა და ფიქრი; მაცხოვრის საყდრისა არ იყოს. ჩვენი პლანეტის, ყოველი ერისა თუ ტომის წარმომადგენელი აქ ეძებს იმ სევდის ახსნის, თუ პიროვნების შინაგანი მშვენიერების სურათს, რომელიც ყოველ



ჩვენგანს გააჩნია.

ერთ მონმარტრისეულ მშვიდ საღამოს, ფრანგ მხატვრებთან და ახალგაზრდა ესპანელ პოეტთან ერთად სალვადორ დალის მუზეუმის გვერდით, პატარა და მოკრძალებულ ბარში ვისვენებდი. ჩემი ახალგაზრდა ფრანგი მეგობარი რუსულს შესანიშნავად ფლობს და ხელოვნების სურნელით აღტკინებულნი დროის სვლას ვერ ვამჩნევდით. გვიანი ღამეც მოგვადგა. ამასობაში სავსე მთვარეც ამოგორდა და მითოლოგიური ხარივით ჩვენკენ მოიწევდა. – ნახეო, ბატონო ბერნარ! – ხალისიანად მივმართე ესპანელ პოეტს, – მთვარე გვეპარება და ვარსკვლავთა ლეგიონიც მოჰყვება, მგონი დროა ადამიანებმა დავტოვოთ მონმარტრი და დავუთმოთ მათ, ბოჰემის გორა...

დიდხანს შეჰყურებდა მეოცნებე თვალებით ესპანელი პოეტი მონმარტრისეულ სავსე, ვერცხლისფრად აკიაფებულ მთვარეს. – რა კარგად თქვით, მისიე მხატვარო, – მომმართა პოეტმა.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, მოზღვავებული გრძნობების მქონე პარიზის მეძავთა საზოგადოებამ შექმნა გაუგონარი და არნახული ასოციაცია, შეკრიბა თანხა და მონმარტზე ააშენა ბუმბერაზი ქრისტიანული საყდარი, წმინდა სებასტიანის სახელობისა. ღვთის სახლი, რომელიც მიტევების, სიყვარულის, სევდისა და მონანიების სიმბოლოდ გადმოჰყურებს პარიზს.

მონმარტრი თავად არც გოლგოთაა და არც სინას მთა. მონმარტრი – ვარდისფერი, ცისფერი და თეთრი ფერებით სავსე, მსოფლიო ხელოვანთა პანთეონია, სულის მარადიული სურნელია, მისი რწმენის სახეა და ფიქრი.

ოცდახუთი აგვისტო.

დღეს ამინდის პროგნოზმა გაამართლა და ფრიად სასიამოვნო განწყობილებაა ირგვლივ; გამჭვირვალეა ლურჯი ცა; მათრობელა გრილი ნიავი

ქრის და გესალბუნება მონმარტრისეული საამო გარემო, გორის ქვემოთ ლაღად გაწოლილი პარიზი არამიწიერი შუქით ანათებს. მეოცე საუკუნის დასაწყისში ხელოვნების სიახლეთა სულიერებით დუღდა მონმარტრი, გენიოს მხატვართა გარემოში. სამოთხისეული განწყობილება სუფევს ირგვლივ. პლანეტის ათასობით ჯიშისანი და რჯულისანი ისპეტაკებენ მონმარტრისეული სურნელით სულს.

მონმარტრის მთავარ მოედანზე გაფაციცებით მუშაობენ პარიზის ხელისუფალთაგან სამუშაოდ უფლებამოსილი მხატვრები. სხვადასხვა ფორმისა და ფერის სკამებზე განსხვავებული ხასიათის ნატურები მოთმინებითა და ღიმილით გასცქერიან მონმარტრის სივრცეს. ქაღალდზე, მუყაოზე თუ ტილოზე მარადიულობად იხატება მათი სახეები. და, ვინ იცის, დედამიწის რომელ კუთხეში დაამშვენებს მათ ბინებსა და ისტორიულ ადგილებს ეს ნამუშევრები. მონმარტრელ მხატვრებთან მაკავშირებს კარგი ნაცნობობა. დღეს ერთ-ერთმა, წარმოშობით ირანელმა, ამჟამად კი პარიზელმა მხატვარმა, შეიძინა ჩემი ნორმანდიული სურათი, ოკეანის სანაპირო ნავების გამოსახულებით, საერთოდ ჩემი ოთხი ფერწერული სურათია მის კოლექციაში: მთხოვა, დამელოდე ორი საათი, ერთ-ერთ ბარის მეპატრონეს სურვილი აქვს თქვენი პეიზაჟის შეძენისაო. მეც სიამოვნებით ველოდები ამ სამოთხეში და ვტკბები ყოველწამიერი ცოცხალი სურათებით. მხატვრებით სავსე მოედნის ირგვლივ პლანეტის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულნი დადიან. ზოგნი მაგიდებთან სხედან და ყავას შეექცევიან. ამ ბედნიერ ტურისტულ ჯგუფებში. მოხეტიალე მხატვრები გაფაციცებით ეძებენ ნატურებს (ზოგი მათგანი პორტრეტისტია ან კარიკატურისტი). შეძლებისდაგვარად ასრულებენ შეკვეთებს და ასე შოულობენ თავიანთ საზრდოს. ეს ის მხატვრებია, რომელთაც სტაბილურად ეკრძალებათ მოედანზე მუშაობა. ამ მხატვრებში მსოფლიოს ნებისმიერი კუთხის წარმომადგენელს შეხვდებით. აქ არიან ირანელები, თურქები, ქურთები, ზანგები, პოლონელები, იტალიელები. უფრო მეტად ფრანგები; ჩინელებსა და სომხებსაც შეხვდებით. ერევნელი მხატვრები უფრო ღვთისმშობლის ტაძრის ირგვლივ ტრიალებენ ან სენის სანაპიროს მხატვართა საზოგადოებაში არიან გაწევრიანებულნი. სარჩოზე გამოსულთ რომ შეხედავთ, „ჯუნგლის კანონი“ გაგახსენდებათ. აქ ბრძოლაა არსებობისათვის და ფარული ბოღმა და სევდა ტრიალებს ყველგან. იმარჯვებენ ძლიერნი; უსუსურნიც შოულობენ შედარებით მცირედ სარჩოს.

აგერ ახალგაზრდა, ფერმკრთალი სახის მევიოლინეც გამოჩნდა. აღმართზე, ეკლესიის გალავნის გვერდით, ჯამბაზი ართობს ხალხს და მის მეტალის კოლოფში ხშირად გაისმის ხურდა ფულის ჩხაკუნი.

მონმარტის გორას ირგვლივ უვლის პატარა და ლამაზი მატარებელი, სამვაგონიანი, თხევადი საწვავის მოტორით და საოცრად უხდება აქაურობას. აქვე მცირე ზომის კოხტა ავტობუსებიც დადიან.

მონმარტრი ყოველდღიურად სავსეა მშრომელი და მოფუსფუსე მხატვრებით. ცნობისმოყვარე და შედარებით ძუნწი ტურისტებით, რომელთა უმეტესობა მხოლოდ სუვენირებითაა დაინტერესებული. ხშირად ნაღდი ხელოვნების ნიმუშს სუვენირის თვალით ზომავენ; კარგ სურათებს ამ ბოლო ათეულ წლებში იშვიათად შეხვდებით. მაღალი დონის მხატვრები დიდი ხანა გადაბარგდნენ პარიზის სტუდიებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში; გრიგალისებური ტემპერამენტით, ალიონის ანთებული თვალებითა და ნერვიული ნაბიჯებით დადიოდა აქ ლეპლეს ქუჩაზე ვან გოგი, მისი ვიწრო ოთახი წარმართთა მიერ წამებული მოციქულის სენაკს მოგაგონებთ; მონმარტრის ქუჩებში დადიოდა დინჯი, ათწლიან ბორდოს ღვინოსავით დამდგარი პისარო, თვალით უხილავ, ცხოვრებისეულ გახურებულ ტაფაზე შეგდებული მოდილიანი, სევდისა და ნაღველის პატარ-პატარა ნაკადები გაედინებოდა მისგან. ვან გოგივით იწვოდა ის, ოღონდ შინაგანი წვით, დედამიწის გულის დარად. მოუსვენარი დეგა ამშვენებდა მონმარტრს. მისი არისტოკრატული აღნაგობა დიადურს ხდიდა აქაურობას. ხშირი სტუმრები იყვნენ მონმარტრისა: სისლეი, მონე, მანე. ლოტრეკმაც იცხოვრა ამ მსოფლიოს მხატვართა გოლგოთაზე. ქრისტეს დარად, სიყვარულის, სილამაზის და მშვენიერების გულისათვის ჯვარს გაეკრნენ ისინი და ბურდელის მიერ გამოქანდაკებული ბეთჰოვენივით ეწამნენ.

მოედნის მისასვლელთან ერთ-ერთმა მაღალი და მკვრივი აღნაგობის მოხეტიალე მხატვარმა თავისი დიდი ალბომი მოისროლა ქვაფენილზე. მხატვრებს შორის ცხარე კამათი გაიმართა: ალბათ უკმაყოფილონი არიან დღევანდელი შედეგებით. თუ საქმის გარჩევაა... აქვე, ჩემს გვერდით ჩამოჯდა მოწყენილი არაბი მხატვარი და ჟურნალის ფურცლებს ჩაჰკირკიტებს. ცოტა მოშორებით, ახალგაზრდა ფრანგმა მხატვარმა მოწიწებით გამოიწვია შოლტივით მოქნილი ულამაზესი ამერიკელი გოგონა, იქაურობას რომ ანათებდა. გული მწყდება, მეც რომ არა მაქვს მისი დახატვის უფლება. ასეთი საქციელი ხომ აქაურ მხატვართა ურთიერთდამოკიდებულებისა და ეთიკის უხეში დარღვევაა.

ყველგან ირევიან და დაფარფატებენ საშოვარზე გამოსული მტრედები; მონმარტრის ბაღში შაშვის გალობა ისმის დილა-საღამოს და გასაოცრად ეგზოტიკურს ხდის იქურობას. სადღაც გარმონი წრიპინებს. ლაღად დასეირნობენ ბავშვიანი ქალები და მათ გვერდით კეთილი და მზრუნველი მამები. დადიან ფერადი ჩანთებით, ჩვეულებრივი აპარატებით და ვიდეო კამერებით. ტურისტული

ჯგუფები მოედინებიან და გაედინებიან. მონმარტრის მოედანზე ცოცხალი ულამაზესი კადრები კადრებსა ცვლის. ვერც სიზმარში იხილავთ და ვერც ზღაპარში წაიკითხავთ ამას და ვერსად ვერ იგრძნობთ იმ განწყობილებას, რომელიც აქ სუფევს. დადიან ხალისიანი ღიმილით და სიცილით, მაგრამ მაინც შეამჩნევთ აქაურ ფარულ სევდას, რომელიც ქვეცნობიერად აღიქმება ყველგან, მაგრამ იშვიათად ნახავთ დაღლილს ან ინდიფერენტულად მოსიარულეს.

ჩემ წინ დატრიალდა საცოდაობა: ის მშვენიერი ამერიკელი გოგონა ვერ დააკმაყოფილა თავისი ნახატით ფრანგმა მხატვარმა და ამერიკელმა ასულმა ცივად დაუბრუნა იგი უკან; გამწარებული ბიჭი წამოვიდა ჩემკენ, ვითომ არაფერიო და ჩემ გვერდით მდგარ მწვანე სანაგვეში მოისროლა შუაზე გახეული და და დაჭმუჭნული ნახატი. როცა მხატვარი თვალს მოეფარა და იქაურობას გაშორდა, ამოვიღე ნახატი – მონმარტრისეული სევდით გაჟღენთილი, ამერიკელი ასულისაგან დაწუნებული პორტრეტი. ის მხატვარი რამდენიმე ხანს გაქრა სადღაც. დღის სამი საათია, მოხეტიალე მხატვრები არა ჩანან, ეტყობა, ზოგი ლუდს მიირთმევს, ზოგს კი, ვინ იცის, რა ადგილ-წერტილები აქვთ მონიშნული დასასვენებლად.

აქ მონმარტრისეულ განწყობილებაში მიუღწევლობის, შემოქმედებითი ჩავარდნის, იმედის, ხვალინდელი დღის და წარმატების მოლეკულები გუნდებად დაფარფატებენ. სალონები, გალერეები, სურათების მაღაზიები. გამოფენილია ყველაფერი და ერთმანეთს ერწყმის ხელოვნებაზე ფიქრისა და კომერციის ჯადო.

ურცხვმა ბიჭმა და გოგონამ, ცოტა მოშორებით, ხვევნა-კოცნით კინაღამ შეჭამეს ერთმანეთი, მაგრამ საზღვარს არ სცილდებიან. იტალიელთა ჯგუფმა გაიარა. მათი სიცილი და ხუმრობა მთელ მონმარტრს მოედო. ისევ გამოცოცხლდა გარემო და მხატვრებიც მუშაობაში ჩაერთნენ. პორტრეტები, კარიკატურები, ვიოლინოს ხმა, გარმონის წრიპინი და თეთრ მოსასხამში გამოწყობილ ჯამბაზთან სიცილ-ხარხარი და მონმარტრის ბაღიდან ისევ-სევდიანი შაშვის გალობის ხმა ისმის...

პარიზი, მონმარტრი.